

**ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ
დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი
ფაქტორების კვლევა**

საქართველოს გენერალური პროკურატურა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის
პრევენციის ცენტრი

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2018

წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი. სახელმძღვანელოს შინაარსის ევროკავშირის პოზიციას ალქმა დაუშვებელია.

კვლევა გამოიცა „International Consulting Expertise – ICE“-ს მიერ „ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების განვითარებისთვის“ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, „ევროკავშირი საქართველოსთვის – EU4justice: მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა“-ს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.¹

კვლევის ავტორები:

მარიამ ფანჯვიძე, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ნინო ნიშნანიძე, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, დოქტორანტი პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით

სალომე დოლიძე, სოციოლოგი, საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მრჩეველი

თემურ გუგუშვილი, სოციოლოგი, დანაშაულის პრევენციის ცენტრის კვლევისა და სერვისების განვითარების სამმართველოს უფროსი მკვლევარი

საქართველოს პროკურატურა განეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, მართლმსაჯულების პროგრამის მენეჯერს, ატაშეს – ბ-ნ პიტერ დენისს; პროექტს „ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების განვითარებისთვის“, ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელს ბატონ პიმ ალბერსს, პროექტის მენეჯერს პროკურატურის მიმართულებით – ბ-ნ მამუკა მამაცაშვილს; არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრს, კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს. ასევე, კვლევის განხორციელების პროცესში განეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით დანაშაულის პრევენციის ცენტრის სტაჟიორებს – მარიამ ხუნდაძესა და მედეა გათენაძეს.

© საქართველოს პროკურატურა

© საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ISBN 978-9941-25-554-0

¹ კვლევა გამოიცა „International Consulting Expertise – ICE“-ს მიერ „ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების განვითარებისთვის“ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, „ევროკავშირი საქართველოსთვის – EU4justice: მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა“-ს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

**STUDY ON FACTORS INFLUENCING
THE COMMITMENT OF CRIME BY
THE FORMER PRISONERS**

This Publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Prosecutor’s Office of Georgia, Ministry of Justice of Georgia and Center for Crime Prevention, and can in no way be taken to reflect the views of the European Union

This manual is published by the International Consulting Expertise – ICE, within the Criminal Justice Support Project “EU Support to the Development of Criminal Policy, Prosecution and Investigation in Georgia” through support and funds provided by the “European Union for Georgia – EU4justice Support to Justice”.²

The Authors of the Study

Mariam Panjikidze - Psychologist, Doctor of Psychology

Nino Nishnianidze – Psychologist, Psychotherapist, Doctoral Student in person and clinical psychology

Salome Dolidze – Sociologist, Adviser of Analytical Unit of the Department of Prosecutorial Activities Supervision and Strategic Development of the Chief Prosecutor’s Office of Georgia

Temur Gugushvili – Sociologist, Senior Researcher at Research and Service Development Division, the Center for Crime Prevention

The Prosecutor’s Office of Georgia thanks: Delegation of the European Union to Georgia; Justice Program Manager of the EU Delegation to Georgia - Mr. Peter DANIS; Criminal Justice Support Project “EU Support to the Development of Criminal Justice Policy, Prosecution and Investigation in Georgia”; the Team Leader of the Criminal Justice Support Project - Mr. Pim ALBERS; the Project Manager for Prosecution of the Criminal Justice Support Project – Mr. Mamuka MAMATSASHVILI; National Agency of Execution of Non-custodial Penalties and Probation and LEPL Center for Crime Prevention, respondents involved in the development of the study. The research team is grateful to Mariam Khundadze and Medea Gatenadze, interns of the Center for Crime Prevention for their assistance in the implementation of the study.

² *This manual is published by the International Consulting Expertise – ICE, within the Criminal Justice Support Project “EU Support to the Development of Criminal Policy, Prosecution and Investigation in Georgia” through support and funds provided by the “European Union for Georgia – EU4justice Support to Justice”.*

ახალი დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ მოხდეს ყოფილი მსჯავრდებულების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შემთხვევების გათვალისწინება, მათ მიერ სასჯელაღსრულების დანესებულებების დატოვების შემდგომ. ამ შემთხვევების შესამცირებლად მნიშვნელოვანი ფაქტორია ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მექანიზმების ეფექტური გამოყენება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, იმ რისკებსა და უსაფრთხოების ფაქტორებზე კვლევის ჩატარება, რომლებიც განსაზღვრავენ, გახდებიან თუ არა ყოფილი მსჯავრდებულები დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენნი.

ეს ანგარიში ასახავს ამ ფაქტორების შესანიშნავ მიმოხილვას და მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის გაძლიერებას და გაუმჯობესებას.

დოქტორი, პიმ ალბერსი

ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი

As a part of the development of new crime prevention policies it is important that a proper insight is provided in the chance that former convicted persons will commit new crimes in the future, when they are released from penitentiary institutions. An important factor to reduce these chances, concerns the effective application of rehabilitation and reintegration mechanisms for former prisoners. For this reason, it is essential that a study is being conducted on the risks and safety factors which determines if convicted persons will become repeated offenders or not.

This report gives an excellent overview of these factors and it is expected that the results of the study will positively contribute to a further enhancement and improvement of crime prevention policies in Georgia.

Dr. Pim Albers

Team leader EU Criminal Justice Support Project

სარჩევი

შესავალი	9
კვლევის მეთოდოლოგია.....	12
კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია	16
I. დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ხელშემწყობი ფსიქოლოგიური ფაქტორები	16
1.1. დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან დაკავშირებული პიროვნული ფაქტორები.....	16
1.2. მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო მდგომარეობის ცვლილება პენიტენციურ დაწესებულებაში და მისი კავშირი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან.....	27
1.3.სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებასთან ასოცირებული ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას	46
II. ინტერპერსონალური ურთიერთობების კავშირი დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან	58
2.1 მსჯავრდებულთა ურთიერთობა სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ მყოფ ადამიანებთან	58
2.2. ინტერპერსონალური ურთიერთობები სასჯელალსრულების დაწესებულებაში	66
2.3. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომი ინტერპერსონალური ურთიერთობების კავშირი დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან	69
III. ყოფილი მსჯავრდებულების სოციალურ-ეკონომიკური გამონვევები და მისი გავლენა განმეორებით დანაშაულზე.....	77
3.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც განმეორებითი	

დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორი	77
3.2. საარსებო წყაროს მოძიების პრაქტიკები	81
3.3. ეკონომიკური გაძლიერების ხელისშემშლელი ფაქტორები	86
3.4. ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშემწყობა	92
IV ინსტიტუციური მხარდაჭერა – განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მექანიზმი	95
4.1. ჰოლისტური მიდგომის მნიშვნელობა ინსტიტუციური მხარდაჭერის პროცესში	95
4.2. ინფორმაციის გავრცელება ინსტიტუციური მხარდაჭერის შესახებ	108
დასკვნა და რეკომენდაციები	112
რელევანტური კვლევების მიმოხლივა	118
ლიტერატურა	120

შესავალი

2018 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ, ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით, განხორციელდა ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული რისკ და დამცავი ფაქტორების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების გაძლიერებასა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდას. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ ყოფილი მსჯავრდებულები, მათი ოჯახის წევრები, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

წინამდებარე კვლევა უკავშირდება დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტორების შესწავლას: პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტორები, გათავისუფლების შემდგომ პერიოდში მოქმედი ფაქტორები და პიროვნული ფაქტორები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც კავშირშია დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან, კერძოდ ინტერპერსონალური ურთიერთობები პენიტენციურ დაწესებულებაში და გათავისუფლების შემდგომ, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მდგომარეობის ცვლილება პენიტენციურ დაწესებულებაში და გათავისუფლების შემდგომ, ინსტიტუტების მხარდაჭერის მნიშვნელობა, დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული ეკონომიკური და პიროვნული ფაქტორები.

კვლევის ანგარიში მნიშვნელოვანი დოკუმენტია ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული რისკ და დამცავი ფაქტორების ანალიზისა და ამ მიმართულებით შემდგომ

მი ნაბიჯების დაგეგმვისათვის. კვლევის შედეგები დაეხმარება შესაბამის საჯარო სამსახურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციას.

PREFACE

In 2018, with the support and cooperation of the EU Criminal Justice Support Project, the Chief Prosecutor's Office of Georgia, Ministry of Justice of Georgia and the Center for Crime Prevention, the study of factors influencing commitment of crime by the former prisoners was carried out.

The purpose of the research is to identify risk factors for repeatedly committed crime, which will facilitate the strengthening of mechanisms for crime prevention and increase the effectiveness of the fight against crime. In the frames of qualitative research, former convicts, members of their families, staff of penitentiary institutions, center for crime prevention, national probation agency and representatives of non-governmental organizations working on this topic were interviewed. This research is dedicated to the following factors related to the repeated commitment of crime: factors related to experience in the penitentiary institution, the factors existing after the release and personal factors.

The study revealed the factors that are linked to recidivism, particularly in interpersonal relationships in the prison facility and after the release of a convict, change of psychological and medical condition in the prison facility and after the release of person, significance of support provided by institutions, economic and personal factors linked to the commitment of repeated offenses.

The research report is an important document to analyze the risks and safety factors associated with the offense committed by former convicts and to plan further steps in this direction. The results of the study will help relevant public services and non-governmental organizations in the implementation of future projects and initiatives, which in turn will facilitate the prevention of crime.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები

საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. აღნიშნული კვლევის მეთოდების შერჩევის მიზანს წარმოადგენს ყოფილი მსჯავრდებულებისა (დანაშაულის ჩადენის ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოცდილებით) და მათი ოჯახის წევრების კონკრეტული გამოცდილებისა და მოსაზრებების შესწავლა, ასევე, პენიტენციური დაწესებულებისა და გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი აქტორების/ინსტიტუტების თანამშრომლების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა გამოცდილებისა და დამოკიდებულებების გაზიარება.

სამიზნე ჯგუფების (ყოფილი მსჯავრდებულები, სპეციალისტები) სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს სქემა და ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 35 სიღრმისეული ინტერვიუ (25 ინტერვიუ ყოფილ მსჯავრდებულებთან, ვინც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული და 10 – ყოფილ მსჯავრდებულებთან, ვისაც განმეორებითი დანაშაული არ ჩაუდენია) და 4 ფოკუს ჯგუფი.

კვლევის სამიზნე ჯგუფები

კვლევამ მოიცვა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- ყოფილი მსჯავრდებულები, ვინც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული;
 - რესპონდენტთა ასაკი მოიცავდა 21-45 წლის ასაკობრივ კატეგორიას;
 - რესპონდენტებს პენიტენციურ დაწესებულებაში გატარებული ჰქონდათ მინიმუმ 2 წელი და მათ მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებიდან გასული იყო მინიმუმ 1 წელი;

- ყოფილი მსჯავრდებულები განმეორებითი დანაშაულის გარეშე;
 - რესპონდენტთა ასაკი მოიცავდა 21-45 წლის ასაკობრივ კატეგორიას;
 - რესპონდენტებს პენიტენციურ დაწესებულებაში გატარებული ჰქონდათ მინიმუმ 2 წელი და მათ მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებიდან გასული იყო მინიმუმ 1 წელი;
- ყოფილ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები;
- სერვისის მიმწოდებლები;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტები (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, იურისტები, ექიმები);
- გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტები (დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები);
- არასამთავრობო სექტორში მომუშავე სპეციალისტები, რომლებიც სერვისს ახორციელებენ პენიტენციურ დაწესებულებასა და მის გარეთ.

რესპონდენტთა მოძიება და შერჩევის მეთოდი

კვლევის მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის (Patton, 2015) მეთოდის გამოყენებით, წინასწარ შემუშავებული მახასიათებლების საფუძველზე.

განმეორებითი დანაშაულის ჩამდენ ყოფილ მსჯავრდებულთა შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი მახასიათებლები:

– შერჩევა მოიცავდა იმ რესპონდენტებს, ვინც ხანმოკლე (2-4 წელი) და ხანგრძლივი (4 წელზე მეტი) პერიოდი გაატარეს პენიტენციურ დაწესებულებაში.

რესპონდენტები შერჩეულ იქნენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ტიპის მიხედვით: ძალადობრივი, ქონებრივი და ნარკოტიკული დანაშაული. აღნიშნული მახასიათებლები განისაზღვრა რესპონდენტის მიერ უკანასკნელ დანაშაულამდე ჩადენილი დანაშაულის ტიპის მიხედვით.

რესპონდენტთა განანილება შერჩევის კატეგორიების მიხედვით:

	დანაშაულის სახე		
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული პერიოდი (ბოლოს წინა დანაშაულის მიხედვით)	ძალადობრივი დანაშაული 108-ე, 109-ე, 117-ე, 126-ე და 179-ე მუხლები, ასევე, ყველა მუხლი, რომელიც დაკვალიფიცირებულია 111-ით	ქონებრივი დანაშაული 177-ე, 178-ე, 180-ე, 182-ე, 187-ე და 210-ე მუხლები	ნარკოტიკული დანაშაული 260-ე, 262-ე, 265-ე და 273-ე მუხლები
ხანმოკლე პერიოდი (2-4 წელი)	3 რესპონდენტი	4 რესპონდენტი	4 რესპონდენტი
ხანგრძლივი პერიოდი (4 წელი და მეტი)	3 რესპონდენტი	9 რესპონდენტი	2 რესპონდენტი
	ერთჯერადი დანაშაული 5 რესპონდენტი	ერთჯერადი დანაშაული 3 რესპონდენტი	ერთჯერადი დანაშაული 2 რესპონდენტი

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ.

კვლევის ეთიკა

კვლევის ეთიკურობის დაცვის მიზნით განხორციელდა სამიზნე ჯგუფების თავისებურებებისა და საკვლევი საკითხების დეტალური შეფასება. კვლევის მონაწილეები წინასწარ გაეცნენ ინფორმირებული თანხმობის ფორმას, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას კვლევის მიზნის, ინტერვიუს პროცედურის, ხანგრძლივობის, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხებისა და შესაძლო შეკითხვების შესახებ. სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა ხელით და აუდიოჩანერის გამოყენებით.

მონაცემთა დამუშავება

ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების პროცესში მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდა თემატური ანალიზის საშუალებით (Kuckartz, 2014) კომპიუტერული პროგრამა „MAXQDA“-ს გამოყენებით.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

კვლევის ანგარიშის გაცნობისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კვლევის რესპონდენტები საუბრობენ თავიანთ გამოცდილებაზე, რომელიც მიიღეს პენიტენციურ დაწესებულებაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. გამოკითხულ ყოფილ მსჯავრდებულთა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი მოიცავს 1997-2016 წლებს. შესაბამისად, ანგარიშში ასახული მათ მიერ მოთხრობილი ისტორიები ამ პერიოდს უკავშირდება და არა კონკრეტულად ანმყოფ დროს.

I. დანაშაულის ხელშეწყობა ჩადენის ხელშეწყობი ფსიქოლოგიური ფაქტორები

1.1. დანაშაულის ხელშეწყობა ჩადენასთან დაკავშირებული პიროვნული ფაქტორები

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას სპეციალისტებმა, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებასა და გათავისუფლების შემდგომ ყოფილი მსჯავრდებულებისთვის არსებულ სერვისებში მუშაობენ, გამოყვეს კლინიკური მდგომარეობები, რომლებიც კაუზალურ კავშირშია დანაშაულის ხელშეწყობა ჩადენასთან. კერძოდ, სპეციალისტებმა ისაუბრეს პიროვნული აშლილობის ისეთ ტიპებზე, როგორცაა ანტისოციალური და ნარცისული პიროვნული აშლილობა, ფსიქოპათია და შეთანხმდნენ, რომ მსჯავრდებულებში გავრცელებული პიროვნული აშლილობის ფორმები ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. გარდა ამისა, სპეციალისტები თვლიან, რომ პიროვნული აშლილობის მქონე მსჯავრდებულებთან განსხვავებული მიდგომა უნდა არსებობდეს მათთვის დამახასიათებელი ისეთი პიროვნული თავისებურების გამო, როგორც არის ემპათიის ნაკლებობა ან არარსებობა. ამასთან, სპეციალისტები საკმაოდ პესიმისტურად აფასებენ ფსიქოპათიის შემთხვევაში პოზიტიურ

გამოსავალს და დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მაღალ რისკებზე მიგვიჩვენებენ. სპეციალისტების გამოცდილებით, პიროვნული აშლილობის მქონე ყოფილი მსჯავრდებულები ან არ მიმართავენ მათთვის განკუთვნილ პროგრამებს, ან მიმართავენ „მეორეული სარგებლის“ მიღების მიზნით, რაც გულისხმობს, რომ ისინი მსგავს პროგრამებში ერთვებიან იმისთვის, რომ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ახალი დანაშაულის უკეთ დასაგეგმად.

„ზოგადად, კვლევებითაც დადასტურებულია, რომ როცა აღინიშნება პიროვნული აშლილობები, როგორიც არის ნარცისული აშლილობა, ანტისოციალური აშლილობა და სხვა გარკვეული რაოდენობის პიროვნული აშლილობები, უფრო მაღალი რისკია დანაშაულის ჩადენის.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„არსებობს პიროვნული ფაქტორები, რომელიც კავშირშია განმეორებით დანაშაულთან. თუ მე მიდრეკილი ვარ ძალადობრივი დანაშაულების ჩადენისკენ და ამ კუთხით არავინ მუშაობს ჩემთან და რომც მუშაობდეს, ფსიქოპათებზე ვიტყვი, ფსიქოპათია, არ იკურნება, ანუ ამას სჭირდება ხანგრძლივი ცხოვრებისეული მკურნალობა და ასეთი ადამიანი რეციდივის მაღალი რისკით ხასიათდება.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ფსიქოპათიას რასაც ვეძახით ჩვენ, ცოტა მოძველებული ტერმინია. ახლა ანტისოციალურ ქცევასა და პიროვნულ აშლილობას ვეძახიან ზოგჯერ, მაგრამ აზრი რა არის ამისი და რაც იკვეთება ჩვენს ბენეფიციარებში, რა ხდება, ცალ-ცალკე ყველამ ვახსენეთ, მაგრამ ფესვი, საფუძველი მათი ამგვარი ქმედებისა არის ერთი, რომ მგრძობელობა სხვა ადამიანების საჭიროებების, მათი ტკივილის, სურვილებისა და ემოციების შესახებ – ამ ადამიანებს ეს უნარი არ აქვთ სათანადოდ განვითარებული. ემპათიას რასაც ვეძახით – ეს არის საერთოდ საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების საფუძველი, რომ მესმოდეს ადამიანის, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, რომ მას ჩემი ქმედება სწყინს, ტკივილს აყენებს, საერთოდ რა სჭირდება. ეს ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული

უმრავლესობას, ან თითქმის არ აქვთ.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„თუ მართლა ფსიქოპათიასთან გვაქვს საქმე, რა თქმა უნდა, ძალიან ნეგატიური შედეგია, ანუ თითქმის უიმედო მდგომარეობა.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„უმეტესად ანტისოციალური პიროვნების ტიპებთან შეხება ალბათ პრობაციას უფრო ექნება, რადგან, როგორც წესი, ნებაყოფლობით ფსიქოპათიური ტიპის აშლილობის მქონე ადამიანი ფსიქოლოგთან თავისით არ მიდის და დასახმარებლად, როგორც ესეთი, არ მიმართავს ხოლმე. თუ მიდის, ისიც მეორეული სარგებლისთვის.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„არიან კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ყველაფერს ისრუტავენ და ინახავენ. ამ შენახულ ცოდნას ფსიქოპათები როგორ იყენებენ, ცალკე თემაა და სხვები როგორ იყენებენ – ცალკე თემა“. (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

სპეციალისტების მოსაზრებებთან შესაბამისობაშია ყოფილ მსჯავრდებულთა შეხედულებები იმის შესახებ, რომ გარკვეული პიროვნული მახასიათებლები განაპირობებს პირის მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას. რესპონდენტები ტერმინს – პიროვნული აშლილობა – არ იყენებენ, თუმცა აღნიშნულ პირებს მოიხსენიებენ, როგორც „ავადმყოფს“, „მანიაკს“, რითიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი სწორედ პიროვნულ დარღვევებზე მიგვითითებენ. სპეციალისტების მსგავსად, ყოფილი მსჯავრდებულებიც საკმაოდ პესიმისტურ პროგნოზს აკეთებენ ამ ადამიანების პოზიტიური კუთხით ცვლილების თაობაზე და მიიჩნევენ, რომ პიროვნული პრობლემების მქონე პირების მატერიალური უზრუნველყოფა არ წარმოადგენს დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციას. მსჯავრდებულებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ აღნიშნული პრობლემების მქონე მსჯავრდებულთა რაოდენობაზე, რაც 10%-დან 90%-მდე მერყეობს.

„90% არის მართლა მანიაკად დაბადებული. ის, რაც არ უნდა

კარგი ცხოვრება ჰქონდეს, მაინც დანაშაულს ჩაიდენს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული)

„მსჯავრდებულებში არის კატეგორია, რომელსაც, როგორც არ უნდა მოექცე და ხელისგულზე ატარო, მაინც ჩაიდენს დანაშაულს. ასეთია დაახლოებით 10%, ანუ ავადმყოფია. ასეთი პიროვნული მახასიათებელია, ასევე, რომ არ შეუძლია, არ ჩაიდინოს დანაშაული.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ეს ვისაც აქვს სისხლში, ტანკიც რომ დაუყენო ოქროთი, მაინც ჩაიდენს დანაშაულს და ვისაც არა – აგერ ბიჭია ერთი თბილისელი, გამოვიდა ბაზარში, ხან მარწყვი იყიდა, ხან ალუბალი და ვაჭრობს – არ მინდა იქაურობაო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

პიროვნული აშლილობების გარდა დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკ-ფაქტორად ყოფილი მსჯავრდებულების მიერ სახელდება ემოციური აგრესიისკენ მიდრეკილება. გარკვეულ სიტუაციაში შეურაცხყოფის საპასუხოდ რეაქტიული, ფიზიკური აგრესიის გამოვლენას ისინი დანაშაულად არ მიიჩნევენ.

„თუ ღიზიანდება და ისეთი შემთხვევა მოუვიდა, ანალოგიური, ჩხუბზე იჯდა და კიდევ ვიღაცამ რაღაცა აკადრა, ის გამოამჟღავნებს. იმავე დანაშაულს ჩაიდენს, აბა, რას იზამს და მე მგონია, ეს დანაშაული არ არის. უბრალოდ იმას ესე ესმის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„არის ადამიანი მკაცრი თავის საქციელით, არის ადამიანი ჰუმანური – იმას შეუძლია ბევრი რამ მოითმინოს მაგრამ ზოგიერთს არ შეუძლია ელემენტარული მოითმინოს და რომ არ შეუძლია ელემენტარული მოითმინოს, როცა იმას ეხები, იმის პატიოსნებასა და ადამიანობას ეხები, ის ვერ მოგიტმენს, სიტყვიერად საკმარის სამაგიეროს ვერ გაგცემს, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ხდება ის, რომ ეხება ხელით, ეხება ცივი იარაღით და უწევს მერე იმ სასჯელის მოხდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ერთ-ერთი ყოფილი მსჯავრდებული საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობს და ემოციური აგრესიისკენ მიდრეკილებას აღიარებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ფეთქებად ხასიათს“ ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის მიზეზად ასახელებს, ცვლილების სურვილს მაინც არ გამოხატავს.

„ჩემი თავის წინააღმდეგ ჩვენება უნდა მივცე, ისე ბრწყალეზში, ფიცხი ხასიათი მაქვს და ვფეთქდები, ოღონდ ცუდად კი არ ვფეთქდები, რასაც ვამბობ მართლა ვამბობ, ხომ ხვდებით, მაგრამ ამას ჩხუბად მითვლიან, მერე ისიც იძაბება, მერე მეც ვიძაბები... ეს მაქვს და ვერ მოვიცილე, თუმცა არც მინდა, ალბათ იმიტომ, რომ ეს მაცოცხლებს, კარგად ვგრძნობ თავს, როცა არ ვიკავებ თავს. ახლა იმას კი არ ვაკეთებთ, რომ დავხტივარ და ვყვირივარ რაღაცას, როგორც მინდა ისე ვარ, თუ როგორ ვთქვა, არ ვიცი, თავს ცოცხლად რომ გრძნობ ხო იცი, ემოციებით...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

ემოციურ აგრესიას, როგორც დანაშაულის ჩადენის რისკ-ფაქტორს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები – პენიტენციური დაწესებულებისა და გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებიც გამოყოფენ. ისინი ამგვარი პრობლემის მქონე ინდივიდების მახასიათებლად იმპულსის კონტროლის სირთულესა და საკუთარი ქმედების უარყოფითი შედეგის გათვალისწინების უუნარობას ასახელებენ.

„ადამიანები ძალიან ხშირად იმპულსურად მოქმედებენ იმიტომ, რომ არ იციან... უცებ რაღაცა ემოცია დაეუფლება, სიტუაცია შეიქმნება, სადაც გრძნობს, რომ აქ ასეა გასაკეთებელი და მას არა აქვს პიროვნული რესურსი, რომ შედეგი გაითვალისწინოს და შეიძლება სარისკო ქმედება განახორციელოს როგორც საკუთარი თავის, ასევე ადამიანის მიმართ... ანუ ამ წუთას ასე მჭირდება და არ მაინტერესებს სხვისთვის რა შედეგები მომაქვს, ან ახლა ასეა საჭიროა და „მოირჩა, გავაკეთებ – აი, ასეთი მომენტია.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„მაგალითად, ტიპაჟი, რომელიც კონფლიქტის მუდმივად აგრესიულად მოგვარების სტილისკენ არის მიდრეკილი, ხომ არიან ისეთი აგრესიული ტიპაჟები, რომლებიც მუდმივად ამ სტრატე-

გიას იყენებენ ყველგან?“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ყოფილი მსჯავრდებულები მიიჩნევენ, რომ განმეორებითი კრიმინალური ქმედება განპირობებულია ეგრეთ წოდებული „ქურდული მენტალიტეტით“ და არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ თუ ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან. ისინი აღნიშნავენ, რომ ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკი მაღალია და ასეთ შემთხვევაში პრევენცია რთულად განსახორციელებელია.

„ადამიანი, თუ სუბკულტურის წარმომადგენელი არის მართლა, ანუ, თუ მას იდეოლოგიური აზროვნება მართლა აქვს, ის აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს და არა აქვს მნიშვნელობა, გარეთ ეკონომიკურად იქნება ძლიერი თუ ფსიქოლოგიურად მდგრადი. მას თუ იდეოლოგიური აზროვნება აქვს, ის აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს დღეს, ხვალ თუ ზეგ, სადაც საშუალება ექნება და სადაც ექნება იმის განცდა, რომ მისთვის სათანადო ფასს მიიღებს. ის რა რისკზეც წავა, ის მიიღებს იმას, ანუ იდეოლოგიურად ცოტა სხვანაირად ესმის. როცა ჩემთვის, ჩემს შინაგან, ორგანულ თვისებად მიმაჩნია ეს, იქ გარემოებას ველოდები უზრალოდ და იდეოლოგიას თუ ჩავრთავთ, მაშინ ის ჩაიდენს აუცილებლად დანაშაულს. ამის პრევენცია ძალიან რთულია.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სხვადასხვა კატეგორიის ადამიანია, ზოგს საერთოდ არ უნდა გამოსწორება, იქიდან გამოსვლისას ისევ იმაზე ფიქრობს, რომ რამე ჩაიღინოს. მას რაც უნდა შესთავაზო, მაინც იმას გააკეთებს. ვისაც უნდა გამოსწორდეს, ცდილობს. ხალხის კატეგორია სხვადასხვაა. ზოგი დანაშაულით არჩენს თავის ცხოვრებას და ამაყოფს კიდევ ამით.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები გვიზიარებენ პირად გამოცდილებას, რომლის მიხედვითაც, მათ ადრეული ასაკიდან ქუჩაში ყოფნისა და კრიმინალური ინტერესის გარდა, სხვა მოტივები არ ამოძრავებდათ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამგვარი გამოცდილება ახასი-

ათებთ როგორც ძალადობრივი, ისე ქონებრივი და ნარკოტიკული, ასევე მრავალჯერადი (განმეორებითი) ან ერთჯერადი დანაშაულის (ხანგრძლივი პატიმრობის ვადით) ჩამდენ პირებს.

„დასაქმებული არასოდეს არ ვყოფილვარ, სანამ იქ მოვხვდებოდი. ჩვეულებრივად ვცხოვრობდი იმ ცხოვრებით, რომელიც ცხოვრებითაც იქ მოვხვდი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„არ ვმუშაობდი, ვიპარავდი ყველაფერს და დავხეტიალობდი ქუჩაში. 17-18 წლის ვიყავი მაშინ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„აკვიდან რომ გადმოვვარდი, ქუჩაში დავეცი, ქუჩური ცხოვრობით ვცხოვრობ, ერთხელ დავიბადე და ერთხელ მოვკვდები.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სანამ პირველად მოვხვდებოდი, არაფრით ვიყავი დაკავებული, ვიყავი ბირჟავიკი. ქუჩაში ვიყავი და, ერთი სიტყვით, არაფერსაც არ ვაკეთებდი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„არის კატეგორია, რომელიც ბავშვობიდან იპარავს და ნათქვამია ძველი ანდაზა: „ჩვევა რჯულზე უარესიაო“, მას ეს ჩვევაში აქვს გადაზრდილი, იმას ვერაფერი ვერ გამოასწორებს. მაშინ მან იმდენი უნდა მოიპაროს, რომ მთელი ცხოვრება ეყოს, არ უნდა დაიჭირო და მაგ შემთხვევაში შეიძლება გადაერთოს და მოპარული თანხით იცხოვროს, დრო ატაროს. მაგრამ როცა ადამიანი ერთხელ მოიპარავს, ორჯერ მოიპარავს... არის კატეგორია, რომელიც იპარავს იმის გულისთვის, რომ ოჯახი არჩინოს. არის კატეგორია იმისთვის იპარავს, რომ იმას უკვე ჩვევაში აქვს და ველარ დააშლევინებ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ მსჯავრდებულს მოსწონს საკუთარი ცხოვრების სტილი, რომელიც მის მენტალიტეტს შეესაბამება და ეს ხდება მათი დაწესებულებაში მრავალჯერ მოხვედრის მიზეზიც. თუმცა საკუთარი

ოჯახის წევრის შემთხვევაში ისინი გამორიცხავენ კრიმინალური მენტალიტეტის არსებობას და მათ მიერ დანაშაულის ჩადენას შემთხვევითობას მიაწერენ.

„არიან ისეთი ბიჭები, სხვანაირად უბრალოდ არ შეუძლიათ, მოსწონთ იქ ყოფნა და კიდევ წავლენ და ძალიან ბევრჯერ წავლენ და საერთოდ ასეთები არიან, ასე რომ...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„ძალიან გული მწყდება, რომ ჩემს ქმარს პატიმრის იარლიყი აქვს იმიტომ, რომ მართლა კარგი, მოწესრიგებული მამაკაცია ბავშვობიდან დღემდე, კარგ ოჯახში გაზრდილი. ღირებულებები აქვს ისეთი... ქართველი კაცის მენტალიტეტი აქვს და აქედან გამომდინარე, მას ყოველთვის უთქვამს, შავ გაგებას რომ ეძახიან, არ არსებობს ასეთი რამე, უნდა იყო კარგი ადამიანი. აი, ეს არის, გარეთ იქნები, მუშა იქნები, გლეხი თუ პატიმარი, უნდა იყო კარგი ადამიანი. არიან ზოგი ძალიან მოწესრიგებული, შინაგანად განონასწორებული პიროვნებები, რომლებიც მართლა გაუგებრობის მსხვერპლები არიან და არიან ზოგიერთი, აი, ასე ვიტყვი, მათთვის სულერთია ხალხი რას იფიქრებს მათზე ...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„გავლენას ახდენს ადამიანის ღირებულებები, რა თქმა უნდა, მაგრამ თვითონაც როგორ გითხრათ, თავშეკავებულია და ყველანაირად ცდილობს, რომ ცუდს გაერიდოს საერთოდ... მოწესრიგებული ადამიანია. გაუგებრობითა და უაზრო რაღაცის გამო მოხვდა იქ რომ...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ კრიმინალური ცხოვრების „რომანტიზირებაზე“. ფოკუს ჯგუფის მონაწილემ განიხილა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მიზეზი სწორედ დაწესებულებაში დაბრუნების სურვილი გახლდათ, რაც გამოწვეული იყო დაწესებულებაში მისი გავლენის შენარჩუნებითა და საზოგადოებაში რეალიზებულობის დეფიციტით.

„ისევე მოიპარავს, რა თქმა უნდა. პატიმრების თვალში ის უკვე

მაგარი კაცია.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანო იმ ადამიანის, რომელიც განეკუთვნება სუბკულტურას, ანუ მოძველებიჭო ელემენტი იყო თავიდანვე... დაოჯახდა, შვილი, ასე შემდეგ და მეორეჯერ მოხვდა ციხეში და რომ გამოვიდა გარეთ, ციხეო ჩემი სახლიაო, იქ თავს კარგად ვგრძნობ და იქ რომ ყველაფერი მისრულდებაო და მაქვსო, ნეტა გარეთ ვიყო ასეო. თავშიც ამას ნერგავენ, რომ რახან ასეთი სუბკულტურის მატარებელია, რალაც ჩარჩოებში ქურდულ სამყაროს სცემს პატივს ანუ გარეთ უფრო რეალიზებას ვერ ახერხებს. შიგნით ახერხებს იმიტომ, რომ შეიძლება ვილაცა დაჩაგროს, ვილაცას გავლენა მოახვიოს და აქედან გამომდინარე, ეს ჩემი სახლიაო, რა მინდა გარეთო, თვითონ ესეთი დამოკიდებულება აქვთ.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ქურდული ცხოვრების“ ხიბლზე საუბრობენ ყოფილი მსჯავრდებულებიც. კერძოდ, იმ პრივილეგიაზე, რომელიც მათ სასჯელის მოხდის შემდეგ ენიჭებათ. ერთ-ერთი მათგანი იხსენებს საკუთარ გამოცდილებას, რომელიც ეხება ქურდობის გამო თანატოლებში პოპულარობას, რადგან ისინი კრიმინალის იარღლის პოზიტიურ ნიშნად განიხილავდნენ.

„პირველ რიგში, ეს ლიდერობის განცდაა. ოღონდ ლიდერობას ცოტა ბრჭყალებში ვიძახი, ლიდერობის, რომ შენ ამ ყველაფრის გამო სასჯელი მოიხადე და აქ და აქ იყავი. რალაც გადამეტებული რალაცის უფლება გაქვს, მეტი პრივილეგია გაქვს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული)

„მიყვარდა მოპარვა, არც მიჭირდა, საკმაოდ ძლიერი ოჯახიდან ვიყავი და რა ვიცი, უბრალოდ მომწონდა: მახასიათებელი არ იყო, მაშინ მოდა იყო ასეთი რა, ქუჩის ბიჭი რომ ხარ, მაგარი ბიჭი ხარ და ალბათ იმიტომ. ან უბრალოდ მიკვირდა რალაცა, გამოაცლი ვილაცას და მერე გაიხედავ და ის ეძებს, ვაიმე სად დავკარგე... რა ვიცი, ფულის გულისთვის არ მომიპარავს, რომ ფული მეშოვა, სახლშიც რომ მივსულიყავი, იქაც მაძლევდნენ ფულს. უბრალოდ ის იყო, გოგოებში მაგარი ბიჭი იყავი. აი, მომპარავი მყავს შეყვარებული, ქუ-

ჩის ბიჭი, მენტალობა იყო ასეთი, ქალაქშიც ასეთი იყო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

რაც შეეხება დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციას, პიროვნული ფაქტორების შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტების თქმით, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, პიროვნული პრობლემებისა თუ მიდრეკილებების იდენტიფიცირება და ამგვარი სირთულეების არარსებობის შემთხვევაში დასაქმების უზრუნველყოფა, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ემპათიის განვითარება, თვითშეფასების გაძლიერება, მორალური განვითარების ხელშეწყობა.

„პიროვნულად თუ არ არის ასეთი, ამაზე მაქვს საუბარი. ანუ, როდესაც ჩაიძინა დანაშაული, შემთხვევითი დანაშაული ჩაიძინა და გამოვიდა ნორმალური პიროვნება, რომელსაც არ აქვს მიდრეკილება ავტორიტეტული, ქურდული სამყაროსკენ, იმისთვის აუცილებელია დასაქმება. აბა, ის რომ გამოვა გარეთ და რომ დასაქმდება, ვერაფერს რომ ვერ გააკეთებს, იძულებული გახდება, რომ ჩაიძინოს დანაშაული და იმ ჩადენილი დანაშაულიდან მიიღოს საზღაური, რომ ოჯახში რაღაცა შეიტანოს და ელემენტარული ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„გარდა ამისა, არის პასუხისმგებლობა, მე ესე ვფიქრობ, პასუხისმგებლობის დაბალი მაჩვენებელი, როდესაც ადამიანს ეს თვითგანცდა, ემპათია აქვს ძალიან სუსტი დაზარალებული მხარის და ზოგადად, მის ირგვლივ მყოფი ადამიანების მიმართ და ასევე, არა აქვს პირადი ბრალეულობის განცდა, ვერ ახდენს ინდეტიფიცირებას – რა რისკის, რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მის მიერ განხორციელებული ქმედება, თუნდაც არა კანონსაწინააღმდეგო. ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობის დაბალი მაჩვენებლებით არიან, ვფიქრობ, რომ არიან პოტენციური დამნაშავეები...“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„რეალურად დამოუკიდებელ ცხოვრებაში ხელის შემშლელი ძალიან ხშირად არის ეს, რომ ამ ადამიანებს უბრალოდ ტოტალურად

არა აქვთ, არ იციან რას ნიშნავს, რომ პასუხისმგებელია ცხოვრებაზე, არ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა შენი ოჯახის წევრების წინაშე, საზოგადოების წინაშე... შეიძლება არც იყოს და შეიძლება იმიტომ მოხვდა დანესებულებაში, რომ მანამდე არ იყო სათანადოდ მომნიჭებული, ანუ ეს უკავშირდება რაღაცნაირად პიროვნულ უმნიშვნელობას, ასე ვთქვათ.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„სასამართლოზეც გვექონია, რომ ტელეფონი არ მაქვს, გაფუჭებულია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა მიყიდოს, რომ „ესემესი“ მომივიდეს, შემახსენოს პრობაციაში მოსვლა და აი, ეს იყო გამართლება, რომ დაავინყდა მოსვლა. ტელეფონზე რა „ესემესი“ უნდა მომივიდეს, არ მაქვს საშუალება, რომ ვიყიდო და სახელმწიფომ ან ვინმემ მაინც მიყიდოს. შეიძლება მოსამართლესაც უთხრას, თქვენ რომ მიყიდოთ არ შეიძლება? ანუ პასუხისმგებლობის გრძნობა ძალიან დაბალი აქვთ.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ვისაც დაბალი მორალური განვითარება აქვს, ამბობს, მანქანა ღია დამხვდა, ჩავჯექი და წავიყვანე...“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ზოგს შეიძლება ნამდვილად არ ჰქონდეს თავისი შესაძლებლობების ადეკვატური აღქმა და სხვა რაღაც უნდოდეს... ძალიან დაბალი თვითშეფასება ჰქონდეს, სხვისი გავლენის ქვეშ მოექცეს და მერე უბიძგოს კანონსაწინააღმდეგო ქცევისკენ. ასევე, არის დამოუკიდებლობის გრძნობა... დამოუკიდებლად რამდენად აქვთ გადწყვეტილების მიღების უნარი პიროვნულ დონეზე, ესეც ერთგვარად უშლის ხელს, რომ იმავე გარემოცვის გავლენის ქვეშ მოექცეს თავისი პიროვნული სისუსტიდან გამომდინარე.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ფოკუს ჯგუფებისა და ინდივიდუალური ინტერვიუს მონაცემების შეჯამების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიროვნული აშლილობის სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ძლიერ რისკ-ფაქტორს. სპეციალი-

სტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია პიროვნული აშლილობების იდენტიფიცირება და სწორი მოლოდინის განსაზღვრა ზიანის შესამცირებლად.

ყოფილი მსჯავრდებულებისა და სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე, ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაზე გავლენას ახდენს ემოციური ან რეაქტიული აგრესიის კონტროლის სირთულე, ასევე, მსჯავრდებულების მიერ ემოციური აგრესიის, როგორც ურთიერთობის სტილის აღქმა და მისი ნეგატიური შედეგების გათვალისწინების სირთულე. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ეგრეთ წოდებული „ქურდული მენტალიტეტის“ მქონე პირები კვლავ ინარჩუნებენ გავლენას დანესებულებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ კრიმინალურ სუბკულტურაში რეალიზებულია და საზოგადოების დანარჩენ ნაწილში ადაპტირების სირთულე განაპირობებს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას. ამას ადასტურებენ ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები, თავად ყოფილი მსჯავრდებულები და დანესებულების თანამშრომლები.

1.2. მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო მდგომარეობის ცვლილება პენიტენციურ დანესებულებაში და მისი კავშირი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან

ა. იზოლირებით გამოწვეული ზოგადი ფსიქოლოგიური ცვლილებები

პენიტენციური დანესებულებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები გამოყოფენ იზოლირების თანმხლებ სომატურ და ფსიქოლოგიურ სირთულეებს, როგორიცაა: ძილისა და კვების დარღვევა, აგზნების დონის მატება, დისტრესი, რაც, მათი შეხედულებით, დანესებულებაში მოხვედრასთან დაკავშირებულ სრულიად ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს. ისინი აგრეთვე მიიჩნევენ, რომ ხშირად ფსიქიკური პრობლემების განვითარების პროგნოზირება რთულია, რადგან გარემო, რომელიც ფსიქიკური სირთულეების პროვოცირებას ახდენს, არაერთგვაროვნად მოქ-

მედებს ინდივიდებზე.

„ეს არის ბუნებრივი რეაქცია, ჩვეულებრივი სომატური და ფსიქოლოგიური აშლილობა სხვანაირი ხდება. ასე რომ არ იყოს, ის იქნებოდა უფრო გასაკვირი. და ვიდრე დაინწყებს ადაპტაციას და ახლიდან შეეგუება ციხის პირობებს, თუ შეეგუა საერთოდ, ხდება ძილის დარღვევა, კვების მოშლა, შესაბამისად, გაღიზიანებაც, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ძილ-ღვიძილის ციკლთან. ამას დამატებული ახლობლებთან კავშირი, რომელიც ახალდაკავებულს საერთოდ არ აქვს და ადვოკატიტ ხორციელდება. ეს გარესამყაროს მოწყვეტა და უცებ იქ ყოფნა, სადაც მოხვდა, თავის დამკვიდრება, ეს ყველაფერი ძლიერ დიდ გაღიზიანებას იწვევს, რაც კავშირშია უძილობასთან ყველაფერი ეს კი ერთმანეთს კვებავს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ადაპტაციის პრობლემებია, ეს არის სტრესი, რა თქმა უნდა, თუ დროში გრძელვადიანია და ადამიანი ჩაიკეტა, უკვე დისტრესია და ადამიანი არის უკვე ძალიან ცუდად იმის გამო, რომ ჩაიკეტა და როლი შეეცვალა ცხოვრებაში.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„უამრავი ბენეფიციარი გვყავს, რომელსაც დაუფიქსირდა სხვადასხვა აშლილობა, ფსიქოლოგიური ცვლილებების მთელი ტანდემი და რიგები გვაქვს. რატომ? იმიტომ, რომ რაღაცა პირობებმა განაპირობა ამის აფეთქება და ზედაპირზე გამოვლენა. არაპროგნოზირებადია და ცალსახად ვერასდროს ვიტყვით, ვის როგორ და რანაირად შეიძლება მოუვიდეს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ყველასთვის ცნობილია, რომ პენიტენციური სტრესი ყველაზე წამყვანი მდგომარეობაა, რომელიც მსჯავრდებულს აქვს და მისი დამახასიათებელი თვისებებია ის, რომ ადამიანი გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა, იზოლირებულია გარემოსგან და ა.შ.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

სპეციალისტების შეხედულებები თანხვედრაშია ყოფილი მს-

ჯავრდებულების გამოცდილებასა და მოსაზრებებთან. იკვეთება სხვადასხვა სახის ფსიქიკური პრობლემა, როგორცაა: დეპრესია, სტრესთან გამკლავების სირთულეები, ძილის დარღვევები, შფოთვის და აგრესიის დონის მატება.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემების აღმოცენება თავისთავად დახურული დანესებულების თანმხლებია და ყოველთვის არ არის დაკავშირებული არასათანადო მოპყრობასთან. ისინი ასევე მიუთითებენ, რომ პენიტენციურ სტრესთან გამკლავების პროცესში, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. კერძოდ, ზოგიერთი მსჯავრდებული უფრო მეტ მდგრადობას ავლენს და ადვილად ეგუება გარემოს, როცა სხვები დრამატულად ასრულებენ თავისუფლების აღკვეთის პერიოდს. ნიშანდობლივია ის, რომ რესპონდენტები ფსიქოლოგიურ სირთულეებზე საუბრისას არ მიუთითებენ აღნიშნული სირთულეების კავშირს დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან.

„დეპრესია მანუხებდა ძალიან ძლიერად, დიდი ხანიც ვებრძოდი, ჩემ თავს თვითონ ვმკურნალობდი. დეპრესია, სტრესი, ნევროზი, არ ვიცი, რაც კი შეიძლება იყოს...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ცვლილებებია, სტრესულ მდგომარეობაშია ძალიან ბევრი. მაგალითად, ვიცნობდი ერთს, ძალიან ნესიერი ბიჭი იყო, 20 წლის ბიჭი, რომელსაც არც არავინ ეხებოდა, ჯარისკაცი იყო და ერთ თვეში ჩვენს თვალწინ გარდაიცვალა. დაიკლო 40 კილო, არაფერი ეშველა. მიუხედავად იმისა, რომ ზენოლას არავინ არ ახდენდა მაგაზე. ვერ აიტანა უბრალოდ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„აი, ბევრი ვერ უძლებს მართლა ამ ფსიქოლოგიურ სტრესს. ზოგი გიჟდება და საეჭიეთში ხვდება. ზოგს არც ლაპარაკი უნდა, ხმასაც ვერ გასცემ, ალბათ ეგ თვითონ ადამიანზეც არის დამოკიდებული, რომ რამდენად დაუდგები შენ თავს გვერდში და რამდენად გაიმავრებ შენ თავს არ აპყვები ამ ყველაფერს და მოთოკავ შენ თავს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ადამიანს ფსიქიკურად და მორალურად ნერვული სისტემა ეშლება ზოგი იმდენი წელი ზის, იმდენი რალაც აკლია.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„ცხოვრებაში ბევრი მინახავს და უფრო ადვილად გადავიტანე. არის მეორე კატეგორია, რომელსაც არ აქვს ისეთი ნერვები, როგორც მე და ვერ იტანს წინააღმდეგობას. ყველას ერთნაირი ფსიქოლოგია არ აქვს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილ მსჯავრდებულთა და სპეციალისტთა მონაცემებზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ მსჯავრდებულთა უმრავლესობას აღენიშნება ძილის დარღვევა, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გათავისუფლების შემდეგაც ვლინდება.

„ნერვები გიფუჭდება, თუმცა შენი თავი შენ უნდა აიყვანო ხელში, უნდა შეეგუო რეალობას. ცოტა აგრესიულიც ხდები, ძილის აშლილობაც გეწყება. მე ჯერ კიდევ ვერ მომიწესრიგდა ძილის პრობლემა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„მთელი ღამე დადიან. კამერა, მოგეხსენებათ, პატარაა და წინ და უკან დადიან, ფიქრობენ, ვერ იძინებენ მთელი ღამე. მერე დილას ჩაეძინებათ და შუადღემდე სძინავთ, გაიღვიძებენ და იგივე ხდება. ერთი და იგივე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„როცა ვესაუბრებოდით ამ მსჯავრდებულებს, ინტერვიუში აღნიშნავდნენ, რომ ჰქონიათ ძილის აშლილობა, დეპრესია. ასეთი გამოვლინებები ხშირად ხდება და თითქმის ყველგან.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

სპეციალისტების მოსაზრებით დაწესებულებაში მოხვედრას თან ახლავს აგრესიის დონის მატება არააგრესიულ პირებშიც კი, რადგან ხშირად აგრესიის გამოვლენა წარმოადგენს თავის დამკვიდრებისა და თავდაცვის საუკეთესო საშუალებას. იმავე მოსაზრებას იზიარებენ ყოფილი მსჯავრდებულებიც.

„კიდევ ერთი დიდი სირთულეა როლების გადანაწილება, რადგანაც მნიშვნელოვანია მათთან იერარქიები და შესაბამისად,

თავის დამკვიდრება უფრო აგრესიულად აქცევს, შეიძლება პირიქით, არც იყოს ის აგრესიული ტიპაჟი, არაძალადობრივ ქცევაზე იყოს დაკავებული, მაგრამ რომ არ დაიჩაგროს, გამოთქმა ასეთი: „მგელი უნდა იყო“, ძალიან აქტუალურია ჩვენთან დაწესებულებებში და ამიტომ ცდილობენ, რომ უფრო ძლიერებად წარმოაჩინონ თავი, ზედმეტი შფოთვის და რალაცების გარეშე, მაგრამ ძალების გადანაწილება ხდება.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ნერვებზე მოქმედებს, ფიცხი ხდები, რადგან სულ დაძაბულობაში ხარ. იმიტომ, რომ, რაც არ უნდა ახლობლები გყავდეს გვერდში, რამე თუ შეგეშალა, არავინ გაპატიებს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები ცხადად აღწერენ დეპრივაციის თანმხლებ სირთულეებს – კოგნიტური პროცესების (აზროვნება, აღქმა) ცვლილებას და მხედველობის გაუარესების პრობლემას.

„პირველ რიგში, ვაწყდებით დეპრივაციას, იმიტომ, რომ წყდება სამყაროს, კოგნიტური უნარები ძალიან ქვეითდება ან, პირიქით, ხდება ხოლმე, ან ქვეითდება ან იზრდება, ეს მეც ვერ გავიგე, რატომ. კიდევ ცვლილებებს განიცდის... აზროვნებაშია ცვლილებები იმიტომ, რომ პირდაპირ სხვა სამყაროში ხარ, სხვა სივრცეში ხარ, აქ ერთობი, იქ კი ძალიან დაძაბული ხარ. დაძაბული რომ არის იქ ადამიანი, ტვინი რალაც იმ გარემოების მოცემულობაში აზროვნებს და იმდენად ეჩვევა მერე იმ აზროვნებას, რომ გარესამყაროს სხვანაირად აღიქვამს, გარეთ თავისუფლებას სხვანაირად აღიქვამს, პირდაპირ ის ველარ აღიქვამს, რეალური სიმძაფრით ველარ აღიქვამს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ჩაკეტილი რომ ხარ ოთახში, დროის შეგრძნება იკარგება, მხედველობა გიუარესდება, რადგან პატარა მანძილზე გაქვს ურთიერთობა, სიჩქარე იქ არ არის და ასე ყველაფერი ითრგუნება.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები მიიჩნევენ, რომ დაწესებულებაში მიღებული სტრესი არ განაპირობებს დანაშაულის განმეორებას და

ხშირ შემთხვევაში, პირიქით, სინანულის გრძნობასაც აჩენს ჩადენილი დანაშაულის გამო.

„არა, არა, მაგის (დანესებულების გამოცდილება, სტრესი) ბრალი, ჩემი თავის ბრალია ეს ყველაფერი, მე რაც გავაკეთე არის იდიოტობა და სისულელეა. მე ჩემს თავზე ვლაპარაკობ, რომ მე გავაკეთე ყველაზე დიდი იდიოტობა, რომ ეს წლები ტყუილად დავკარგე, ჩამოვრჩი ცხოვრებას, ჩამოვრჩი ყველაფერს, ჩამოვრჩი ოჯახს...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„პირიქით, იმას ვცდილობ, რომ უფრო მოვერიდო.. როგორ გითხრა, შევიცვალე იმ მხრივ, რომ, რაც ჩავიდინე, ის რომ აღარ ჩავიდინო. უფრო გამოვასწორო ჩემი საქციელი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ინანიებს ალბათ, რადგან სტრესის ქვეშაა და დანაშაული მეორედ რატომ უნდა ჩაიდინოს... არ ვიცი, ვერა ვხვდები, აი, ადამიანი რომ ერთხელ ციხეში მოხვდება, იმას მეორედ რატომ უნდა მოუნდეს იქ წასვლა?!“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ამგვარად, რესპონდენტების გადმოცემით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ მსჯავრდებულები განიცდიან ისეთ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, როგორცაა: დეპრესია, შფოთვისა და აგრესიის დონის მატება, ძილის დარღვევა, კოგნიტური პროცესების გაუარესება. აღნიშნული ცვლილებები იზოლირების თანმხლები ბუნებრივი რეაქციის ასახვას წარმოადგენს და პირდაპირ არ უკავშირდება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას.

ბ. სასჯელაღსრულების დანესებულებაში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ცვლილებები

ყოფილ მსჯავრდებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილება იმ შემთხვევაში განაპირობებს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას, თუ ის გამოწვეულია დანესებულებაში არასათანადო

მოპყრობით. არასათანადო მოპყრობაში ისინი გულისხმობენ როგორც უგულებელყოფას, ისე თანამშრომლების მხრიდან ზენოლას (მაგალითად, ქონების ჩამორთმევის საფრთხე, მუქარა), ძალადობას (ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს). სასჯელალსრულების დანესებულებაში არსებული ფსიქოლოგიური წნეხი შესაძლებელია გახდეს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მიზეზი, რადგან ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულები კარგავენ დადებითი ცვლილების მოტივაციასა და რწმენას, რაც მათში სამაგიეროს გადახდის, დანაშაულის „მარტივად“ ჩადენის სურვილს აღვივებს.

„მე მეორეჯერ დანაშაული რომ ჩავიდინე... ეს იყო უკვე ძლიერად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ჩემი მენტალური მდგომარეობა და ჩემი აზროვნება, რომელიც იქ ჩამომიყალიბდა და ზუსტად ის პირობები უწყობდა ამ ყველაფერს ხელს, იქ არსებული მდგომარეობა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან ბევრჯერ არის ისეთი შემთხვევა, რომ იქ დაზიანებული ფსიქოლოგიის, აზროვნების გამო, გამოსვლიდან სანამ სახლამდე მისულა, დანაშაული ჩაუდენია. იმდენად არღვევს ადამიანის ფსიქიკას ეგ ყველაფერი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„გულის წყვეტა გაქვს, პირველ რიგში, რომ გამოდიხარ, აგრესიული ხარ ყველას მიმართ იმიტომ, რომ როდესაც იქ პატიმარი ხარ, არავინ ყურადღებას არ გაქცევს ოჯახის გარდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სხვანაირად უყურებ ცხოვრებას, ფასეულობებს კარგავ. ყველაფერს იოლად აფასებ და ეს აადვილებს დანაშაულის ჩადენას.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან ბევრი მინახავს მერე რომ გამოვედი, უბრალოდ ჭკუიდან გადასულები, შეშლილები. ზოგმა ძალიან მძიმედ განიცადა ეს პერიოდი, ბევრი უკან შეტრიალდა კიდევაც. თუ ვინმე დარჩა, ძალიან აგრესიული და ძალიან საშიშია იმიტომ, რომ იმას ყველაფერი წაართვეს თუ რამე ღირებული ჰქონდა, დაკარგა

ყველაფერი, ხვდებით? ადამიანი ყველაფერს რომ დაკარგავს, ის უკვე საშიშია მერე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

რესპონდენტების მოსაზრებით დანესებულებაში არსებული პიროვნული კონფლიქტი და შურისძიება პირდაპირკავშირშია დანაშაულის განმეორებასთან:

„რაც უფრო გამწარებული ხარ ადამიანი ბადრაგზე თუ სხვა ადამიანებზე, მით უფრო დანაშაულს სჩადიხარ, რა თქმა უნდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ერთმანეთში კონფლიქტია. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ იქაური კონფლიქტი გარეთ გაგრძელდეს. თუნდაც თანამშრომლები, რომლებიც ცუდად ექცეოდნენ, მიკვირს, რომ ქუჩაში დადიან, ცოცხლები არიან და არ დახოცეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

სპეციალისტთა მოსაზრებები თანხმობაშია ყოფილი მსჯავრდებულების გამოცდილებასთან. ისინი მიიჩნევენ, რომ დანესებულებაში არსებული წნეხი და კონფლიქტი განაპირობებს დანაშაულის განმეორებას. ერთ-ერთი რესპონდენტი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, რომელიც ცხადყოფს, რომ განმეორებითი ძალადობრივი დანაშაული დანესებულებაში მიღებულ ნეგატიურ გამოცდილებას უკავშირდება.

„პირველად ნასამართლობა ჰქონდა ძალიან მსუბუქ დანაშაულზე იმასთან შედარებით, რაც მერე ჩაიდინა. მეორე იყო ძალადობრივი და თქვა, რომ.. ანუ ციხეში პრობლემები ჰქონდა მთელი 2 წელი პერსონალთან და მუდმივი ცემის მსხვერპლი იყო, ბევრი ოპერაცია ჩაიტარა იქიდან გამოსვლის შემდეგ, მეორე დანაშაული იყო ძალადობრივი, რის გამოც ისევ შებრუნდა ციხეში და ახლა უკვე პირობითზეა. ახლა იძახის, მე ეს სახელწიფო ვერ მომთხოვს იმაზე პასუხს, რასაც თვითონ აკეთებდა წლების განმავლობაშიო. ამას როცა გეუბნებიან, მერე ალბათ რთულია პოზიციების დაცვა.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ადამიანი როდესაც ხვდება ციხეში და იქ არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხდება, იმას უკვე არჩევანი არა აქვს არანაირად ხომ?! პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანი ვილაცხამ თუ აწამა, ის ფიქრობს, რომ მე ჩავიდენ დანაშაულს, იმიტომ, რომ მეკუთვნის, მაგრამ არაცნობიერად ხშირ შემთხვევაში, არის ის, რომ შენ კი შეიძლება დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ერთ-ერთი მექანიზმი იყო და, მეორე მხრივ, ისიც იყოს, რომ ორმაგად მოგვთხოვოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს პასუხისმგებლობა, რომ მოვდივარ, დამეხმარე, რატომ არ მეხმარები, რატომ არ ვიკურნები, შენ გამო ვიჯექი მე!...“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ამგვარად, რესპონდენტთა (როგორც ყოფილი მსჯავრდებულების, ისე სპეციალისტების) მოსაზრებების შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, თუ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური ცვლილებები გამოწვეულია დაწესებულებაში არსებული არასათანადო მოპყრობით, მაშინ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი იზრდება. დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილი გულგრილობა და ძალადობრივი ქმედება მსჯავრდებულში ამცირებს ცვლილების მოტივაციას და ბადებს სამაგიეროს გადახდის სურვილს.

გ. მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება და მისი გავლენა დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაზე

დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დრამატულ ცვლილებებზე, C-ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის გავრცელებაზე საუბრობენ ყოფილი მსჯავრდებულები, მათი ოჯახის წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი დაავადებათა გავრცელების მიზეზად ასახელებენ გადატვირთულ, ნესტიან საკნებს, დაავადებული და ჯანმრთელი მსჯავრდებულების ერთ სივრცეში ყოფნას, სტომატოლოგიური მომსახურების დროს ინფიცირების მაღალი საფრთხის არსებობას. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

აღნიშნავს, რომ ყოფილი მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც სასჯელს 2012 წლამდე იხდიდნენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სამედიცინო დახმარება, თუმცა მათთვის განკუთვნილი სერვისები არასაკმარისია. აღნიშნულ პირებს ფიზიკური ძალადობით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები აქვთ.

„ძალიან ხშირი იყო ტუბერკულოზის გავრცელება, როგორ გადავჩი, ძალიან მიკვირს. ალბათ იმიტომ, რომ ასაკი მქონდა დიდი. მე სადაც ვიყავი 150 საწოლი იყო, ერთი შემოსაზღვრულ ოთახივით იყო და იქ იყო 300 ადამიანი, ხან 250. თავისთავად ისე ვრცელდებოდა, ვერც გაიგებდი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„აი, ახლა გლდანიდან რომ გადაგვიყვანეს რუსთავში, ახალი აშენებული იყო. კედლები სველი იყო. ჩაგვკეტეს 2 თვე. 2 თვე არ ალებდნენ საერთოდ კამერას, კარანტინი გვქონდა. აი, იმ კამერაში ვინც ვიყავით, ყველამ ტუბერკულოზი ავიკიდე. კედლები შუა ადგილიდან გათეთრდა. ფილტვებით გავაშრეთ რა, სუნთქვით. ნელ-ნელა წავიდა ასე. კუთხეები ისევ სველი იყო. ახალ გალესილში შეგვყარეს... (2008 ან 2009 წელი).“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან ბევრი ფაქტი იყო C-ს გავრცელების, თვითონ სამედიცინო კუთხიდან არ იყვნენ იმდენად მომზადებულები. ტუბერკულოზიანი ადამიანები ცალკე საკანში უნდა ყოფილიყვნენ, ემკურნალათ, ყოფილიყვნენ იზოლირებულები ხალხისგან, მაგრამ არ ხდებოდა ეგრე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან ბევრი ავადმყოფი გამოდის იქიდან, ზოგს ფილტვის პრობლემა, ზოგს ღვიძლის პრობლემა აქვს. ღმერთმა დაიფაროს და ჩემი მეუღლე ჯანმრთელი გამოვიდა, ელემენტარულად სტომატოლოგიურ მკურნალობასაც ერიდებოდა იმიტომ, რომ იმდენი შემთხვევა ყოფილა, ბევრი დაავადებული გამოვიდა იქიდან და იმდენად იტანდა იმ ტკივილსაც, რომ ექიმთან შიშით არ მიდიოდა.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

“2012 წლამდე ვინც იყვნენ დაწესებულებაში ყველა მათგანს აქვს ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან მუდმივად სცემდნენ ამ ადამიანებს. რა თქმა უნდა, ფსიქიკური პრობლემებიც აქვთ. კუჭ-ნაწლავის პრობლემები საკვების გამო. ახლა არ ვიცი როგორ არის, მაგრამ ადრე ისეთ ცხიმზე მზადდებოდა საკვები, რომელიც ინვევდა კუჭ-ნაწლავის პრობლემებს. ანუ ძალიან ბევრი პრობლემით გამოდიან ეს ადამიანები და სახელმწიფოს არა აქვს მათთვის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ის რაც ციხეშია, ამ ადამიანებისთვის არ არის საკმარისი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ყოფილი მსჯავრდებულები უკმაყოფილებას გამოთქვამენ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ სამედიცინო ბარიერებთან დაკავშირებით, როგორცაა ხანგრძლივი რიგი, სამედიცინო პერსონალის სიმწირე და მედიკამენტების დეფიციტი. აღნიშნული ბარიერები ხშირად მსჯავრდებულებში ხდება თვითდაზიანებისა და სხვათა მიმართ განხორციელებული აგრესიის მიზეზი.

„ზოგი ისერავს ხელებს, ზოგი იკერავს პირს. ტომოგრაფია აქვს გადასაღები და რიგში 260-ეა. რა რიგი, რის რიგი, ცუდად რომ ხარ რიგს დაველოდები? ძირითადად ეგ არის პრობლემა, არ გსინჯავენ დროულად, მერე ხდება აგრესიული ის პატიმარი, მერე ოჯახის წევრიც რომ მოდის, უკვე იმასთანაც აგრესიულად არის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ფსიქიატრთან, მაგალითად, ძალიან გაუჭირდა ჩემს მეგობარს. ძალიან სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ვერ შეძლო. ინერებოდა და ექიმი არ მოდიოდა. რადგან ერთი ფსიქიატრი იყო და 2000 თუ 3000 კაციანი ციხეა. არ მახსოვს ზუსტად. ალბათ პრობლემა პერსონალის სიმცირეა“. (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„შეზღუდულია ზოგიერთი წამალი, რომელიც თვითონ სასჯელსრულებას არ აქვს და ამ დროს ოჯახს აქვს, ერთი ან ორი კვირით ადრე უნდა უთხრა, რომ შემოგიტანონ, დამტკიცდეს, ასევე უფროსთან შეთანხმდეს, რომ ეს პრეპარატი მართლა

სჭირდება პატიმარს, მერე ექიმმა უნდა დაადასტუროს და ათასი ასეთი რამეა, რაც მერე გიქრობს მკურნალობის მიზანს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

სხვა რესპონდენტებისგან განსხვავებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ზემოთ ხსენებული პრობლემების არსებობას უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში, ერთდერთ სამედიცინო პრობლემას წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ პირადი ჰიგიენის დაუცველობასთან დაკავშირებული გართულებები, რაც არ ქმნის მნიშვნელოვანი დაავადებების წარმოქმნის საფრთხეს. უფრო მეტიც, დაწესებულების თანამშრომლების გადმოცემით, დაწესებულებაში სამედიცინო, პროგრამული მომსახურება გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე სამოქალაქო სექტორში, რადგან თანამშრომლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მსჯავრდებულების მიერ სამედიცინო მომსახურების დროულად მიღებას.

„რაც შეეხება დაავადებას დაწესებულებაში, გარდა იმისა, რომ შეიძლება სიბინძურისგან რალაცა შეიძინოს, სხვა ვერაფერს ვერ შეიძენს იმიტომ, რომ, თუ თავის თავს არ უვლის, შეიძლება კანის დაავადება, ან რაიმე პრობლემა შეექმნას. ეს შეიძლება სხვაგანაც შეიძინოს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ფიზიკური, ანუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაავადებების რისკი ნულია და ეს სიმართლეა.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ყველა დაწესებულებაში საუკეთესო კლინიკებია... ეს არის რეალური იმიტომ, რომ აბსოლუტურად ყველანაირი პროგრამა მუშაობს, რომელიც არსებობს გარეთ ჯანდაცვის სექტორში და ჩვენთან ეს არის იმ საზოგადოების ნაწილი.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„თუ აქვს აქტიური ტუბერკულოზი, მაშინ ის იზოლირებულია.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ბევრად უკეთესად მუშაობს, უფრო კარგად იმ თვალსაზ-

რისით, რომ, თუ გარე სექტორში თვითონ ადამიანი წყვეტს თავის ბედს – აი, მივალ, არ მივალ, დღეს მეზარება, ხვალ წავალ, ჩვენთან უფრო მონადინებულია. ჯერ ერთი, ჩვენც ვაქცევთ ყურადღებას და კონტროლის ქვეშ გვყავს. ასევე, იმდენს ვესაუბრებით, რომ არ ხდება ასე, რომ ადამიანის ნებაზე იყოს დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ვესაუბრებით იმდენს, რომ მიხვდეს და იმკურნალოს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ზოგიერთი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი და ყოფილი მსჯავრდებული კმაყოფილებას გამოთქვამს დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურებით, თუმცა ერთ-ერთი მათგანი იმასაც აღნიშნავს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულება, როგორც დახურული სივრცე, თავისთავად, დაავადების წარმოქმნის წყაროა.

„ამბობდა, ყველაფერზე მიმკურნალებსო, ძალიან კმაყოფილი იყო, ხომ გეუბნებით, კბილები უნდა გაეკეთებინა და გამოუშვეს, გული სწყდებოდა, ვერ მოვასწარიო (იციინის).“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„მედიცინას სააკაშვილის დროსაც და ახლაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ჩემი მეუღლეც ყურადღების ქვეშ იყო, ექიმები სინჯავდნენ და ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ ციხეში მაინც ავადმყოფობის კერაა, მაინც დახურული სივრცეა...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

ნიშანდობლივია ის, რომ დაწესებულების თანამშრომლები დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მოტივად სწორედ სამედიცინო მომსახურების მიღებას მიიჩნევენ. ისინი იხსენებენ შემთხვევას, როდესაც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე ან დანაშაული ხელმეორედ ჩაიდინა იმის გამო, რომ ქირურგიული ოპერაცია გაეკეთებინა დაწესებულებაში ყოფნისას.

„ასეთი შემთხვევა გვქონდა, გავიდა და უკან დაბრუნდა იმის გულისთვის, რომ ოპერაცია გაეკეთებინა.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ვადაზე ადრე განთავისუფლებაზე ერთმა ჩვენმა მსჯავრდებულმა უარი თქვა და მიზეზი რომ ჰქოთხეს, უპასუხა, მე ჯერ კიდევ გამოკვლევები მაქვს ჩასატარებელი, სამკურნალო ვარ და უარს ვამბობ.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ყოფილი მსჯავრდებულებიდან მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა სამედიცინო მომსახურების მიღების სურვილზე – როგორც დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მიზეზზე. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად წვრილმანი დანაშაულის ჩადენა იმიტომ ხდება, რომ თავისუფლების აღკვეთის ხანმოკლე პერიოდში მსჯავრდებული საჭირო სამედიცინო მომსახურებას ლეზულობს.

„შეიძლება სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ ისეთებიც მინახავს, სპეციალურად რომ აჭერინებენ თავს იმიტომ, რომ ოპერაცია აქვს გასაკეთებელი, რაღაც ნ-თვიანზე რომ დაჯდეს (იციინის). საშუალება არ აქვთ გარეთ და იქ იცის, რომ სახელწიფო ვალდებულია. ზოგი კბილებს იკეთებს შემოსვლისთანავე, ძირითადად, ვინც ხელმეორედ არის ნაჯდომი იწყებს, ჩალიჩს, რომ კბილები გაიკეთოს, სანამ გათავისუფლდება, ყველა კბილი გაკეთებული ჰქონდეს (იციინის). სასაცილოა, მაგრამ ეგრეა რა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილ მსჯავრდებულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ ახდენს გავლენას დანაშაულის ჩადენაზე.

„ჯანმრთელობას არ აქვს კავშირი დანაშაულთან.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„არა აქვს არანაირი მნიშვნელობა. იქიდან რომ გამოდიხარ, ყველაფერი ერთ-ორ თვეში გავიწყდება. შეიძლება ერთი თვე გახსოვდეს და ისევ თავიდან იწყებ. მალე გავიწყდება.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„რა შუაშია, იქ თუ დაავადმყოფდი, გარეთ ვის რა უნდა დაუშავო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ფსიქოლოგიას თუ გავმიჯნავთ და უბრალოდ ფიზიკურ

ჯანმრთელობას ვიტყვით, დიდ გავლენას ვერ ახდენს. თუ ადამიანს დანაშაულის ჩადენა უნდა და ამ მხრივ მისი მენტალობა არ შეცვლილა, მისი ფიზიკური მდგომარეობა არაფერს არ ცვლის საერთოდ, ჩემი აზრით.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„იქიდან დასუსტებული გამოვედი, მერე ტუბერკულოზი ავიკიდე, ოღონდ ისეთი ნიშნები იყო დაბალი და მალევე მოხდა მკურნალობა, მალევე ჩავახშე, რა ვიცი, არ გავბოროტდი. არა, ეგ არ ხდება ადამიანში, ანუ თუ ტიპი არ ხარ მასეთი, ვერ გავბოროტდები.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

მხოლოდ ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში სამედიცინო მდგომარეობის გაუარესება მსჯავრდებულებში იწვევს პროტესტს, რაც გავლენას ახდენს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაზე:

„მე ვფიქრობ, როცა ადამიანი იქიდან გამოდის, როცა შვეა უფრო ჯანმრთელი და იქიდან უფრო ავადმყოფი გამოვა, თავისთავად რაღაც პროტესტი გაუჩნდება – რატომ უნდა დაავადმყოფებულიყო დაწესებულებაში და ალბათ, რაღაც სურვილი ექნება, რომ ისევ დანაშაული ჩაიდინოს, რომ ისევ თავის თავს სიკეთე მოუტანოს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

საბოლოოდ, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელთა ფოკუს ჯგუფის მონაცემების შეჯამების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულების გარეთ არსებული დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ზოგიერთ შემთხვევაში განაპირობებს მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის განმეორებას, რომ მათ მიიღონ ის სამედიცინო მომსახურება სასჯელალსრულების დაწესებულებაში, რომელიც მათთვის არ არის სხვაგვარად ხელმისაწვდომი. სხვა მხრივ რესპონდენტები ვერ ხედავენ კავშირს დაწესებულებაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და დანაშაულის განმეორებას შორის, თუმცა საუბრობენ სამედიცინო ბარიერებსა და

ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ გარემოებებზე.

დ. დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციის ხელშემწყობი ფსიქოლოგიური ფაქტორები

ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგიურ სირთულეებთან გამკლავების საუკეთესო სტრატეგიას მსჯავრდებულებისთვის წარმოადგენს ურთიერთმხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება, რის შედეგადაც ისინი განიცდიან გარკვეულ განტვირთვას და ახდენენ საკუთარი მდგომარეობის ნორმალიზებას. ხანგრძლივი პატიმრობის გამოცდილების მქონე მსჯავრდებულები დახმარებას უწევენ ახალ მსჯავრდებულს, რომელიც სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. გამოცდილი მსჯავრდებულები ცდილობენ მათ დამშვიდებას, გამხნევენ, რასაც საკმაოდ ძლიერი ეფექტი აქვს.

„ყოველთვის გამოჩნდება კამერაში ისეთი პიროვნება, ვინც მივა და მიუჯდება ახლადდაკავებულს. ძირითადად, ვინც უფრო დიდხანს ზის, დიდი სასჯელი აქვს მისჯილი და დიდი დრო აქვს რა, ასეთი ადამიანი უფრო მივა იმასთან რა, ამშვიდებს ერთგვარად: – მე, ბიჭო, 20 წელი ვიჯექი და შენ რა გატირებს 2 წელი და რალაცა... არიგებენ ჭკუას, ზოგი ნამუსზე ააგდებს – კაცი ხარ და რა გატირებს, გააჩნია როგორი პიროვნებაა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„იქ შიგნით, მეგობრების დახმარებით, მოქმედებით, ერთად ვინც ვცხოვრობდით, განყნარებდნენ, განუგეშებდნენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალებით, ლაპარაკით, ფსიქოტრენინგებს ვუტარებდით ერთმანეთს, ვუზიარებდით. კომუნიკაცია არის პირველი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ერთ-ერთი სპეციალისტის მოსაზრებით მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს ჰქონდეთ ინფორმაცია სტრესთან გამკლავების სტრატეგიების, მსჯავრდებულთა უფლებების, ასევე, გადამდები დაავადებების შესახებ იმისთვის, რომ მსჯავ-

ვრდებულებმა ერთმანეთს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. ამასთანავე, სპეციალისტები ხაზს უსვამენ პენიტენციური სტრესის შესახებ სატრენინგო მოდულის მნიშვნელობას, რისი მეშვეობითაც ხდება მსჯავრდებულების სათანადო ინფორმირება დაკავების, სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების ეტაპებზე არსებული სტრესისა და მასთან გამკლავების სტრატეგიების შესახებ.

„როცა ადამიანი დანესებულებაში ხვდება, ძალიან მნიშვნელოვანია ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა შეძლოს ამ სტრესთან გამკლავება. ამ შემთხვევაში საჭიროა გუნდი, რომელიც ელემენტარულ ინფორმაციას მიაწვდის, რაღაცა რომ დასჭირდება, ვის უნდა მიმართოს. მე რა გამოცდილებაც მაქვს, ხშირად საუბრისას ამბობენ, რომ ერთმანეთისგან იგებენ. თან, როცა შედიან, სტრესის გამო, როცა აცნობენ საკუთარ უფლებებს, ძალიან მექანიკურად აწერენ ხელს, რომ გაეცნენ, ან მიაქვთ საკანში. შემდეგ, ძირითადად, ხდება ისე, რომ თანამესაკნე აწვდის ინფორმაციას, მაგალითად, დაავადებებთან დაკავშირებით და აბსურდული ინფორმაცია აქვთ, მაგალითად, C-ჰეპატიტის გადადებასთან დაკავშირებით. რადგან არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია, ერთმანეთის იმედად არიან, თუ ვინმე რამე ინფორმაციას გაუზიარებს. კიდევ განსხვავებული უნდა იყოს მიდგომა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების შემთხვევაში. ბრალდებულების შემთხვევაში ართულებს ის სიტუაცია, რომ განაჩენის მოლოდინში არიან და ეს დამატებითი სტრესია.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„პენიტენციური სტრესის მოდული ძალიან ეფექტურია იმიტომ, რომ იქ არის საუბარი ზუსტად ამ პერიოდებზე – დაკავების პერიოდი, სასჯელის მოხდის პერიოდი, გათავისუფლების პერიოდი – როგორ მოქმედებს ადამიანზე, ყველა ეს პერიოდი ცალცალკე და მე რა უნდა გავაკეთო, რომ ამას გავუმკლავდე. ანუ პირდაპირ ვასწავლით ამ უნარებს, როგორ უნდა გაუმკლავდეს ამ სტრესს და რა გააკეთოს, მაგრამ ეს არ არის იდეალური ვარიანტი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დანესებულების თანამშრომელი).

მსჯავრდებულებითვის დაძაბულობის შემცირებას ხელს უწყობს ოჯახის წევრებთან ურთიერთობა. ამასთან, ერთ-ერთი სპეციალისტის გამოცდილებით, მამაკაცების უმრავლესობას, ქალი პატიმრებისგან განსხვავებით, მეტი მხარდაჭერა აქვთ ოჯახის წევრებისგან.

„მეუღლესთან ურთიერთობა.... ფსიქოლოგიურად განტვირთვაში, ყველაფერში... (პაუზა) მეტ დაძაბულობას გიხსნიდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„მამაკაცებს უფრო მეტად ჰყავთ მხარდამჭერები გარეთ, ვიდრე ქალებს ხშირ შემთხვევაში. ძალიან ბევრი ქალის ოჯახის დანგრევა პატიმრობამ გამოიწვია. მამაკაცებს უფრო აკითხავენ, ცოლი დაშორდა იმიტომ, რომ ციხეშია, ასეთი არ ყოფილა.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ფსიქოლოგიურ პრობლემებთან გამკლავების მექანიზმებზე საუბრისას ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა დაწესებულებაში ფსიქოლოგთან ურთიერთობაზე ამხვილებს ყურადღებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგთან ურთიერთობა დადებით გავლენას ახდენს მსჯავრდებულის ცნობიერების ამაღლებაზე, ეხმარება მას გამოცდილების გადაფასებასა და გათავისუფლებისთვის მომზადებაში. ისინი მიიჩნევენ, რომ მეტი ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო აქტივობები უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულებაში.

„ფსიქოლოგიური მუშაობები, მეტი აქტივობები საგანმანათლებლო კუთხით, ცნობიერების ამაღლება. ოღონდ ბევრად მეტი უარყოფითი მხრიდან დანახვა იმ მსხვერპლის მდგომარეობის და რალაცნაირად პარალელი საკუთარ თავზე, როცა ეს მსხვერპლი შეიძლება თვითონ იყოს იმიტომ, რომ ამის საფრთხე ცხოვრებაში არსებობს და ამის ღრმა გაცნობიერება, დროთა განმავლობაში გეგმაზომიერად როცა მიდის, მით უმეტეს ამაზე მუშაობა, ადამიანში სერიოზულ კვალს ტოვებს და ამის სერიოზული დანაკლისი იქ არის ნამდვილად და ეს დაეხმარებოდა, ჩემი აზრით, ყველას. რალაცა დოზით მაინც.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ფსიქოლოგები შემოდის დენ ზონაში და ფსიქოლოგიურ გაკვეთილს ატარებდენ, ვინც ამთავრებდა სასჯელს და რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, ხუთი თვე, ექვსი თვე ან სამი თვე. აი, მათთან ფსიქოლოგიურ გაკვეთილს ატარებდენ კვირაში ორჯერ. იქ მერე ისეთი გასაუბრებები იყო, მოვხვდი ერთ-ორჯერ, ბევრი ეკლესიაში გადასულა საცხოვრებლად მათი საუბრისგან და ბევრი რომელიღაცა კამერიდან გამოსულა, ცალკე უცხოვრია – განტვირთვა მინდა, რომ შევემზადო. ფსიქოლოგი ბევრ რამეს ნიშნავს იქ. უნდა იყოს, ფსიქოლოგიური ჯგუფი, უნდა შედიოდეს და რაღაც გაკვეთილი უნდა ტარდებოდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ფსიქოლოგის დახმარება მოვითხოვე და გამინიეს ეს დახმარება. წამლებს ვსვამდი დამწყნარებელს და ვთხოვე, რომ ამას არ დავლევ-მეთქი, ეს თერაპია გავაკეთოთ-მეთქი კვირაში სამი დღე მაინც. ეს სამი დღე ძალიან ბევრი იყო, მაგრამ გამიკეთეს, გამიკეთეს და კარგი იყო ეგ ჩემთვის, რაღაცებში მაგრად დამეხმარა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებული უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ, თუ მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემა არ აქვს მსჯავრდებულს, მისთვის ფსიქოლოგიური სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

„აი, ძალიან უნდა დაანგრიო, რომ იქ მოგიყვანონ ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. ერთმა ბიჭმა მაგის ნიადაგზე თავი მოიკლა... მარტო მოთხოვნაც არა რა... მართლა უნდა გაგიყდე და რა ვიცი..“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგი ფორმალური შეკითხვებით შემოიფარგლა გასაუბრებისას და მას არ გაუწია ფსიქოლოგიური დახმარება.

„შემოვიდა და ისეთ რაღაცებს მეკითხებოდა, რომ საერთოდ რა შუაში იყო, ან დებილი ვეგონე, ჭკუასუსტი თუ რა იყო, არ ვიცი. წერა იცით? კითხვა იცით? ცოლი გყავსო? დედა გყავსო? მამა გყავსო? და მორჩა, წავიდა. ეგ რა არის? ფსიქოლოგს იმიტომ ვეძახი,

რომ დახმარება მინდა ფსიქოლოგიური, ხომ? რალაცა თემაზე საუბარი მინდა... ეს წერა-კითხვა იცი, რა უბედურებაა, 30 წლის ვარ და წერა-კითხვა როგორ არ მეცოდინება ან რომც არ ვიცოდე რა, მასწავლის ახლა ფსიქოლოგი წერა-კითხვას?!“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ამგვარად, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ დანაშაულის პრევენციას ხელს შეუწყობს პენიტენციურ დაწესებულებაში თვითდახმარების ჯგუფების შექმნა, მსჯავრდებულთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა პენიტენციური სტრესის მართვის კუთხით, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო სერვისების გაძლიერება.

1.3. სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებასთან ასოცირებული ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას

ა. რისკ-ფაქტორები

ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ გათავისუფლების შემდგომ ადაპტაციის სირთულეებზე – გარემოს ცვლილებებთან შეგუებასა და სხვა ადამიანებისგან განსხვავებულობის სუბიექტურ განცდაზე. ზოგიერთი მათგანისთვის შესაძლოა სტრესული აღმონდეს ახლობლის მიერ სამსახურის შეთავაზებაც კი, რადგან მათ არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების. ზოგიერთი მსჯავრდებული განსაკუთრებით მოწყვლადია გარემო ფაქტორების მიმართ და შესაბამისად, დეპრესიის, „ნევროტული მდგომარეობების“ განვითარების რისკის მატარებელია.

„ფსიქოლოგიური პრობლემები არის ისიც, აი, რომ გამოდის ადამიანი, ირგვლივაც რალაცებს ვერ უწყობენ ხოლმე, პირდაპირ სთხოვენ რალაცებს და ახლა პირდაპირ ვერ იზამს იმიტომ, რომ ძალიან რთულია მაშინვე მოერგო გარეთ და ბოლოს მიდის ხოლმე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ყველას ეჭვის თვალით უყურებ, თუნდაც ოჯახის წევრებსაც, მეზობლებსაც... აი, გამოვიდა ახლა... და გრძნობ, პატიმარი მაინც

რა, არავინ არ თქვას, რომ არ განსხვავდები ჩვეულებრივი მოქალაქისგან, განსხვავდება ყოველთვის პატიმარი და იქნება სულ ასე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„გარეთ რომ გამოდიხარ, სულ სხვა სიტუაცია გხვდება. ჯერ წლების მანძილზე შეცვლილი და მერე გადაჩვეული ხარ. რომ გამოვედი და შევხედე, საგიჟეთში ვარ-მეთქი. ხალხის აღარ მესმოდა. არც ახლა ვარ ბოლომდე შეგუებული. ეს არის ძნელი მომენტი, თავიდან შეგუება ყველაფერთან. ერთი წელი რომ ხარ იქ, იმდენად არ ჭირს და 5-ნ და მეტი წლით, უკვე რთულია აქ გადმორთვა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„იცი რა რთულია, დიდი ხანი რომ არის იქ, მერე აქ გამოსულს თვითგამორკვევის პრობლემა აქვს იმიტომ, რომ უნდა მოძებნოს თავის თავი, მაგრამ ბერკეტები ცოტაა. შეიძლება სადღაც გახდეს ძალიან მონყვლადი, იქ თუ მონყვლადი იყო, მით უმეტეს, აქაც მონყვლადი გახდეს, ჩაიკეტოს საკუთარ თავში, გაუჩნდეს დეპრესიები, რაღაც ნევროტული მდგომარეობები ჰქონდეს, ანუ ამ ფსიქოლოგიურ პრობლემებშია ეს სტრესები გამოყოლილი, ეს თავის გამოცდილება, თუ რაც გამოიარა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილ მსჯავრდებულთა ნარატივების მიხედვით, გათავისუფლების შემდგომ პერიოდში მწვავედ დგას ალკოჰოლის მოხმარების პრობლემა. ყოფილი მსჯავრდებულები ვერ უმკლავდებიან მატერიალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, იწყებენ ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებას. ხშირია დეპრესიასა და შფოთვისთან ალკოჰოლით გამკლავების მცდელობა, რასაც შედეგად ახალი „გაუაზრებელი“ ან „შემთხვევითი“ დანაშაულის ჩადენა მოჰყვება. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი სპეციალისტიც, რომელიც მიიჩნევს, რომ ყოფილი მსჯავრდებულები ალკოჰოლს ან სხვა მავნე ნივთიერებას სტრესთან გამკლავების მიზნით მოიხმარენ, რაც მათ ქცევას კიდევ უფრო აგრესიულს ხდის.

„ერთი ჭიქა არაყი თუ არ დავლიე, ვერ ვიძინებ და ვატყობ, ნელ-ნელა გალოთებისკენ მივდივარ, მაგრად მიტყდება. შიშები მაქვს და

რაც დრო გადის, ვატყობ, რომ ვერ ვარ კარგად.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„ნერვული სისტემა ძალიან დაზიანებული მაქვს, ამ ბოლო დროს სასმელს ვარ გადაყოლილი... და ექიმებთანაც ვერ მივდივარ იქიდან გამომდინარე, რომ ფული არა მაქვს, თავს მივხედო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„პრობლემებია, ვერაფერს თავს ვერ ადგამ და ისედაც ნახევარი საქართველო გალოთებულისა ამ უფულობით და უსაქმურობით და ახალი გამოსული კაცი რას იზამ?“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ჩვენთან მიღებულია დეპრესიიდან გამოსვლა ალკოჰოლით და ეს ძალიან არასწორი მიდგომაა. ალკოჰოლის ფონზე ხდება სხვა დანაშაულის ჩადენა, როგორც წესი, გაუაზრებლად. ეს არ არის გამიზნული ქმედება, უბრალოდ ასე ხდება. როცა ადამიანს ნერვული სისტემა მოშლილი აქვს და ის იღებს ალკოჰოლს, არაადეკვატური ხდება, დამიჯერეთ რა. ძალიან რთულია, ამიტომ, კი, კავშირში არის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„ყოფილა ციხის შემდგომ, მაგალითად, ალკოჰოლიზმი და მოხმარების დანყება. მაგალითად, იყო პირი, რომელიც იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციასთან ჩხუბის გამო იყო დაპატიმრებული. იქიდან გამოსულმა, სტრესთან გამკლავების გზად – პირდაპირ იძახის ამას, ყოველ შემთხვევაში და ადასტურებდა, დაიწყო მოხმარება ნივთიერების. აი, ასეთი შემთხვევები საკმაოდ რთულია, ნარკოტიკები კიდევ სხვა, ალკოჰოლი კიდევ სხვაა. იმიტომ, რომ ალკოჰოლი, ჩემი შეფასებით, კიდევ უფრო აგრესიული ფორმით აყალიბებს ქცევებს, თრობის მდგომარეობაში.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„აღბათ ზოგს მეუღლე ეხმარება, ზოგს ბავშვები, დასვენება... არ ვიცი, მე ძალიან ცუდად ვარ, ერთი-ორი თვეა სასმელს ვსვამ და ძალიან ცუდად ვარ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ხშირად დანაშაულის განმეორებას ხელს უწყობს ემოციური აგრესიის პრობლემა. ყოფილ მსჯავრდებულებს უჭირთ გალიზიანებისა და ბრაზის მართვა, რაც ხშირად ფიზიკური დაპირისპირებით სრულდება. აღნიშნულ მიზეზზე საუბრობენ ყოფილი მსჯავრდებულები და სპეციალისტები.

„ნერვების ამბავია, შეიძლება ისეთ რამეზე მოგეშალოს ნერვები, რაზეც არ უნდა გეშლებოდეს. თავს კი ვიკავებ ხშირად, მაგრამ შეიძლება მოულოდნელად გიმტყუნოს ნერვებმა და შეცდომა დაუშვა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ეს ადამიანი მორალურად, ფიზიკურად ძალიან დიდი წნეხის ქვეშ არის, რაც მის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ავტომატურად ნეგატიურად აისახება. რეალურად, როდესაც ეს ადამიანი გამოდის, შესაძლებელია ის იყოს უფრო მეტად ფეთქებადი, უფრო მეტად აგრესიული, შესაძლებელია უფრო მეტი პრობლემა ჰქონდეს პრობლემური ქცევის მართვის თვალსაზრისით.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ერთ-ერთი ყოფილი მსჯავრდებული მიიჩნევს, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში იშვიათად იგეგმება დანაშაული, პირიქით, ამ პერიოდში მსჯავრდებულებს არ სურთ დანაშაულის განმეორება. რაც შეეხება გათავისუფლების შემდგომ პერიოდს, სწორედ ამ დროს ვლინდება პრობლემები, რომლებიც უბიძგებენ ადამიანს დანაშაულისკენ. ასეთ სირთულეებს წარმოადგენს დაძაბული ურთიერთობები, მატერიალური ბარიერები და სოციალური უთანასწორობის განცდა.

„იცი რა, ადამიანი დანაშაულს რომ იდენს, ჯერ უნდა მივიდეს ხომ იმ გადაწყვეტილებამდე... ძალიან იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელიც სასჯელის მოხდის ადგილზე წყვიტავდეს იმას, რომ ის დანაშაულს ჩაიდენს აუცილებლად. იქ 90%-ს უნდა, რომ ესე არ იყოს და რადგანაც ამის სურვილი არსებობს, ესე იგი გარეთ არის მთავარი პრობლემა, რის გამოც მას უხდება მერე დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა. ამიტომ გარეთ მდგომარეობა და პირობები 90%-ით არის გადაწყვეტი მისი დანაშაულის ახალი

ჩადენისთვის. არ აქვს მნიშვნელობა ურთიერთობაში სიმძაფრე და პრობლემები იქნება, თუ მატერიალური იქნება. ყოველ შემთხვევაში გარეთ უკვე გარეთ აღიქვამ სხვანაირად და რაც მერე შეიძლება დანაშაულამდე მივიდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული)

„ციხეში დანაშაულის განმეორებაზე არ ფიქრობს საერთოდ, იმიტომ, რომ იქ თითქოს ყველა ერთი და იგივეა, ყველა ერთ დონეზე დგას, ოღონდ შეიძლება იმას „ნაიკი“ ეცვას და ამას „ადიდასი“, ეგ თემაა. ახლა გარეთ რომ გამოდიხარ ახალგაზრდა ბიჭი ხარ და დგახარ და ელოდები ავტობუსს 40-თეთრიანს, ცოტა ისეთი თემაა და გარე სიტუაცია უფრო აკეთებს იმას, რომ დანაშაული ხელმეორედ ჩაიდინოს ადამიანმა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

გათავისუფლების შემდეგ არსებობს ბარიერები, რომელთა გადალახვაც მოითხოვს „პიროვნულ რესურსს“ – ბრძოლის უნარს. ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული ბრძოლის ნაცვლად დანაშაულს განმეორებით სჩადის, რაც მას აბრუნებს უკვე შეგუებულ გარემოში. ეს პრობლემა განსაკუთრებით ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევაში არის აქტუალური.

„ზოგს, მაგალითად, თუნდაც პიროვნულ დონეზე, მართლაც არა აქვს ნებისყოფა, რომ გამოდის და ამდენი ბარიერი გადალახოს, ამდენი წინააღმდეგობა. ურჩევნია სისუსტე გამოავლინოს, უკვე ნაცნობს დაუბრუნდეს, ვიდრე ბარიერები გადალახოს, ვთქვათ, იბრძოლოს.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ვისაც დიდი ხანი უწევს, ძალიან ეჩვევიან იქ ცხოვრებას, იქაურ წესებს, რალაცნაირად ერთგვარად მათი ცხოვრების წესი ხდება და რომ გამოდიან, ზოგიერთს მართლა ძალიან უჭირს გარემოსთან ადაპტაცია. ზოგს მართლა უბიძგებს, რომ სანამ ახლიდან შეეჩვევიან ცხოვრების ახალ ეტაპს, იმავე ცხოვრების წესს დაუბრუნდეს. იქ უფრო ეგულებოდეს ის ადამიანები, ვისაც მისი ესმის, ვინც მას უკვე უფრო კარგად გაუგო, ვიდრე გარეთ. იქ შიგნით უფრო ეგულება ადამიანები, ვისთანაც იდენტიფიცირებას უფრო კარ-

გად მოახდენს, ვიდრე გარეთ. ამიტომ ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ იქ უფრო კარგად მიგებდნენ, იქ არ იყოს ისეთი საზღვრები და ბარიერები, როგორც დაფუშვათ, სტიგმა. ურჩევნიათ რაღაცნაირად მათთვის ნაცნობ გარემოში აღმოჩნდნენ, ვიდრე ბევრი ბარიერის გადალახვა მოუწიოთ.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

დასაქმების გარეშე დარჩენილი ყოფილი მსჯავრდებულები ვერ უძლებენ მატერიალური სიღუბნით გამონვეულ ფსიქოლოგიურ წნეხს, რაც განაპირობებს მათ მიერ ქონებრივი ან ძალადობრივი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას.

„ველარ ეგუება უკვე, იმას იქ ურჩევნია, იქაური ცხოვრება მოსწონს, აქაური ცხოვრება არ მოსწონს. იმიტომ არ მოსწონს აქაური ცხოვრება, რომ სამუშაო არ არის არსად. თუ ვიღაცა არა გყავს, კაცის კაცით სადმე, ელემენტარული, მშენებლობაზე რომ მიგიყვანონ, ნიჩაბი აიღო და დაინყო მუშაობა. ფსიქოლოგიურად უკვე ის ნერვიულობს, იცის რომ არა აქვს საშუალება და ოჯახშიც რომ ხედავს, რომ არ არის არაფერი, ფაქტობრივად, საჭმელი არა აქვს, ის არა აქვს, ის არა აქვს, ადგება და ისევ მოიპარავს. ან მოიპარავს, ან ვიღაცას დააყაჩაღებს, ან მოკლავს ან რაღაცა, რომ იმან მიიტანოს სახლში და ჭამოს. ეს უკვე იმას აღარ ფიქრობს, რომ მერე დამიჭერენ. ხვალ თუ დღეს დამიჭერენ, მთავარია მან საჭმელი ჭამოს. აი, ვთქვათ, სიტყვაზე, ახალი გამოსულია ვინმე და ურეკავენ მერიიდან, ეუბნებიან, მოდით და ასაქმებენ, შეიძლება, საერთოდ ყველამ, მეტინილმა, ახალგაზრდობამ იქით აღარ გაიხედოს, იმ ციხისკენ, ზონისკენ და გამოიხედოს ამ ცხოვრებისკენ. რომ აგერ დასაქმებაა, ოთხასი ლარი აქვს ხელფასი, ხუთას ლარი, ის ხუთას ლარამდე ხელფასი იკმაროს და თავის ოჯახს აკმაროს, ვიდრე მოიპაროს ან ვინმე დააყაჩაღოს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„უფრო ეკონომიკური გაჭირვება უბიძგებს კაცს, რომ დანაშაული ჩაიდინოს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ უნდა არ-

სებობდნენ სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ კვალიფიკაცია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან დაკავშირებულ საკითხებში დამნაშავეთა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს გათავისუფლების შემდგომ პროგრამებში მომუშავე ადამიანური რესურსის – ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკების დეფიციტი. ასევე, სპეციალისტების ეფექტურ მუშაობას ხელს უშლის სამუშაო შემთხვევების გადაჭარბებული რაოდენობა და დაბალი ანაზღაურება, რაც გამოცდილებს მქონე კადრების გადინებას განაპირობებს.

„რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, განმეორებითი დანაშაულის ჩადენასაც უნდა ცოდნა, ანუ არ არიან სპეციალისტები, ვინც სწორად ხედავს ამ პრობლემებს. ვთქვათ, არასრულწლოვნის შემთხვევაში 21 წლამდე აღარ იყოს საჭირო ისეთი მიდგომა და ჩარევა, როგორც სხვა შემთხვევაში. ამ ყველაფერს უნდა ცოდნა, როგორც ასაკობრივ თავისებურებებს, ასევე, უნდა იმის ცოდნა, რომ პირველი დანაშაულის მერე მეორე დანაშაული უფრო მკაცრია...“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„რესურსი იმდენად მწირია, არ არის საკმარისი არც ფსიქოლოგები, არც სოციალური მუშაკები, არც ფსიქიატრები. არ არის რესურსი, რომ ამ ნაკადს, რაც შედის პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, ის პროგრამები მიენოდოთ ეფექტურად.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ერთ სოციალურ მუშაკს 20 „ქეისი“ რომ ჰქონდეს თვეში, რომელიც აქტიურია და მუშაობა სჭირდება, რანაირად შეძლებს, რომ ეფექტურად გააკეთოს? არ აქვს ადამიანური რესურსი. არადა ძალიან ბევრი კარგი სოციალური მუშაკია, ფსიქოლოგი, რომელთა გადამზადებაც შეიძლება, მაგრამ ბევრი მიდის იმის გამო, რომ 20 და მეტი „ქეისი“ აწერიათ, 100 ქეისი შეიძლება ეწეროს ერთ ადამიანს. ამ პირობებში საკმარისი ანაზღაურება არ არის და გადამზადებული პროფესიონალების გადინება ხდება.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდ-

გომ ყოფილი მსჯავრდებულების წინაშე არსებული მატერიალური პრობლემები და ფსიქოლოგიური სირთულეები ხშირად მათ უბიძგებს ალკოჰოლისა და სხვა მავნე ნივთიერებების მოხმარებისკენ, რაც განაპირობებს „შემთხვევითი“ დანაშაულის ჩადენას. ამასთან, გათავისუფლების თანმხლები სტრესის ფონზე დანაშაულის ჩადენის რისკი მაღალია პირველი 6 თვის ან 1 წლის განმავლობაში, ხოლო ამ პერიოდის გავლის შემდეგ სტრესით განპირობებული დანაშაულის ჩადენის ალბათობა ძალიან მცირეა. ყოფილ მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენისკენ, ასევე, უბიძგებს პრობლემური ოჯახური ურთიერთობები, განსაკუთრებით კი ქონების განაწილების საკითხი.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ზრდა დაკავშირებულია ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ ალკოჰოლისა და სხვა მავნე ნივთიერების მოხმარებასთან, რაც მათთვის სტრესის დაძლევის სტრატეგიას წარმოადგენს. ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყოფილ მსჯავრდებულებს უჭირთ ბრაზის მართვა, რაც ხშირად განმეორებითი დანაშაულის ჩადენას უკავშირდება. სპეციალისტების მოსაზრებით, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას, ასევე, ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს აღნიშნული მიმართულებით მომზადებული კადრები, რაც უკავშირდება განმეორებით დანაშაულთან ბრძოლის საკითხში ექსპერტიზის ნაკლებობას.

ბ. დამცავი ფაქტორები

ყოფილი მსჯავრდებულები ხაზს უსვამენ გათავისუფლების დროს ოჯახის წევრებისა და მეგობრების მხარდაჭერის მნიშვნელობას, რაც მათ ხელს უწყობს გარემოსთან უკეთ ადაპტაციაში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ემოციურ განმუხტვაში, რაც, თავის მხრივ, ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას.

„ძირითადი სირთულეები, რომ გამოდიხარ და ძლიერი სამეგობრო თუ არ გხვდება, დასაქმებაში დაგეხმარონ, მატერიალურად დაგეხმარონ იმიტომ, რომ არაფრის საშუალება არ გაქვს. ჩემმა ძმამ ტელეფონი მაჩუქა, სხვამ ტანსაცმელი მაჩუქა,

მეხმარებოდნენ ძალიან. სიგარეტის ფული მინდოდა, საჭმლის ფული მინდოდა, ძალიან მედგნენ გვერდში.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„მე ძმაკაცებმა დამანყებინეს მუშაობა და მიპატრონეს, მარჩინეს, მასვეს, მაქეიფეს და მაგულავეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ხალხის დამოკიდებულება, მეგობარი იქნება თუ ოჯახის წევრები მაქსიმალურად გვერდში უნდა დაუდგნენ“. (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„მე მეხმარებიან ჩემი შვილები, მათთან ურთიერთობა და ყოფნა მახალისებს და ამან გადამატანინა ეს პრობლემა, ეს დეპრესია.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

სპეციალისტები და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ გათავისუფლების შემდგომი ადაპტაციისთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ოჯახის წევრებისა და საზოგადოების მხარდაჭერა, მეორე მხრივ, სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი, ადმინისტრაცია) და სერვისების ჩართვა თანადგომის ქსელში.

„დამცავი მექანიზმია, როდესაც ადამიანს ჰყავს, პირველ რიგში, სოციალური თანადგომის ქსელი ძლიერი... სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი, ადმინისტრაცია საერთო ჯამში.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ოჯახის წევრებზეცაა დამოკიდებული, საზოგადოებაზეც, რამდენად გარემოს მიაჩვევენ და გადაალახინებენ იქ რომ იყო იმ პერიოდს..“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„ფსიქოლოგის დამხარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე კიდევ დავინახე და ვისწავლე ის, რომ თავიანთ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, სხედან და ყველა ლაპარაკობს, ზოგი საერთოდ ჩუმად არის. რომ გამოვიდა ჩემი შვილი, ისე იყო დაკომპლექსებული... ესენი არიან ანონიმური ნარკომანები, ასე ვთქვათ... ერთმანეთთან კომუნიკაცია... აბსოლუტურად

შეცვლილებები არიან... ამ ჯგუფური შეხვედრების შემდეგ იმიტომ, რომ იქ გაიხსნა, ადამიანმა ლაპარაკი ისწავლა იქ. ოჯახის წევრებს რაზე გველაპარაკოს, მე რაზე მელაპარაკოს დილიდან საღამომდე, იქ საერთო პრობლემებზე საუბრობენ, ფსიქოლოგიც როგორ არის იცი, გეუბნება ასე უნდა ქნა, ისე უნდა ქნა, მსმენელის როლში ხარ და იქ აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ გათავისუფლების შემდეგ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აუცილებლობაზე კვალიფიციური სპეციალისტების მხრიდან, რაც მათ დაეხმარებათ ღირებულებათა ცვლილებასა და გარემოსთან ადაპტაციაში. ერთ-ერთი მათგანი ფსიქოლოგიური დახმარების მიღების პოზიტიურ გამოცდილებას იხსენებს, რამაც მას ხელი შეუწყო პრობლემის გაცნობიერებასა და გამოსავლის მოძებნაში.

„კი, რა თქმა უნდა, ნევროზის მკურნალობა ორ დღეში არ ხდება და სუფთა ჰაერი არ კურნავს. ამას სჭირდება დახმარება ან მედიკამენტებით ან სპეციალისტი უნდა მუშაობდეს იმ ადამიანთან, ან ტრენინგები ჩაუტაროს იმისთვის, რომ მოახდინოს ინტეგრაცია, რომ რაღაც შეეცვალოს გონებაში. ეგ აუცილებელია, მაგრამ, რამდენად დაეჭვმდებარება მკურნალობას ადამიანი, ეგ სხვა საკითხია, ზოგი უარს ამბობს დახმარებაზე, თუმცა ეგ პროგრამა უნდა არსებობდეს და იმუშავეს კიდევაც. კი, მე დამიბარა ფსიქოლოგმა, მქონდა გასაუბრება, მაგრამ მე იქით ვასწავლი, უფრო დიდი გამოცდილება მაქვს, საკმარისი დრო მქონდა, რომ ჩამეხედა უფრო ღრმად, ვიდრე ზედაპირულად. ცოტა ისეთი სპეციალისტი გჭირდება მაგ საკითხში.“ (ყოფილი მსჯავრდებულის, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„პირველ რიგში, ფსიქოლოგთან უნდა გაიაროს კურსები. იმის შემდეგ რაღაც უნდა შესთავაზოს თუ რამე უნდა და დახმარების ხელი გაუწოდო, ეგაა მეტი არაფერი.“ (ყოფილი მსჯავრდებულის, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„მივხვდი, რომ ფსიქოლოგი მჭირდებოდა რა და მაგრა დამეხმარა და ჩავამთავრე ეს კურსი, {არაპროგრამულად}. 6 თვეში მივხ-

ვდი, რომ პრობლემა მექონდა. პრობლემა რა, უფრო რომ დააღაგო, მიხვდი? რომ დალაგდე რა, როგორ, რანაირად. იქ სხვა მონყობაა. აქ უკვე სულ სხვა რამე გჭირდება.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

„კი, ვისაც თავში ტვინი აქვს, აუცილებლად უნდა გაიაროს, ვინც ცოტა რეალობასთან ახლოსაა, აუცილებლად უნდა გაიაროს და კარგ, კომპეტენტურ ფსიქოლოგთან უნდა მოხვდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები ითხოვენ, რომ არსებობდეს სავალდებულო ტრენინგების ციკლი ან ფსიქოლოგიური სერვისი ყოფილი მსჯავრდებულებისთვის. ერთ-ერთმა მათგანმა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე, როდესაც მისი ოჯახის წევრი (ყოფილი მსჯავრდებული) უნდობლობას გამოხატავდა და არ ლებულობდა მისგან ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში ოჯახისთვის აუცილებელია სპეციალისტის დახმარება.

„რომ გამოვლენ, სავალდებულო უნდა იყოს დარეგისტრირება, თუნდაც 3 ტრენინგი ზედიზედ რომ გაიარონ ან ფსიქოლოგიური კურსი. ისინიც სხვანაირები იქნებიან იმიტომ, რომ შინაურს შენდობა არ აქვს. მე სხვის ავადმყოფს და პატიმარს ფსიქოლოგიურად ვეხმარები, ჩემსას ვერა, იმიტომ, რომ მე არ მიჯერებს, ეჭვი ეპარება ჩემში, მაგრამ თქვენი უფრო სჯერა.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„მარტო თავისი თავი არა, გვერდში დგომა უნდა, ფსიქოლოგის დახმარება...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

სპეციალისტები აქცენტს აკეთებენ ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახთან ურთიერთობაზე და მიიჩნევენ, რომ გათავისუფლების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით პირველი ექვსი თვის განმავლობაში, უნდა არსებობდეს პროგრამა, რომელიც იმუშავებს ოჯახთან ურთიერთობის სირთულეების მოგვარებასა და ოჯახის მხრიდან მსჯავრდებულის მიმღებლობის გაზრდაზე. აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებად ისინი ფსიქოლოგების, სოციალური

მუშაკების ან მედიატორების აქტიურ ჩართულობას მოიაზრებენ. ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ოჯახთან მუშაობა მათი ერთ-ერთი ფუნქციაა, თუმცა მისი შესრულება სათანადოდ ვერ ხერხდება.

„პირველი ექვსი თვე მაღალ რისკად არის მიჩნეული და აი, ზუსტად ამ ექვსი თვის განმავლობაში უნდა არსებობდეს ადგილები, სადაც ეს ადამიანი მივა, როცა ოჯახთან კომუნიკაცია უჭირს და ამაზე იმუშავენ. ფსიქოლოგის სერვისიც უნდა იყოს. ეს იქნებოდა კიდევ დამცავი ფაქტორი და პლიუს სტიგმაზე მუშაობა.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„თუ ოჯახი უარყოფს ადამიანს ჯერ კიდევ ციხეში ჩაჯდომის შემდეგ ან როცა გამოვა და აღარ აქვს მიმღებლობა თავის ოჯახის წევრების მიმართ, ალბათ დაახლოებულმა პირმა, ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგი იქნება ან სოციალური მუშაკი, შუამავლობა უნდა გაუწიოს ოჯახთან, რადგან აზრი არ ექნება სოციალური მუშაკის მუშაობას.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ოჯახთან მუშაობაც არის ჩვენი ერთ-ერთი ფუნქცია, უბრალოდ ახლა, გარკვეული სახსრებიდან გამომდინარე, სათანადოდ ვერ ხდება.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ოჯახისთვისაც ეს სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რომ იმ წევრებმაც მიიღონ ეს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ამგვარად, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის გაძლიერების სერვისის სათანადო განვითარება, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და მედიატორების ჩართულობით.

II. ინტერპარსონალური ურთიერთობების კავშირი დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან

2.1. მსჯავრდებულთა ურთიერთობა სასჯელალსრულების დანესებულების გარეთ მყოფ ადამიანებთან

მსჯავრდებულთა სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე საუბრობენ როგორც სპეციალისტები, ასევე, ყოფილი მსჯავრდებულები. სპეციალისტები გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ ოჯახის წევრებისა და მეგობრების თანადგომა მსჯავრდებულს იცავს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენისგან.

„თითქმის ყველა ალბათ შევთანხმდით, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხარდაჭერის ქსელს, ოჯახს, სამეგობრო წრეს. როდესაც ეს მხარდაჭერის ქსელი არ არის, დიდია შანსი რომ ადამიანმა კვლავ ჩაიდინოს დანაშაული.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„არ შეიძლება არ აღინიშნოს ოჯახის მნიშვნელობა. ერთი არის პოლიტიკური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ან არ შეუწყობს, მაგრამ არის ოჯახი, რომელიც პირდაპირ მისი ნათესავია. მქონია შემთხვევა, როცა ოჯახი უარს ამბობს ან, პირიქით, ძლიერი მხარდაჭერი აღმოჩნდება და ეს არის ხოლმე ძალიან დიდი ნუგეშიც და ძალიან დიდი სტრესიც.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ყოფილ მსჯავრდებულებს დანესებულებაში ყოფნის დროს ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან პოზიტიური ურთიერთობა კრიტიკული პერიოდების დაძლევაში ეხმარება. უფრო მეტიც, ყოფილი მსჯავრდებულების მოსაზრებით, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან დისტანცირების შედეგად მსჯავრდებული ხდება „გულგრილი და შეუვალი“, ის მიმართულია თვითგადარჩენაზე და არა ცხოვრებისეული პრინციპების შენარჩუნებაზე. ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებულის მოსაზრებით, ოჯახთან და ახლობლებთან ურთიერთობის გარეშე მსჯავრდებულს დანესებულებაში „ფუნქ-

ციონირებაც“ კი უჭირს.

„ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იქ ადამიანს კრიტიკული მომენტები აქვს შესაძლებელია ცუდისკენ გადაიხაროს, აი, ამ მხრივ სჭირდება თანადგომა. მესამე პირი ვერ დაეხმარება მას თუ არა, აი, ის ჯანსაღი ურთიერთობები, სადაც სიყვარული და სითბოა, ეს ნამდვილად აუცილებელია, რაც უფრო მეტი და ხშირი იქნება, ეს მით უფრო კარგია. პატიმარი რაც უფრო დიდხანს სწყდება ოჯახს, მით უფრო მეტად არის მერე გულგრილიც და უფრო ცოტა, როგორ გითხრათ, შეუვალი სხვა რალაცებში იმიტომ, რომ ის ადამიანური, მთავარი, ღირებულებები და პრინციპები უკან ინაცვლებს. იქ ცხოვრება ერთი პრინციპით, რომ თავი უნდა გაიტანო ყველაფრის ფასად და ამ პრინციპზე ეწყობა ყველაფერი. ამიტომ, ეს რომ დარეგულირდეს აუცილებელია ოჯახის, მეგობრების და გარშემოწრის თანადგომა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ეს იყო ცალსახად ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე იმიტომ, რომ იქ თუ თანადგომას, გვერდში დგომას და მხარდაჭერას არ გრძნობ, შეუძლებელია ფსიქიკურად მაინც გაძლო. იქ მაღალი დაძაბულობის მქონე სიტუაციაში გინევს ძალიან გულგრილი და სარისკო ურთიერთობები და გჭირდება აუცილებლად ვილაც, ვისაც ენდობი, ვისაც უყვარხარ და გჯერა, რომ უყვარხარ და სხვა მოტივები არ ამოძრავებთ ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, გენატრება და გჭირდება აუცილებლად მხარში დგომა, ეს გადამწყვეტი ფაქტორია იმისთვის, რომ ადამიანმა უბრალოდ იფუნქციონიროს იქ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„თავისთავად ფსიქოლოგიური განტვირთვაა ერთგვარი. როცა გადის ერთი კვირა და იზოლაციაში, ვაკუუმში ხარ და გარე სამყაროსთან არ ხდება კონტაქტი, რა თქმა უნდა, განტვირთვის მომენტი ჰქონდა ყველა სატელეფონო ზარს“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ასევე, ყოფილი მსჯავრდებულების გამოცდილებით ოჯახის ნევრებთან და მეგობრებთან კომუნიკაცია მათ მომავლის იმედს

აძლევს და პოზიტიურად განანყობს. გარდა ამისა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მსჯავრდებულებში მეუღლისა და მშობლების წინაშე დანაშაულის განცდას აღძრავს.

„ეგ მაცოცხლებდა ერთადერთი, მეტი არაფერი, რომ ჩემს ოჯახთან მქონდა ახლო ურთიერთობა. რომ იტყვიან, მაგიტ გადავადგორე რა, სხვანაირად ვერ გადავიტანდი“ – (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ნერვები მეშლებოდა საკუთარ თავზე, რომ ჩემ გამო ჩემი მეუღლე და მშობლები ასე არიან.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რესპონდენტთა განცხადებით, მსჯავრდებულისთვის ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კომუნიკაცია ფინანსური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი მსჯავრდებულის საჭიროებებს უზრუნველყოფენ.

„მნიშვნელოვანია ფინანსურადაც. იქ „კარტა“ იყო და ანგარიში ირიცხება და საჭმელს ჭამ, სიგარეტს ყიდულობ, იქ ჩასაცემელია...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ დანესებულებიდან ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია სირთულეებს უკავშირდება. კერძოდ, ზოგიერთი მათგანი სამეურნეო ნაწილშიც კი მუშაობდა იმისთვის, რომ უფრო ხშირი კომუნიკაცია ჰქონოდა ოჯახის წევრებთან. ნიშანდობლივია ის, რომ აღნიშნულ ყოფილ მსჯავრდებულებს განმეორებითი დანაშაული არ აქვთ ჩადენილი.

„სამეურნეო ნაწილში ვიყავი, რომ ოჯახთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობა მქონოდა. ეს გულისხმობს იმას, რომ შემეძლო ტელეფონის თავისუფლად გამოყენება, შრომა მიწევდა და შრომის საფასური ის იყო, რომ ოჯახთან ურთიერთობა გამარტივებული მქონდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ერთჯერადი, ქონებრივი დანაშაული).

ყოფილ მსჯავრდებულთა განცხადებით, დანესებულებაში განქორწინების ბევრი შემთხვევა იყო. მათი თქმით, ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ კომუნიკაციის შეზღუდული შესაძლებლობაა.

„მე სამეურნეო ნაწილში ვიყავი და როცა მინდოდა და რამდენი ხანიც მინდოდა ვრეკავდი. ძალიან ბევრს კი არა, 99%-ს არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, მანდ დაილუპნენ ბიჭები. მე ხშირად გამიგია ტელეფონზე საუბარი, რომ კატასტროფული რაოდენობით ინგრეოდა ოჯახები“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

დანესებულებაში ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან კონტაქტის ნაკლებობაზე საუბრობენ სპეციალისტებიც. მათი თქმით, მსჯავრდებულებს კომუნიკაციის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ და ასევე, ხშირია შემთხვევა, როცა მსჯავრდებულს კუთვნილი პაემნის გამოყენების უფლება ჩამორთმეული აქვს. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს სატელეფონო კომუნიკაციაც. გარდა იმისა, რომ ტელეფონთა რაოდენობა არ არის საკმარისი და ამის გამო ხშირად რიგებია, სატელეფონო ბარათით მომსახურებაც ფასიანია, რაც დამატებით პრობლემას ქმნის.

„ადამიანი თუ დიდი ხნით არის მოთავსებული სასჯელალსრულების დანესებულებაში, არასათანადო კონტაქტის გამო პრობლემები აქვთ ოჯახთან. არის შემთხვევები, როდესაც იქ რაღაცას აშავებენ და თვეში ის ერთი პაემანიც ეკრძალებათ დირექტორის განკარგულებით. ასეთ პირობებში კიდეც უფრო იკლებს კონტაქტი ოჯახთან. ტელეფონით კავშირი ორჯერ აქვთ თვეში და ისიც შეიძლება აეკრძალოთ.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დანესებულების თანამშრომელი).

„სატელეფონო ბარათი ფასიანია. ბევრი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა და იმის შესაძლებლობაც არ აქვს, რომ ვინმეს დაურეკონ, რადგან ვერ ყიდულობენ ბარათებს“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„დროის შეზღუდვა სირთულეა იმიტომ, რომ ბევრი პატიმარი ჰყავთ და დროის ფაქტორია. 15-წუთიანი ინტერვალია კაცზე გათვალისწინებული და თანხებთან დაკავშირებით სულ უნდა გქონდეს ბარათი, წუთი ღირს 27 თეთრი, როცა გარეთ თითქმის უფასოა. პატიმრისთვის ეს უკვე იგრძნობა, როცა 5 ლარს აძლევ დარეკვაში ან ორ დარეკვაში უკვე საგრძნობია.“ (ყოფილი მსჯავრდებული,

ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ასევე, ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ბარიერს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების ადგილმდებარეობა და მსჯავრდებულის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები ვერ ახერხებდნენ პაემანზე მისვლას, რადგან არ გააჩნდათ ფინანსური შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ ხშირად ოჯახი თავად ამბობს უარს მსჯავრდებულთან ურთიერთობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ოჯახს მიაჩნია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნა თავად მსჯავრდებულის არჩევანია. ასეთ შემთხვევაში, ყოფილი მსჯავრდებულების შეფასებით, კიდევ უფრო იზრდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი.

„იცით, მინახავს ისეთები, რომ მიატოვეს, არ მიაკითხეს და უთხრეს, რომ შენ გამოსწორების გზაზე არა ხარ, შენ მხოლოდ შენი ძმაკაცები გინდა, ციხე შენი მეორე სახლია. არ მოსულან სანახავად. რომ გავა უკვე და მოიხდის სასჯელს, იმას უკვე ფეხებზე ჰკიდია, ოჯახში მისასვლელი არ აქვს, ოჯახი არ აქვს და ისევ წავა და ისევ მოიპარავს, ისევ ვილაცას წაართმევს, ისევ მოხვდება ციხეში და როგორც ყოველ წელს მოდის ზამთარი, ისეა მაგისტრისაც, გავა-შევა, გავა-შევა“. (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

სპეციალისტები საუბრობენ არაეფექტური კომუნიკაციის გამო ოჯახის წევრებთან გაუცხოების პრობლემაზეც. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, თუკი მსჯავრდებულს მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

„მე მყავს პაციენტი, რომელიც ვერ ხვდება თავის 14 წლის შვილს, რაზე ელაპარაკოს პაემანზე. ოჯახიც მიჩვეულია, რომ ეს ტელეფონზე იშვიათად ეხმიანება... გაუცხოვება ორმხრივია, ამის მხრიდანაც და ოჯახის წევრების მხრიდანაც, იმათაც არ იციან, როგორ უნდა მოექცნენ ოჯახის წევრს, რომელიც 14 წელი, 9 წელი, 3 წელი სხვაგან იყო.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობამ ვერ შეინარჩუნა მეგობრებთან ურთიერთობა. მათი განცხადებით, ვიდეოპაემნის სერვისის შემოღებამდე, მეგობრებს მათთან პირდაპირი კომუნიკაციის არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მეგობრები დაწესებულების შენობასთან მიდიოდნენ და შორიდან ესაუბრებოდნენ მას. სხვა შემთხვევაში მხოლოდ ოჯახის წევრებს თუ დააბარებდნენ მოკითხვას. თავად მსჯავრდებულებს ჰქონდათ დარეკვის შესაძლებლობა, თუმცა სატელეფონო კომუნიკაციის შეზღუდულობიდან გამომდინარე, უპირატესობას ოჯახის წევრებთან დარეკვას ანიჭებდნენ.

„ვერ მექნებოდა კონტაქტი ფიზიკურად, თვეში ერთხელ მიწვედა დარეკვა 3 წუთის განმავლობაში და ვერ მოვასწრებდი დარეკვას.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ისე ვცდილობდი, რომ, პირველ რიგში, სახლში დამერეკა, მშობლების, მეუღლისა და ცოლ-შვილის ამბავი მეკითხა და მერე, თუ მქონდა ლიმიტი, მეგობრებთანაც დამერეკა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული)

რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ მეგობრებმა თავად აღარ მოინდომეს მათთან კონტაქტი დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ.

„სიმართლე რომ გითხრათ, ნამდვილი მეგობარი თურმე ძალიან იშვიათია. იქ რომ ხვდები, ყველას ავინყდები. ყველას ნაკლებად ახსოვხარ, ოჯახის გარდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ვურეკავდი ხოლმე, როცა შესაძლებლობა მქონდა. დროთა განმვალობაში, რა თქმა უნდა, ისეთი ძლიერი კავშირი აღარ შემინარჩუნდა ყველა მეგობართან, მაგრამ მეგობრებად მაინც დარჩნენ რამდენიმე მათგანი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულების განცხადებით, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან კონტაქტის შესაძლებლობის აკრძალვა დამატე-

ბითი და არალოგიკური სასჯელია მსჯავრდებულისთვის. მათი მოსაზრებით, მსგავს კონტაქტს აქვს ემოციური მხარდაჭერის ფუნქცია, რაც უმარტივეს მსჯავრდებულს დაწესებულებაში ყოფნას, უმსუბუქებს მას სტრესს და იცავს დაწესებულებაში არსებული უარყოფითი გავლენისაგან. გარდა ამისა, ახლობლებთან ურთიერთობა მსჯავრდებულს ხელს უწყობს პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში.

„რადგანაც პატიმარია, ის უნდა იყოს ამ მხრივაც შევიწროებული, მე არ მიმაჩნია, რომ სწორია და ამიტომ არის განსაზღვრული პაემნის ვადები, ამანათის ლიმიტები და ასე შემდეგ, შეზღუდვებია მეგობრებთანაც. უსაფრთხოების თვალსაზრისით მესმის, მაგრამ ეს უნდა იყოს დაცული. კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ რალაც ცუდისკენ არ გადაიხაროს და აი, ამ მხრივ სჭირდება უფრო თანადგომა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„რა თქმა უნდა, მე სულ მიკვირს, რატომ აწამებ ადამიანს, მიეცი იმის საშუალება, როცა უნდა გავიდეს და დარეკოს. ის დაისაჯა თავისი დანაშაულისთვის, მაგრამ ის ცოლი და შვილები რისთვის ისჯება? თითქოს ეს დასჯა ითვალისწინებს არა მარტო ამ პირის დასჯას, მთლიანად ოჯახის დასჯას.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

გარდა ამისა, რესპონდენტთა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ დაინერგოს შაბათ-კვირას დაწესებულების გარეთ ოჯახთან ერთად გატარების სერვისი იმ მსჯავრდებულებისთვის, ვისაც სასჯელის დასრულებამდე ცოტა დრო აქვს დარჩენილი. მათი თქმით, დაწესებულების დატოვების შემდეგ, ეს გაამარტივებდა სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცესს, რაც ხშირად რთული გადასალახია იმ მსჯავრდებულებისთვის, ვინც დაწესებულებაში დიდი დრო გაატარა. გარდა ამისა, მსჯავრდებულთა ნაწილმა განაცხადა, რომ სასურველი იქნება კარგი დახასიათების მქონე მსჯავრდებულებს მიეცეთ დღესასწაულების ოჯახთან გატარების შესაძლებლობა.

რესპონდენტთა განცხადებით, ასევე, სასურველია, გაიზარდოს ხანგრძლივი პაემნისთვის განსაზღვრული დრო. მათი თქმით, დღე-

სათვის ეს დრო მხოლოდ ერთ დღეს მოიცავს, რაც არ არის საკმარისი, განსაკუთრებით იმ მსჯავრდებულებისთვის, ვისაც შვილები ჰყავთ, რადგან ამ დროში ვერ ახერხებენ მათთან სასურველი კომუნიკაციის დამყარებას. გარდა ამისა, რესპონდენტთა განცხადებით, სასურველია პაემნისას ჰქონდეთ მნახველებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა.

„მარტო ოჯახის წევრები შემოდიან და ოჯახის წევრებზე უფრო მეტი დრო უნდა იყოს განკუთვნილი, ერთი დღე არა. პირადი პაემნები რაც არის, შვილისა და ცოლის ნახვა, ეს პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ სამი დღე, ეს იმიტომ, რომ ბავშვი მიხვდეს მშობელთანაა, თვეში ერთხელ რომ ხედავს, ცოტა სხვა მიდგომა აქვს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„კონტაქტი არ გაქვს, მინის გარედან გესაუბრება, ტელეფონით ისედაც საუბრობ იქიდან. ასეთი პაემანი რაა.. შუშის იქით მეუღლე, შუშის აქეთ შენ“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანესებულებიდან ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან კომუნიკაციის შეზღუდვა შესაძლებელია არ იყოს პირდაპირ დაკავშირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან, თუმცა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს. აღნიშნული კომუნიკაცია ეხმარება მსჯავრდებულს პენიტენციურ სტრესთან გამკლავებაში, იცავს მას დანესებულებაში არსებული უარყოფითი ზეგავლენისგან და ასევე, უქმნის ცვლილების მოტივაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დანესებულებაში მსჯავრდებულს არ შეექმნას ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან კომუნიკაციის ბარიერები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ პროსოციალური ქცევის განხორციელების ალბათობას.

2.2. ინტერპერსონალური ურთიერთობები სასჯელალსრულების დანესებულებაში

კვლევის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პენიტენციურ დანესებულებაში მსჯავრდებულთა შორის, ასევე, მსჯავრდებულებსა და რეჟიმის თანამშრომლებს შორის ურთიერთობების ფორმა გარკვეულ გავლენას ახდენს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაზე. კერძოდ, სპეციალისტებისა და ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ დანესებულებაში არსებული სუბკულტურა, ისევე, როგორც რეჟიმის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობრივი ქმედება ხშირ შემთხვევაში განაპირობებს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას. როგორც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე, სპეციალისტთა ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ პენიტენციური დანესებულება ნაკლებად ასრულებს გამოსასწორებელ ფუნქციას და იქ მიღებულმა გამოცდილებამ შესაძლებელია უარყოფითი როლი ითამაშოს მსჯავრდებულის შემდგომ ცხოვრებაზე, მათ შორის გავლენა მოახდინოს დანაშაულის განმეორებით ჩადენაზეც. მათი თქმით, ამაში გადამწყვეტ როლს ე.წ. „ქურდული მენტალიტეტი“ და ციხის სუბკულტურა თამაშობს. არის შემთხვევები, როცა რეპუტაციის ამალგებისა და ე.წ. „ქურდულ სამყაროში“ ადგილის დამკვიდრების მიზნით ყოფილი მსჯავრდებულები კვლავ სჩადიან დანაშაულს. შემდეგ კი, სურვილის მიუხედავად, რთული ხდება სუბკულტურასთან კავშირის განწყვეტა.

„შეიძლება ადამიანმა გადაწყვიტოს, რომ მე ახლა ეს უნდა ვქნა, ამ გზაზე შევდგე, ვიცხოვრო. რა თქმა უნდა, მერე ხიბლში შევიდეს და მიზანი აქვს უკვე. მე ვფიქრობ ციხის სუბკულტურას გავლენა ამაზე ექნება.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დანესებულების თანამშრომელი).

„დავუმატოთ ამას კრიმინალური სუბკულტურა, რომელსა დაფუძნებულზე ხარ იერარქიაში, ეს ხომ მნიშვნელოვანია. რაც უფრო დაბალ საფეხურზე ხარ, მით უფრო ტრავმირებული გამოდიხარ. ასევე, კონტაქტს ვერ წყვეტ, შეიძლება ისინი გიკავშირდებიან ან შენ უკავშირდები და ამ მანკიერ წრეში ტრიალებ.“ (ფოკუს ჯგუფი,

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„გადასარჩენად შეიძლება გამოიჩინოს თავი ისე, რომ უკვე კრიმინალურ სამყაროში შევიდეს და იქ რომ შევა, მერე გამოსვლა ძნელია. რომც უნდოდეს, ვერ გამოვა უბრალოდ, იმიტომ, რომ მეგობრები, ძმაკაცები ვინც არიან, ყველა ჩამოშორდება, იქიდან გამომდინარე, რომ იმ სამყაროდან გამოსულ ადამიანს როგორც წესიერს აღარ უყურებენ. რაღაცა მოხდა, ე.ი. და გამოაგდეს...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი დანაშაული, განმეორებითი).

როგორც ნარატივებიდან გამოიკვეთა, დაწესებულებაში მიღებულ გამოცდილებასა და დანაშაულის განმეორებით ჩადენას შორის კავშირი განსაკუთრებით დიდია იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულებაში პირველად მოხვედრის ასაკი დაბალია. ასეთ შემთხვევაში მაღალია რისკი, რომ პირმა კვლავ ჩაიდინოს დანაშაული.

„19 წლის ბიჭი როცა ხვდება და შემთხვევით რაღაც მცირე დანაშაულზე დაკავებული ხომ, იქ არიან ასევე ბოროტი ხალხიც და იმისგან როცა ესმის, აი, ეს გავაკეთე, მოვიპარე, ვიყარადე, მას ეს ტვინში უჯდება, ღრუბელივით იღებს ამ ინფორმაციას..“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ის რესპონდენტები, ვინც განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული, საუბრობენ იმაზეც, რომ დაწესებულებაში მიღებულმა გამოცდილებამ, სისტემაში ყოფნამ შესაძლებელია იქ მეორედ მოხვედრის შიშიც შეამციროს, რაც, თავისთავად, ამარტივებს დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

„აი, მაგალითად, ჩემს შემთხვევაში, ერთხელ რომ მოვხვდი, მეორედ სიცილით შევედი, ზოგი როცა საკანში შემოდის, ტირის და ვაიმე დედა სად მოვხვდით, გარბის. მე პირიქით, ვნახე თურმე, იქ კაცს არ კლავენ და არავინ შემჭამს ჩემთვის არ იყო საშიში იქ მოხვედრა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ დაწესებულებაში დამყარებული კონტაქტები შესაძლებელია გათავისუფლების შემდგომ განმეორებით დანაშაულის ჩადენის საფუძველი გახდეს. მათი თქმით, მსჯავრდებულები იცნობენ ერთმანეთს, იციან ერთმანე-

თის წარსული და გამოცდილება და შესაბამისად, ერთად შეუძლიათ დაგეგმონ და ჩაიდინონ განმეორებითი დანაშაული.

„იქ ყოფნისას ალბათ ყველა ერთმანეთს იცნობს, ამაყობს ამის გამო შემდეგ, როცა ერთმანეთს გარეთ ხვდებიან, ერთმანეთის წარსული რომ იცინან, მერე ამა თუ იმ საქმის შემოთავაზება ხდება...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„კონტაქტს ვერ წყვეტ – ან ისინი გიკავშირდებიან, ან შენ უკავშირდები და ამ მანკიერ წრეში ტრიალებ ადამიანი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„არსებობს გამოთქმა ციხის ძმაკაცი, აი ხომ არის ჯარის და მთელი ცხოვრება მიჰყვებათ ეს, შეიძლება ცუდი როლი იმან ითამაშოს, რომ ის რამდენჯერმე ნასამართლევია, მაგრამ ვერ უღალატოს აი, იმ ციხის ძმაკაცს და უარი ვერ უთხრა.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია საკანში მსჯავრდებულთა განთავსების საკითხის მონესრიგება. კერძოდ, ერთ საკანში ერთი სუბკულტურისა თუ რელიგიური მრწამსის პირების განთავსება, ასევე, მწველი და არამწველი პირების კატეგორიზება. მათი თქმით, ეს ნაკლებ დაპირისპირებასა და დაძაბულობას გამოიწვევს მსჯავრდებულებს შორის.

„არ არსებობს ჯგუფი დაწესებულებაში, რომელიც გაანაწილებს კარანტინში მოხვედრილ მსჯავრდებულებს, თუ რომელ საკანში მოხვდეს. ამას წყვეტს რეჟიმის უფროსი, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ნეგატიურად მოქმედებს. პირიქით შეიძლება გააკეთოს ისე, რომ სხვადასხვა სუბკულტურის, რელიგიის მატარებელი ხალხი ერთად ჩასვან, რომ დაჭამონ ერთმანეთი და ეს დღესაც ხდება.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„შენ გარედან რაც არ უნდა იმუშაო, შიგნით, სადაც 24 საათს ატარებს ადამიანი ამ გარემოცვაში, ის გარემოცვა უფრო მეტად მუშაობს მასზე. ამიტომ არის საჭირო ის მოხვდეს ისეთ საკანში და გარემოცვაში, რომელიც უკეთეს გავლენას მოახდენს მასზე.“

(ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ყოფილ მსჯავრდებულთა ნაწილი დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე მოქმედ ფაქტორად დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ დამოკიდებულებას ასახელებს. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, დაწესებულების დატოვების შემდეგ ყოფილ მსჯავრდებულს შურისძიების მიზნით ახალი დანაშაული ჩაუდენია, რისი განმაპირობებელიც რეჟიმის თანამშრომლის მიერ არაადამიანური მოპყრობა გამხდარა.

„ისე ანამეს ციხეში, რომ გამოვიდა, არ შეარჩინა. დიდი მნიშვნელობა აქვს პატიმრისა და თანამშრომლის ურთიერთობას... რამდენიმე დააყაჩაღეს ასეთი თანამშრომლები, რამდენიმეს ცოლი და შვილი გაუმწარეს... იმ ურთიერთობისგანაც შეიძლება ახალი დანაშაული მოხდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„პატიმარს აღარ უნდა ზედმეტი ცემა, ზედმეტი შეურაცხყოფა, იმიტომ, რომ ის პატიმარია და ასე რომ ვთქვათ, ქსეროქსივით ამახსოვრდები, არ უნდა გაამწარო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

როგორც რესპონდენტთა მსჯელობიდან ირკვევა, კავშირი დაწესებულებაში არსებულ ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და დანაშაულის განმეორებით ჩადენას შორის არსებობს. დანაშაულის განმეორებით ჩადენის ერთ-ერთი ძირითად ფაქტორად გამოიკვეთა კავშირი კრიმინალურ სუბკულტურასთან. გარდა ამისა, დაწესებულებაში მიღებულმა ძალადობრივმა გამოცდილებამაც შესაძლებელია იმოქმედოს დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე.

2.3. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომი

ინტერპერსონალური ურთიერთობების კავშირი დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან

ა. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ ყველაზე კრიტიკული პერიოდი

ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ, რომ გათავისუფლების

შემდგომ ყველაზე კრიტიკული პერიოდი გათავისუფლების მომენტიდან დაახლოებით ერთ წელს გრძელდება. ამ პერიოდში მიმდინარეობს რეაბილიტაციისა და გარემოსთან ხელახალი ადაპტაციის პროცესი. მათი თქმით, თავდაპირველი ეიფორიული მდგომარეობის გავლის შემდგომ, თავს იჩენს სხვადასხვა სახის პრობლემა, როგორცაა ფინანსური პრობლემა, გარემოსთან შეგუება, სტიგმატიზაციით გამოწვეული სტრესი, დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემა და ა.შ. ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ ამ პერიოდში როგორც ოჯახის წევრების, ასევე, საზოგადოების მხრიდან დახმარების აუცილებლობაზე.

„პირველი ნ თვე ძალიან კრიტიკულია. იმიტომ, რომ სხვა გონებით გამოდიხარ, სხვანაირად ეკონტაქტები ხალხს, ჯერ კიდევ იმ რეჟიმში ხარ და ის ექვსი თვე რეაბილიტაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აი, ამ ექვსი თვის განმავლობაში დახმარება სჭირდება როგორც ფსიქოლოგიური ინტეგრაციისთვის სოციალურში, ასევე, ფინანსური.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

„შეიძლება ერთი თვე, შეიძლება ორი, გააჩნია წრეს, საზოგადოებას, სად ხარ, სად მიდიხარ, რომ გათავისუფლდები, ვისთან ხვდები, რომელ წრეში და ა. შ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„წრესაც გააჩნია.. სადღაც ერთი თვე საკმარისია იმისთვის, რომ ამ ყველაფერმა ჩაიაროს. ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ ახლა რა ვქნა?! და ეს „რა ვქნა“-ზე პასუხები თუ არ არსებობს, აი, მაშინ იწყება ბევრი სირთულე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„რალაც პერიოდის შემდეგ, უკვე რომ მიდიხარ და აი, ბავშვი გეუბნება, მამა მშიაო და საჭმელი არა გაქვს სახლში, კრიტიკულია, აბა, რა არის. ერთი-ორი დღე კარგი, ფულითაც მოგეხმარებიან მეგობრები, მშობლები და მერე უკვე სულ მათ კისერზე ხომ არ იქნები.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ბ. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ მხარდაჭერი ქსელის მნიშვნელობა განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის

სპეციალისტები გათავისუფლების შემდგომ ყოფილ მსჯავრდებულთათვის ინტერპერსონალური ურთიერთობის მნიშვნელობაზე საუბრობენ. მათი თქმით, სოციალური მხარდაჭერის არსებობა, რაც მოიცავს ახლო და მყარ ურთიერთობებს ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს, რათა თავიდან აცილებულ იქნეს დანაშაულის განმეორებით ჩადენა.

„ყველაზე კარგად მახსენდება ისეთი შემთხვევები, რომ გამოდიან და ოჯახის წევრები და მეგობრები მაშინვე უქმნიან სოციალურ ფაქტორებს, რომ ჩაერთოს აქტივობებში, რალაცა ინტერესები შეიძენს. აი, ესეთი შემთხვევებია ხოლმე ყველაზე წარმატებული, მე რაც მახსენდება.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი)

რესპონდენტები საუბრობენ იმ სირთულეებზეც, რაც იქმნება გათავისუფლების შემდგომ ყოფილ მსჯავრდებულსა და მის ოჯახს შორის. პრობლემას წარმოადგენს როგორც მსჯავრდებულის გაუცხოება ოჯახთან, ასევე, ოჯახის წევრების მხრიდან ყოფილი მსჯავრდებულის მიმღებლობის ნაკლებობა. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იჩენს თავს, როდესაც მსჯავრდებული რამდენჯერმე არის ნასამართლელი.

„გარდა ამისა, როცა გამოვლენ მაინც აქვთ ხოლმე ის მომენტი, რომ იქ უფრო ეგულებოდეს ის ადამიანები, ვისაც მისი ესმის, ვინც მას უკვე კარგად გაუგო, ვიდრე, ვთქვათ, გარეთ. იქ შიგნით უფრო ეგულება ადამიანები, ვისთანაც იდენტიფიცირებას უფრო კარგად მოახდენს, ვიდრე გარეთ. ამიტომ ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ იქ უფრო კარგად მიგებდნენ, იქ არ იყოს ისეთი საზღვრები და ბარიერები როგორც დავუშვათ სტიგმა, ურჩევნიათ რალაცნაირად მათთვის ნაცნობ გარემოში აღმოჩნდნენ, ვიდრე ბევრი ბარიერის გადალახვა მოუწიოთ.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ზოგადად, ოჯახთან ურთიერთობის გაძნელების ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ თუნდაც ორჯერ, სამჯერ ნასამართლევით პიროვნება, ანუ ოჯახი ელოდება, რომ გამოსწორდება და მათ გვერდით იქნება, მაგრამ ის სისტემატურად სჩადის ერთი და იმავე დანაშაულს, თუნდაც სხვა დანაშაულს, ფაქტობრივად, ოჯახს გაურბის, ოჯახი არ აინტერესებს, აქედან გამომდინარე, უკვე ოჯახსაც აღარ აინტერესებს ასეთი პიროვნება და ესეც შეიძლება იყოს დაძაბულობის მომენტი. ოჯახი პირველ სასჯელზე შეიძლება გიდგას გვერდზე, მოგაქციოს ყურადღებას, ორჯერ, მაგრამ მერე უკვე ოჯახსაც ალბათ ამოსდის ყელში ესეთი ადამიანი.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ის გრძნობდა, თუ როგორ აკვირდებოდნენ, ეჭვის თვალთ უყურებდნენ ოჯახის წევრები და ახლობლები, რაც მისთვის ძალზედ უსიამოვნო გამოცდილებას წარმოადგენს. სხვა რესპონდენტის განცხადებით, თავდაპირველად გაუცხოების პრობლემა შეექმნა შვილთან ურთიერთობისას.

„მერე გაკვირდებიან კიდევაც, იცი? ყველა, ნათესავია თუ დედ-მამიშვილია მშობელიც კი გაკვირდება, როგორ იწყებ ყველაფერს. მით უმეტეს საზოგადოება. ერთი გზა კიდევ გაქვს ადამიანს დარჩენილი და უბრალოდ უნდა სწორად გამოიყენო ის ერთი შანსი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

„ბავშვთან როგორი არის, იცი? ცოტა სირთულეებს შევხვდი, თვითონ ბავშვი მერიდებოდა. ახლა ეს პრობლემა აღარ არის უკვე, მაგრამ იმ პერიოდში იყო პრობლემა, ცოტა მორიდებული იყო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

იქიდან გამომდინარე, რომ გათავისუფლების შემდეგ ოჯახის როლი და ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია ყოფილი მსჯავრდებულის ცხოვრების განვითარებაში, სპეციალისტები საუბრობენ, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მუშაობის აუცილებლობაზეც. მათი განცხადებით, მხოლოდ ყოფილ მსჯავრდებულთან მუშაობა არ არის საკმარისი რეაბილიტაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის. ასევე, აუცილებელია ბენეფიციარის ოჯახის

წევრებთან თანმიმდევრული ინტერვენციის განხორციელება.

„რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიც უნდა ცდილობდეს და სოციალური მუშაკიც, რომ რაღაცნაირად მას დაეხმარონ ამ გაფუჭებული ურთიერთობის აღდგენაში. თუ ოჯახი უარყოფს ჯერ კიდევ ციხეში ჩაჯდომის შემდეგ ან როცა გამოვიდა და აღარ აქვს მიმღებლობა თავის ოჯახის წევრების მიმართ, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგმა ან სოციალურმა მუშაკმა, შუამავლობა უნდა გაუწიოს. სხვანაირად აზრი არ ექნება სოციალური მუშაკის მუშაობას. ოჯახთან მუშაობაც არის ჩვენი ერთ-ერთი ფუნქცია, უბრალოდ, ახლა, გარკვეული სახსრებიდან გამომდინარე, სათანადოდ ვერ ხდება, რომ მართლები ვიყოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ცალკე უნდა მუშაობდე ოჯახის წევრებთან, ცალკე უნდა მუშაობდე მასთანაც.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ოჯახების ძალიან დიდი პრობლემაა, ანუ ოჯახის, როგორც გამაძლიერებლის როლი, ოჯახის, როგორც საჭიროებების დამნახავის როლი და ოჯახის, როგორც ხელშემწყობის როლი. მარტო თანხა არ არის მნიშვნელოვანი. არის ძალიან ბევრი მაგალითი, როცა მშობელი იმხელა მოტივაციას აძლევს, რომ თანხა მეორეხარისხოვანი ხდება და მოტივაციაა წამყვანი. ასეთი მაგალითი ერთეულების შემთხვევაში ხდება, მაგრამ ხდება.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„თვითონ ოჯახიც მოუმზადებელია რაღაც დონეზე ასეთ პატიმართან შეხვედრისას, გარიყული ჰყავთ, ასე რომ ვთქვათ. 15-20 წლიანი პატიმრობის შემდეგ რომ გარეთ გადიხარ, ოჯახისთვის ცოტა რაღაც ზღვარია, კედელია აღმართული და სხვანაირი ურთიერთობებია. აქედან გამომდინარე, ოჯახთანაც, გარკვეულწილად, მუშაობაც საინტერესო იქნებოდა, თუნდაც ფსიქოლოგების ან ისეთი ადამიანების, ვინც დაეხმარებოდა მათ, რომ ასეთი პიროვნება მიეღოთ ისევ ოჯახში და შემდგომ, რაღაც პერიოდის მერე, ამ ყოფილ პატიმარს თვითონ ოჯახი დახმარებოდა. ცოტა უნდა შეემზადოს ოჯახიც და ოჯახზეც არის, რა თქმა უნდა, 100% წილი ამ

შემთხვევაში, რომ მიიღოს ასეთი ადამიანი.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

გ. საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ და მისი გავლენა დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე

როგორც სპეციალისტები, ასევე, ყოფილი მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ. მათი თქმით, საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად აზრს აბრუნებს რეაბილიტაციის პროცესს და პრობლემას წარმოადგენს პოზიტიური ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაშიც. შესაბამისად, ნეგატიური მოლოდინი, რაც არსებობს საზოგადოებაში ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ, გავლენას ახდენს მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენაზეც.

„ყოფილი პატიმრის სტატუსი რატომღაც არასდროს არ ქრება, როგორც არ უნდა ეცადოს პოზიტიური საქციელით დამოკიდებულების შეცვლა, ის ქცევა მაინც ყველას ფსიქიკაში ილექება და ეს არის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანი.“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ჩვენ მათ მუდმივად ეჭვის თვალით ვუყურებთ, უნდობლობას ვუცხადებთ, ხშირად მეუბნებიან ბიჭები, რომ მეზობელი მეუბნება, რომ შენ ასე რომ იქცეოდი, იმიტომ მოხდა და ახლა აღარ გინდა, ჭკუას მოუხმე. არადა ეს ადამიანი იძახის, რომ არაფერს არ ვაკეთებ, ვცდილობ, რომ ავანყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ ასეთ დამოკიდებულებებს აწყდება და თუკი ეს დიდხანს გრძელდება, მაშინ ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ახლა არაფერს არ ჩავდივარ და ასე მექცევიან და რომ ჩავიდინო, რა შეიცვლება, მაინც ყველას ასეთი ვგონივარ... როგორ შეკვეთასაც აძლევენ გარშემომყოფები, მაინც ყველა ასეთად ხედავს და რა აზრი აქვს სხვანაირად მოქცევას?“ (ფოკუს ჯგუფი, გათავისუფლების შემდგომ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ჩემს მეზობელს გაუფუჭდა კარები, ასაკიანი ქალია და ჩემი

მეუღლე უნდა დახმარებოდა და შევეხვეწე ახლოს არ მიხვიდე მე დავრეკავ და მოვლენ-მეთქი... შენ რომ კარებთან ახლოს მიხვიდე, შეიძლება ეჭვები გაუჩნდეს ასაკიდან გამომდინარე-მეთქი. ნუხდა, დედაჩემის ტოლიაო, მივეხმარებო. მით უმეტეს, ჩემს ქმარს ქურდობა არ ჩაუდენია...“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები).

საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება აისახება ყოფილ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც. რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ ნასამართლევი პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური განწყობის გამო, ისინი ხშირად განიცდიან სირცხვილსა და უხერხულობას. ხშირად ცდილობენ დამალონ ეს ფაქტი და თუ გარდუვალი აუცილებლობა არ არსებობს, საზოგადოებაში ამ საკითხზე საუბარს ერიდებიან.

„მე ყოველთვის კომპლექსი მქონდა და ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემი წარსული დავმალო და აფიშირება არ მოხდეს ამისი. თუ ვატყობ, რომ უცხო საზოგადოებაში ვარ და ამ დროს ვილაცა მცნობს, ამ შემთხვევაში ვერიდები. ბევრჯერ დავკვირვებოვარ, რომ სხვანაირად მიყურებენ ყოველთვის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ბევრი ვერ შედის კონტაქტში იმის გამო, რომ ფსიქოლოგიურად თვითონაც არ არის მომზადებული, ნასამართლევი როცა ვერ შედის კონტაქტში საზოგადოებასთან და გაგებული აქვს, რომ თუ მიღებაზეა საქმე, რაკი ნასამართლევი ხარ, არ მიგიღებენ. არ უნდა იყოს ეს დაძაბულობა, უნდა ნახო, იქნებ გამოსწორდეს და იმას აჯობოს, ვინც უდანაშაულოა და არაა ნასამართლევი, გინდა ხელობით, გინდა ნებისყოფით და ყველაფრით.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები, სპეციალისტების მსგავსად, ხედავენ კავშირს დანაშაულის განმეორებით ჩადენასა და საზოგადოების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას შორის. მათი განცხადებით, საზოგადოების მხრიდან მუდმივმა უნდობლობამ და ნეგატიურმა განწყობამ შესაძლოა სხვა გზა აღარ დაუტოვოს ყოფილ მსჯავრდებულს და მან განმეორებით ჩაიდინოს დანაშაული.

„ვიცნობ ადამიანებს, ვისაც ჰქონდა კრიმინალური წარსული და ყველა დისტანციას იჭერდა, არც მეგობრობდა, არც იკარებდა ახლოს და ეს 6 თვე, 1 წელი შეიძლება მოითმინოს, მაგრამ მერე უკვე ამოხეთქავს პროტესტის გრძნობა და მერე მაინც ჩაიდენს დანაშაულს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„გააჩნია რა აზროვნების ადამიანია და როგორი ფსიქოლოგია აქვს. ზოგმა შეიძლება გააკეთოს ეს ყველაფერი იმიტომ, რომ გამოსავალი არ რჩება თვითონ თავისი მოკლე ჭკუით სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და ალბათ განიცდის... მე ერთხელ მქონდა ეგ სიტუაცია, რომ რაღაც გარიყულივით ვიგრძენი თავი, მაგრამ ამ ყველაფერს რაღაცა ცუდი ზეგავლენა რომ არ მოუხდენია ჩემზე და ჩემი თავისთვისაც რომ მეშველა, ნავედი სოფელში. სოფელში ვიყავი ჩემთვის, რაღაცებს ვაკეთებდი და იქ გადავაყოლე გული.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გათავისუფლების შემდეგ ოჯახის წევრებისა და ახლობლების თანადგომა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, გათავისუფლების შემდეგ, ადრეულ ეტაპზე, ოჯახისა და ახლობლების თანადგომა შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამცავი ფაქტორი. გარდა ამისა, არსებობს სპეციალისტთა მუშაობის საჭიროება არა მხოლოდ ყოფილ მსჯავრდებულებთან, არამედ მათი ოჯახის წევრებთანაც. ასევე, გამოიკვეთა კავშირი ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებასა და დანაშაულის განმეორებით ჩადენას შორის. როგორც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე, სპეციალისტები აცხადებენ, რომ საზოგადოების მხრიდან მუდმივად ნეგატიური დამოკიდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის.

III. ყოფილი მსჯავრდებულების სოციალურ-ეკონომიკური გამონვავები და მისი გავლენა განმეორებით დანაშაულზე

3.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც განმეორებითი დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორი

განმეორებითი დანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის, ძირითადად, ყოფილი მსჯავრდებულებისა და მათი ოჯახების მძიმე, არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სახელდება. სპეციალისტების მოსაზრებით, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ცხოვრებისათვის საბაზისო საჭიროებების (საკვები, თავშესაფარი და ა.შ.) ლეგიტიმური გზებით დაკმაყოფილების შესაძლებლობის არ ქონა ყოფილ მსჯავრდებულებს უბიძგებს კიდევ ერთხელ ჩაიდინონ დანაშაული.

ზოგ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ყოფილ მსჯავრდებულს არ აქვს თავშესაფარი, მისთვის არ არსებობს მხარდაჭერის ქსელი (ოჯახის წევრი, მეგობარი) და მას უწევს იბრძოლოს სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის. სპეციალისტები ისეთ ერთეულ შემთხვევებსაც კი იხსენებენ, როდესაც პატიმარი თავის თავს უწინასწარმეტყველებდა „უკან“ დაბრუნებას, რადგან „გარეთ“ დაუძლეველი რეალობა ელოდებოდა.

სპეციალისტები გამოცდილებაზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოფილი მსჯავრდებულების ისეთი საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რომლებიც უპირველესად დაეხმარება გარემოსთან ადაპტირებასა და დასაქმებაში, რაც მათი საზოგადოებაში ეფექტური რეინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

„ანუ უნდა ვიმუშაოთ, უნარები უნდა განვუვითაროთ. ერთი შეთავაზების შემთხვევაში არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ დასრულდა ამით მუშაობა, რახან ერთზე უარი თქვა. ანუ ეს უნდა იყოს პერმანენტული და თანმიმდევრული მიდგომა ამ ადამიანების მიმართ.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმო-

მადგენელი).

„ბაზისურ მოთხოვნილებებს თუ ვიტყვი, საკვები და თავშესაფარი არ ჰქონდათ ამ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში. როდესაც ეს არ არის, ისევ ბრუნდები ციხეში. ბევრი შემთხვევა გამიგია, იმიტომ შებრუნდა, რომ არ ჰქონდა საკვები და თავშესაფარი“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„გარეთ რა გააკეთოთ, საჭმელი მაქვს, ზამთარში არ მცივა, ზაფხულში არ მცხელა და სახელმწიფო ასე თუ ისე ზრუნავს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები იზიარებენ სპეციალისტების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ წინაშე არსებული ეკონომიკური სახის პრობლემებია. ისინი იხსენებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მათმა ოჯახის წევრმა განმეორებით ჩაიდინა დანაშაული ოჯახში არასათანადო ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

„მატერიალური, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბევრს გვიჭირს და ამის გამო იდენს (დანაშაულს).“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

„პირველ რიგში, მატერიალური პრობლემები, რომელიც აბსოლუტურად ყველაფრის სათავეა არა მარტო ვინც გამოდიან, არამედ დანარჩენებისთვის, ვისთვისაც 99%-იანი ცდუნებაა, რომ რამე დააშავონ.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

ზემოთ აღნიშნული სპეციალისტებისა და ოჯახის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ემთხვევა ყოფილი მსჯავრდებულების დამოკიდებულებებს იმის შესახებ, რომ საარსებო წყაროს მოძიების ლეგიტიმურ პრაქტიკებში ჩართულობა არის განმეორებითი დანაშაულის პრევენციული მექანიზმი. ყოფილმა მსჯავრდებულებმა, რომლებმაც მინიმუმ ორჯერ ჩაიდინეს დანაშაული და რამდენჯერმე მოუწიათ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნა, ყურადღება გაამახვილეს დასაქმების მნიშვნელობაზე. ერთი მხრივ, დასაქმება ყოფილი მსჯავრდებულებისთვის არის საშუალება, დაი-

კმაყოფილონ ბაზისური მოთხოვნები. ხოლო, მეორე მხრივ, ეს ხელს უწყობს თვითრეალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ყოფილი მსჯავრდებულების ნაწილი მიიჩნევს, რომ ცვლილებებით სავსე გარემოში ადაპტაციის სირთულე, ეკონომიკური გამოწვევები, მათ შორის უმუშევრობა, ცუდი საცხოვრებელი პირობები, ოჯახის რთული სოციალური მდგომარეობა (ოჯახს არ აქვს უნარი დაიკმაყოფილოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებები, როგორცაა: საკვები, ტანსაცმელი, მედიკამენტი) შესაძლოა გახდეს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის გამომწვევი მიზეზი, ხოლო ეკონომიკურად აქტიური ცხოვრება მათ უნარების რეალიზების შესაძლებლობას აძლევს.

„ზოგს საცხოვრებელიც არ ხვდება გარეთ ამ არეულობიდან, ნააგეს, მერე ქუჩაში დარჩნენ, ბინა აღარა აქვს, სახლი აღარ აქვს, ცოლიც გასცილდა, აღმოჩნდა ქუჩაში. ისევ ციხეში მივიდა, ციხიდან რომ გათავისუფლდეს, რაღა გააკეთოს, ისევ დანაშაულზე წავა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სამუშაო არ არის. არსად არაფერი არ არის. ფაქტობრივად, საქმელი არა აქვს. ადგება და ისევ მოიპარავს ან ვიღაცას დააყაჩაღებს, ან მოკლავს, რომ იმან მიიტანოს სახლში და ჭამოს, ის უკვე იმას აღარ ფიქრობს, რომ მერე დაიჭერენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ეკონომიკური გაჭირვება უბიძგებს კაცს, რომ ჩაიდინოს დანაშაული.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„დასაქმებული როცა იქნება ადამიანი, ის ყოველთვის თავის საქმიანობის სფეროშია გადართული და აღარ აქვს საფიქრალი მეორეჯერ რაიმე არ მოუვიდეს, ანუ ავტომატურად იშლება ადამიანის გონებიდან. როგორც მოგახსენეთ, წელან შეგნებულად არავინ არაფერს არა აკეთებს“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულები, რომლებმაც მხოლოდ ერთხელ ჩაიდინეს დანაშაული, იზიარებენ შეხედულებას, რომ ეკონომიკურ

მდგომარეობას გავლენა აქვს განმეორებითი დანაშაულის ჩადენაზე, თუმცა მათი ხედვა მცირედით განსხვავდება სხვა რესპონდენტების მოსაზრებებისგან. ისინი მიიჩნევენ, რომ კანონსაწინააღმდეგო ქცევით (მაგ., ქურდობა) ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა დასაქმებისგან განსხვავებით მარტივ ალტერნატივას წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებით არის განპირობებული იმ ადამიანების არჩევანი, რომლებიც ეკონომიკური სირთულეების დაძლევის ამჯობინებენ არა სამსახურის მოძიებით, ან სხვა ლეგიტიმური ფორმით, არამედ ქმედებით, რომელიც სცდება სამართლებრივ ჩარჩოს.

„ადამიანია და რა ქნას, აბა, მითხარი. ვისაც სამსახური არ აქვს, ან არ მუშაობს, ან არ აქვს სამუშაო რა უნდა ქნას ის წავა ისევ ხელმეორედ დანაშაულზე“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„ერთხელ რომ გააკეთებს [დანაშაული], მეორედაც გააკეთებს, მერე ფულის იოლად შოვნით ცხოვრობს... მერე უკვე თავს აღარც იტყობს, რომ დასაქმდეს და, სიტყვაზე, ხელფასზე იცხოვროს“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ამგვარად, ყოფილი მსჯავრდებულების, მათი ოჯახის წევრებისა და სპეციალისტების მოსაზრებით, ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკურად პასიური ცხოვრების სტილი განმეორებითი დანაშაულის ჩადენის წინაპირობა ხდება. რესპონდენტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულები ტოვებენ პენიტენციურ დაწესებულებებს, ფაქტობრივად, თავიდან იწყებენ ცხოვრებას – ეძებენ ეკონომიკური გაძლიერების საშუალებებს, რომ შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. აღნიშნული პროცესი ზოგ შემთხვევებში წარმატებით არ ან ვერ სრულდება განსხვავებული მიზეზების გამო (იხ. ქვეთავი 1.3 ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორები). ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ უზრუნველყოფენ სტაბილურ შემოსავალს, რომ მათთვის და მათი ოჯახებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროებები დააკმაყოფილონ.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი მსჯავრდებ-

ულები, რომლებმაც რამდენჯერმე ჩაიდინეს დანაშაული, თვლიან, რომ დასაქმება საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, პიროვნული და პროფესიული რეალიზების ინსტრუმენტსაც წარმოადგენს. ხოლო, ის ყოფილი მსჯავრდებულები, რომლებმაც მხოლოდ ერთხელ ჩაიდინეს დანაშაული, მიიჩნევენ, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა უკავშირდება ადამიანის არჩევანს. ეს არჩევანი გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული ირჩევს საარსებო წყაროს მოძიების „მარტივ“ საშუალებას – მათთვის დასაქმება ასოცირდება შემოსავლის მოძიების რთულ გზასთან.

3.2. საარსებო წყაროს მოძიების პრაქტიკები

ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ყველაზე დიდი გამოწვევა ეკონომიკური სირთულეების დაძლევაა. ზოგიერთი მათგანი ცდილობს დასაქმებას, სამუშაო ადგილის პოვნას, რასაც თან ახლავს სირთულეები. ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივებში გამოიკვეთა, რომ ისინი ყველაზე ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპზე. გარდა აღნიშნული გამოწვევისა, პრობლემას წარმოადგენს მათი არასაკმარისი კომპეტენცია (ზოგჯერ შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე), რაც ხელს უშლის მათთვის სასურველი სამუშაო ადგილის მოძიებას.

„ჩემს მეგობრებთან ვმუშაობ. სხვაგან მე ვერსად დავინწყები მუშაობას. სივითი რა უნდა ჩამენერა, მთელი ცხოვრება ციხეში ვზივარ და ვინ ამიყვანდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, გაურკვეველია დანაშაულის ტიპი).

„CV-ს ვაგზავნიდი ყველგან, სამსახური რომ დამენყო, მაგრამ ნასამართლეობას რომ იგებდნენ, ყველგან უარს მეუბნებოდნენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაქორწინებული პირებისთვის გათავისუფლების შემდგომი დასაქმება და მასთან დაკავშირებული სირთუ-

ლევები უფრო აქტუალური საკითხია. ისინი გამუდმებით ცდილობენ ოჯახის ფინანსური პრობლემების მოგვარებასა და მიძიმე სოციალური ფონიდან თავის დაღწევას.

„სამი ბავშვი მყავს, არაფერს არ ვაკეთებდი. სამუშაო არ არის, რა გავაკეთო, ვზივარ, ვფიქრობ, რა გავაკეთო. რამდენი რამე უნდათ ბავშვებს, დიდები არიან უკვე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

სპეციალისტებიც ყველაზე რთულად მოსაგვარებელ პრობლემად ყოფილი მსჯავრდებულების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მიიჩნევენ. „გარეთ“ მათ ხვდებათ გარემო, რომელიც სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად სტაბილური შემოსავლის მოძიებას გულისხმობს. გათავისუფლების შემდეგ ისინი დგანან გამონევეების წინაშე, რის გამოც ინყებენ ფიქრს ეკონომიკურ გაძლიერებასა და დასაქმებაზე. სპეციალისტები თვლიან, რომ ეკონომიკურად აქტიური ცხოვრება არის ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რისი საშუალებითაც ყოფილი მსჯავრდებული შეძლებს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებასა და საზოგადოებასთან ადაპტაციას.

„პირველ რიგში, დასაქმება გათავისუფლების შემდეგ, ეს პირველი და აუცილებელია. დასაქმების შემდეგ თავისთავად მატერიალური მდგომარეობა გამოსწორდება და მის ცხოვრებას აზრი ექნება, რომ რაღაცას აკეთებს და ოჯახში, ელემენტარულად, რაღაცა შეაქვს.“ (ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„პირველ რიგში, ეს არის უმუშევრობა, რაც დაკავშირებულია პატიმრის სტიგმასთან. მას არავინ აიყვანს, არავინ მიიყვანს სამუშაოდ. არანაირი მხარდაჭერა არ არის“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოფილი მსჯავრდებულებისთვის დაწესებულების დატოვების შემდეგ ყველაზე დიდ გამოწვევას ძირითადი საარსებო წყაროების მოძიება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის განხილვას ყოფილ მსჯავრდებულებთან ინტერვიუს მსვლელობისას მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყოფილი მსჯავრდებულები ეკონომიკური სირთულეების დაძლევის, მათთვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას სწორედ დასაქმების მეშვეობით უზრუნველყოფენ. ამ კუთხით საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ რესპონდენტების უმრავლესობა მათი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეგობრების მხარდაჭერით დასაქმდა. ზემოთ აღნიშნული გამონწვევების (საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპი ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ, დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციის არარსებობა) გათვალისწინებით, ყოფილი მსჯავრდებულებისთვის დასაქმების ყველაზე ეფექტურ გზას ნაცნობების მხრიდან რეკომენდაციის განწვევა ან მათივე დაწესებულებაში დასაქმება წარმოადგენს. ეს მათ საშუალებას აძლევს „თავიდან აირიდონ“ სამუშაო ადგილის მოძიებისათვის საჭირო პროცედურები (რეზიუმე, ნასამართლეობის ცნობის წარდგენა, გასაუბრება, ტესტირება), დამსაქმებლის მხრიდან შესაძლო სტერეოტიპული მიდგომა და შრომის ბაზარზე კონკურენციის პირობებში დასაქმება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსგავსი გზით დასაქმება არ მოითხოვს კონკრეტული პროფესიის ცოდნას და პოზიციიდან გამომდინარე შესაძლებელია დაწესებულებაში შესასრულებელი საქმიანობის მოკლე დროში ადგილზე შესწავლა.

„სიძე მყავს ხელოსანი და იმან მასწავლა მანქანის ფარებზე პოლირება და ახლა თვითონ მანქანის პოლირებასაც ვსწავლობ და დავინყე ამაზე მუშაობა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„მეგობრებთან ვმუშაობ და ეჭვი მეპარება სხვა სამსახურში მიმიღონ...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძმაკაცის მამამ წამიყვანა კოკა-კოლას ცეხში, ჭყონიას სამუშაოზე.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

წარმოდგენილ კვლევაში მონაწილე ყოფილ მსჯავრდებულებს შორის მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა დამოუკიდებლად დასაქმების გამოცდილება. ისინი აქტიურად ასრულებდნენ დასაქმებისათვის

საჭირო პროცედურებს, თუმცა მათი უპირატესობა იმ მოთხოვნადი პროფესიების ფლობაც იყო, რაც მათ სპეციალობას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ყოფილი მსჯავრდებულები დამოუკიდებლად ან სხვების ხელშეწყობით ახერხებენ მცირე ბიზნესის დაწყებას, თვითდასაქმებას. მათი საქმიანობის სფერო მრავალფეროვანია, მოიცავს ტაქსით მომსახურებას, მშენებლობას, კომპიუტერულ მომსახურებას, სოფლის მეურნეობას და ა.შ.

„*მე თვითონ ვიყავი, ჩემით ვნახე, ვაკანსიებზე გავავ ზავნე CV და ამით კი რა?*“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული დანაშაული, განმეორებითი დანაშაული).

„*კომპიუტერი ვიცი თვალდახუჭული, ქსეროქსიც ვიცი როგორ და რანაირად უნდა გაკეთდეს. მივედი ძმაკაცთან, ვუთხარი, ამოვბეჭდე პატარა ფურცლები, ნავედი და გავაკარი ყველა დაწესებულებაში, ვილაცა, ერთ-ერთი პიროვნება მერე დამიკავშირდა, რომ ასე ასეა, მინდა მთლიანი რემონტი.*“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული დანაშაული, განმეორებითი დანაშაული).

პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, საწყის ეტაპზე, ყოფილი მსჯავრდებულები ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას ოჯახის წევრების მხარდაჭერით ახერხებენ. ისინი მათ ეხმარებიან სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროებების (ტანსაცმელი, საკვები, ჰიგიენური საშუალებები და ნივთები) უზრუნველყოფაში.

„*მყავს ოჯახის წევრები, უფროსი ძმა მყავს, მეგობრები, ვინც დამხვდა გარეთ... ჩემს შემთხვევაში დამეხმარნენ, შევიძინე ის აუცილებელი ნივთები, რაც მჭირდებოდა და არ მომინია დისკომფორტში ყოფნა.*“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

საარსებო წყაროების მოძიების საშუალებებზე საუბრისას, ერთ-ერთი ყოფილი მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ დასაქმება საეკლესიო პირის რეკომენდაციის განწევით შეძლო.

„*მამამ გამინია რეკომენდაცია, ასე ვთქვათ, მამაოც კი ეძებდა ჩემთვის სამსახურს.*“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული)

ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ სამუშაო პოზიციის მოძიება ნაცნობის გარეშე სცადეს, თუმცა მათი ცდა წარუმატებლად დასრულდა. ისინი ხშირად არცკი ცდილობენ საკუთარი ძალებით სამსახურის მოძიებას, რადგან პესიმისტურად არიან განწყობილი და უარყოფითი მოლოდინი აქვთ. ამიტომ, მათთვის ერთადერთი გამოსავალი ახლობლების დახმარებაა. არის შემთხვევები, როდესაც ყოფილი მსჯავრდებულები თავად ეძებენ სამსახურს, მიდიან გასაუბრებაზე და იწყებენ კიდევ მუშაობას, მაგრამ როგორც კი დამსაქმებელი შეიტყობს ნასამართლეობის შესახებ, მაშინვე ათავისუფლებს მათ. ის სამუშაო ადგილები, სადაც ყოფილი მსჯავრდებულები საქმდებიან, ძირითადად ფიზიკურ შრომას მოითხოვს (მაგ., მშენებლობა, ბლოკის ქარხანა, საამქრო). ხშირად ისინი ახლობლებისგან ხელობასაც სწავლობენ და შემდეგ მათთან იწყებენ მუშაობას. ზოგიერთი მათგანი დახმარებას სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდანაც იღებს.

„იყო რალაც ორგანიზაციები, იუსტიცია ეხმარება პატიმრებს ბიზნეს-პროექტებზე. ვიყავი მათ ტრენინგებზე, მინდოდა მონაწილეობის მიღებაც... მაგრამ მერე ვერ ჩამოვყალიბდი... ახლა თუ გამოცხადდება, მინდა მონაწილეობის მიღება, ცოტას დავეხმარები ოჯახსაც, ბალები გვაქვს, ვენახები, მესაქონლეობა, გაფართოება მინდა ამ ყველაფრის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ძალიან ძნელია ყოფილი პატიმრის სამუშაოზე მიიღება, რომ იგებენ, ყველა უარს ეუბნება. მე თვითონ გამოვცადე ეგ. დაწყებული რამდენიმე სამუშაოდან... როცა რალაცას დავინწყებდი, გამანთავისუფლეს იმის გამო, რომ... არ შემეკითხნენ და რომ არ ვუთხარი, გაიგეს, მერე გამათავისუფლეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ხელოსანი ძმა მყავს და ვუთხარი, დაგეხმარები-მეთქი და ის დახმარება ნელ-ნელა გაიზარდა მერე უკვე დავინყე ხელობა, დღესდღეობით ვმუშაობ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყოფილი მსჯავ-

ვრდებულები ეკონომიკურ სირთულეებს ძირითადად ახლობლების დახმარებით უმკლავდებიან. ისინი ნათესავების, მეგობრების მხარდაჭერით საქმდებიან და ზოგ შემთხვევებში მათივე დახმარებით იძენენ პროფესიულ განათლებას, რითაც უზრუნველყოფენ საკუთარი და ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ყოფილი მსჯავრდებულები მეტწილად ახლობლების კომპანიებში, სანარმოებსა და მშენებლობებზე საქმდებიან. ძალიან ცოტაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ისინი საკუთარი ძალებით დასაქმდნენ და სამსახურის დაწყების პროცესში ნასამართლობა მათთვის ბარიერი არ აღმოჩნდა. როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, ყოფილი მსჯავრდებულები საჭიროებენ მხარდაჭერას, რათა დაწესებულების დატოვების შემდეგ შეეგუონ გარემოს და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო კვლავ არ ჩაიძინონ დანაშაული. დანაშაულის განმეორებისაგან დამცავი ფაქტორი სწორედ დასაქმება და გარშემომყოფების მხრიდან შრომით რეაბილიტაციაში დახმარების განევაა.

3.3. ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორები

დაწესებულების დატოვების შემდეგ, როგორც აღინიშნა, ყოფილი მსჯავრდებულებისთვის უპირველესი საზრუნავი ეკონომიკური გაძლიერებაა. როგორც წინა თავში აღვწერეთ, ყოფილი მსჯავრდებულები სხვადასხვა გზით – ინსტიტუტების ან/და ინდივიდუალური მხარდაჭერით ცდილობენ საარსებო წყაროების მოძიებას. აღნიშნულ პროცესს თან ახლავს სირთულეები და ხელის შემშლელი ფაქტორები. მათ შორის რამდენიმე მათგანი გამოწვეულია პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილებით.

კვლევის ფარგლებში ჩართული ყველა რესპონდენტი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საზოგადოებაში სტერეოტიპული, ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ. ნასამართლობის სტატუსი მათ ხელს უშლით, თავი იგრძნონ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. აღნიშნული სტატუსის გამო, საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს, ხშირად გრძნობენ მათი მხრიდან უნდობლობას. რესპონდენტები აღნიშნული მოვლენის აღ-

ნერისას იყენებენ შემდეგ ფრაზებსა და სიტყვებს: „მარგინალიზებული“, „ნაციზარი“, „საზოგადოებისგან გარიყული“, „კრიმინალი“, „აგრესიული“, „მომპარავი“, „ჩხუბისთავი“ და სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზოგადოების ნაწილის სტერეოტიპული დამოკიდებულება ყველაზე მკვეთრად გამოიხატება იმ დროს, როდესაც ყოფილი მსჯავრდებულები ცდილობენ დასაქმებას. შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილებით გამონეული, მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება ხელს უშლით რეალიზებასა და ზოგადად, ეკონომიკურ გაძლიერებაში.

ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ დამსაქმებლებზე დიდ გავლენას ახდენს „ნასამართლობის სტატუსი“. არის შემთხვევები, როდესაც ყოფილ მსჯავრდებულებს მხოლოდ იმიტომ ეუბნებიან დამსაქმებლები უარს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება აქვთ. შესაძლოა ითქვას, რომ დამსაქმებლები ერიდებიან ყოფილ მსჯავრდებულთან საქმიან ურთიერთობას. ამიტომ ყოფილი მსჯავრდებულები სამუშაოს მოძებნის მიზნით არ ამჟღავნებენ ნასამართლობას და ამგვარად, ისინი ცდილობენ სამსახურის შენარჩუნებას.

„ცხიდან რომ გამოდიხარ, შეიძლება სხვა თვალითაც გიყურებენ, შეიძლება არც გითხრან, მაგრამ ასე ხდება, რად უნდა ამას ორი აზრი. შეიძლება თავსაც გარიდებს ისე, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური. შენზე კარგი კი არ არის სულით და ადამიანობით, მაგრამ რაკი შენ იქ იყავი, კრიმინალი ხარ. ბევრი ასე ფიქრობს და შეიძლება საქმე არ დაიჭიროს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„მითხრეს, მოიტანე ჯანმრთელობისა და ნასამართლობის ცნობა. ნასამართლობაზე ვიცოდი რაც მოხდებოდა. ჰოდა, ვიფიქრე, რომ ცოტას გავუწელავედი, მაგრამ არა, მომთხოვეს. მივუტანე ნასამართლობა და იმ წუთში მითხრეს, ვერ დაგანყებინებთ მუშაობასო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელ ფაქტორებზე საუბრისას სპეციალისტებიც აღნიშნავენ, რომ ყოფილი მსჯავრდე-

ბულებისთვის დანესებულების დატოვების შემდეგ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამოწვევა დასაქმებაა. ამ პროცესში, მათი მხრიდან ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმა, რაც მათ ხელს უშლის დასაქმებაში. ყოფილი მსჯავრდებულები დასაქმების კუთხით საჭიროებენ დახმარებას, რათა აღარ ჩაიდინონ განმეორებითი დანაშაული და ამავდროულად თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოება მოუშზადებელია ყოფილ მსჯავრდებულებთან ურთიერთობისთვის. სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, თუ რა ტიპის დანაშაული ჩაიდინა პირმა და რა მოტივით. მათთვის მთავარი არის ის, რომ ყოფილ მსჯავრდებულს პენიტენციურ დანესებულებაში ყოფნის გამოცდილება აქვს. ეს კი იწვევს უნდობლობასა და უარყოფით დამოკიდებულებას. სპეციალისტების მოსაზრებით, ყოფილი მსჯავრდებულები საზოგადოების მხრიდან განიცდიან დისკრიმინაციას და უწევთ იარლიყის ტარება, რომელიც მათ ნასამართლეობაზე აკეთებს აქცენტს. ყოფილი მსჯავრდებულები საზოგადოებისგან ირიყებიან, ამიტომ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათი დამოკიდებულების შეცვლისთვის აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა, სპეციალისტების აზრით, სახელმწიფომაც მეტად უნდა იზრუნოს ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმებაზე. ისინი მიიჩნევენ, რომ პროვინების მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მიზეზი შესაძლოა სწორედ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება გახდეს.

„რომ გიყურებენ ნაციხარი ხარ, რაც არ უნდა ნაცნობი იყოს, ძმაკაცსა და ოჯახის წევრებზე არ არის ლაპარაკი, ყველა მაინც მორიდებით გიყურებს და ეშინიათ. რაზე იჯექი, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, ნაციხარია, რამე არ გამიჩალიჩოსო. თუ თვითონ არ აქვს გამოცდილი, ეშინია, გერიდებიან. სამუშაოს პრობლემაა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„დასაქმების შემდეგ თავისთავად მატერიალური მდგომარეო-

ბა გამოსწორდება და მის ცხოვრებას აზრი ექნება, რომ რაღაცას აკეთებს და ოჯახში, ელემენტარულად, რაღაცა შეაქვს.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ მდგომარეობას. გამოდიან დაწესებულებიდან, შემოსავალი არ აქვთ ელემენტარული, თუნდაც რომ პური, საჭმელი იყიდოს, არ არის საუბარი რაღაც ისეთი ცხოვრებისეული პირობების შექმნაზე, საარსებო მინიმუმის შექმნაზე არის ხოლმე ძალიან ხშირად საუბარი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ყოფილი პატიმრის სტატუსი რატომღაც არასდროს არ ქრება, როგორც არ უნდა ეცადოს პოზიტიური საქციელით ქცევის შეცვლას, ის ქცევა მაინც ყველას ფსიქიკაში იღექება. რაც მისთვის არის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ნასამართლობის გამო პროვინება გარიყულია საზოგადოებისგან და ისიც ამ ეტიკეტს ამართლებს, ირგებს. თავის თავს ქვეცნობიერად უტყდება იმაში, ნასამართლობის გამო აღარ აქვს საზოგადოებაში დაბრუნების, აღარც მუშაობისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შანსი.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

„ნასამართლობის გამო არ შეუძლიათ სამუშაოს დაწყება არც ერთ საჯარო სტრუქტურაში... არც კერძო სტრუქტურებში.“ (ფოკუს ჯგუფი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი).

ამ მოსაზრებას იზიარებენ ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც. ისინი აღნიშნავენ, რომ საზოგადოება ერიდება ყოფილ მსჯავრდებულთან თანამშრომლობასა და პერსონალურ ურთიერთობას. ამის გამო ყოფილი მსჯავრდებულები საზოგადოებაში ფეხს ვერ იკიდებენ, ვერ იმკვიდრებენ სრულფასოვან სახელს და შესაბამისად, ვეღარ პოულობენ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს. ოჯახის წევრები დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას სწორედ საზოგადოებას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ნასამართლობის გამო არსებული სტიგმა, ყოფილ მსჯავრდებულს სხვა გზას აღარ უტოვებს.

„მე მაქვს შემთხვევები, როცა, აი, უხეში გამოთქმაა, ვულგარული „ნაციხარი“, ასე მიმართავენ, ზოგს ეშინია, ზოგი არ კადრულობს მასთან ამხანაგობას და მუშაობას. ამიტომ ყველაზე მეტი დამნაშავე არის საზოგადოება, რომ მეორედ იდენენ დანაშაულს. პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა და საერთოდ, საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს ამ ხალხს.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლო მიზეზებისა, დასაქმების ხელის შემშლელი ერთ-ერთი ფაქტორი ყოფილი მსჯავრდებულისთვის ავტომობილის მართვის უფლების ჩამორთმევაა. აქედან გამომდინარე, მათ შეზღუდული აქვთ დასაქმდნენ ისეთ სამუშაოებზე, სადაც ძირითადი მოთხოვნა ავტომობილის მართვაა. ყოფილი მსჯავრდებულები ფიქრობენ, რომ მართვის მოწმობის ფლობით მათ დასაქმების მეტი შანსი ექნებოდათ.

დანესებულების დატოვების შემდეგ ის პირები, რომლებსაც აქვთ პირობითი მსჯავრი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, სხვა ბარიერებსაც აწყდებიან. ყოფილი მსჯავრდებულებისთვის არასაპატიმრო სასჯელით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება დასაქმების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია. ყოფილი მსჯავრდებულები შემდეგი გამოწვევების შესახებ საუბრობენ¹:

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი რეჟიმის შესრულების გამო ყოფილ მსჯავრდებულს ექმნება დამატებითი დაბრკოლება დასაქმდეს იმ რეგიონში, საიდანაც რთულია პერმანენტული ვიზიტების განხორციელება;
- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პერმანენტული ვიზიტების განხორციელება ხშირად დამსაქმებელთან კონფლიქტის პროვოცირების წინაპირობას წარმოადგენს. დასაქმებულს სამუშაო საათებში სამსახურიდან უნევს გათავისუფლება, რაც დამსაქმებლისთვის არ არის მისაღები;
- ყოფილი მსჯავრდებულისთვის დასაქმების მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა შეუძლებელია.

¹ ჩამოთვლილი გამოწვევები კვლევაში გამოიკვეთა როგორც ერთეული შემთხვევები.

„ვისაც სამსახური სურს და მშრომელია, იმას უკვე ბევრი პრობლემა აქვს. ნასამართლელი რომ ხარ, უკვე აღარ გღებულობენ და როცა გინევს პრობაციაში სიარული და სამსახურშიც, ცოტა რთულია უფროსს აუხსნა, რომ დავდივარ იქ, გამიშვი და ცოტა ხანი დაგეთხოვები.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სირთულეებს რაც შეეხება, უბრალოდ ვერანაირ სამსახურს ვერ ნახავ. უმეტესად ხარ პრობაციონელი, გახვიდე მშენებლობაზე, ქალაქში რაღაც სამუშაო იშოვო. არის ასეთი სამუშაოები ერთი თვე, რომ იმუშავებ მერე ექვსი თვე ველარ გადმოხვალ. ვთქვათ, წავედი ბათუმში მშენებლობაზე და კვირაში ერთხელ, სამშაბათს, იქიდან უნდა ვიარო პრობაციაში, უნდა გადავიტანო ბათუმის რომელიმე პრობაციაში, ექვსი თვის მერე ველარ გადმოვაქვს და ერთი თვის გამო დანარჩენი ხუთი თვე რუისიდან ბათუმში ვიარო პრობაციაში?!“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

„მაგალითად, მე მქონდა შემოთავაზება საზღვარგარეთიდან, რომ გვემუშავა მე და ჩემს ძმას იმავე საქმეზე, რასაც აქ ვაკეთებთ, უფრო მეტი შემოსავალი გვექნებოდა და რომ ვიკითხე, პრობაციაში მიტხრეს, რომ ნახევარი რომ გავა, შეგიძლია დანერო განცხადება... არანაირი დარღვევა არ მქონია... განცხადება დავნერე და მესამე დღეს დამირეკეს უარი არის მოსულიო.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორებისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ყოფილი მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა. პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ისინი ვერ ახერხებენ ისეთ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, სადაც საჭიროა ფიზიკური შრომა. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა თქმით, მსგავსი ტიპის დასაქმების ადგილი (მაგ., მშენებლობაზე მუშაობა) მათთვის სხვა დასაქმების სფეროებთან შედარებით უფრო მეტად ხელმისაწვდომია. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მშენე-

ბლობის სფერო, სადაც არ არის მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

„მშენებლობაზე შემომთავაზეს, მივედი, ერთი დღე ვიმუშავე და ველარ გავუძელი. წელი მტკივა, მძიმე სამსახურია. ან გაზეთების დარიგება, ან დარაჯად სადმე ყოფნა, მაგრამ არ არის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„იქიდან რომ გამოდიხარ, ისეთი ავადმყოფი ხარ, რომ ფიზიკურად მშენებლობაზე არ შეგიძლია მიხვიდე და იმუშაო იმიტომ, რომ ავადმყოფი ხარ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

შეჯამების სახით კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნასამართლობის სტატუსი ყოფილ მსჯავრდებულებს ხელს უშლით ეკონომიკურ გაძლიერებაში. რესპონდენტების მოსაზრებით, საზოგადოების ნაწილში ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ ჩამოყალიბებულია აზრი, რომ, თუ ადამიანი „ციხეში იჯდა“, იგი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. არსებული სტიგმის გავრცელება ხდება ადამიანის პიროვნული მახასიათებლებისა და პროფესიული ცოდნის მიუხედავად, ყოფილი მსჯავრდებულები ხშირად ხდებიან სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის მსხვერპლნი. დამსაქმებლები მათ მიმართ უნდობლობას გამოხატავენ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს სამუშაო პოზიციიდან გათავისუფლებაში ან მიღებაზე უარის თქმაში. ნასამართლობა დამსაქმებლისთვის პირდაპირ დანაშაულსა და კანონსაწინააღმდეგო ქცევასთან ასოცირდება. გამომდინარე იქიდან, რომ ყოფილი მსჯავრდებულები ვერ საქმებიან არსებული ნეგატიური დამოკიდებულების გამო, მათი შრომითი რეაბილიტაცია შეფერხებით მიმდინარეობს.

3.4. ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშეწყობა

ყოფილი მსჯავრდებულები დასაქმებაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან დასაქმების ხელშეწყობა. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ისეთი ინსტიტუტების პოზიტი-

ურ როლზე, რომლებიც ყოფილ მსჯავრდებულებს მხარს უჭერენ დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების გავლასა და დასაქმებაში. ყოფილი მსჯავრდებულები ინტერვიუს მსვლელობისას ასევე საუბრობენ მცირე ბიზნესის ინიციატივის განხორციელების ხელშეწყობაზე. როგორც თავად აღნიშნავენ, ყოფილ მსჯავრდებულებს ფინანსური მხარდაჭერა ხელს უწყობს თვითდასაქმებაში, რომელიც მათთვის ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიანია.

ყოფილი მსჯავრდებულები სამუშაო ადგილის მოძიებისას განსხვავებული ტიპის პრობლემებს აწყდებიან, მათ შორის საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებისგან გამონეულ უნდობლობას. გამომდინარე აქედან, ისინი მიიჩნევენ, რომ დასაქმების ხელშეწყობის ეფექტური საშუალება შესაბამისი ინსტიტუტისგან ან კონკრეტული პირისგან რეკომენდაციის განევაა. აღნიშნულ კონტექსტში რეკომენდაცია დამსაქმებლისგან ნდობის მოპოვების კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

„აი, რეკომენდაცია, უფრო მეტი ნდობა იქნებოდა...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„მამამ გამინია რეკომენდაცია, ასე ვთქვათ, მამოც კი ეძებდა ჩემთვის სამსახურს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას სპეციალისტების მოსაზრებები ორად გაიყო მსჯავრდებულების მიმართ შრომის ბაზარზე პოზიტიური დისკრიმინაციის შესახებ. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ყოფილ მსჯავრდებულს შრომის ბაზარზე უფრო მეტი პრივილეგია უნდა მიენიჭოს, რადგან მას არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, სპეციალისტების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს ყოფილი მსჯავრდებულების ცალკე ჯგუფად გამოყოფა. ეს ფაქტი გამოიწვევს მათ მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამწვავებასა და მარგინალიზაციის დონის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტები იზიარებენ შემდეგ მოსაზრებას: ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე ყოფილი მსჯავრდებულის შრომითი რეაბილ-

იტაცია ეფექტურად ვერ განხორციელდება, რადგან, ამას, ერთი მხრივ, ხელს უშლის დასაქმების ბაზარზე არსებული ბარიერები, ხოლო, მეორე მხრივ, ყოფილი მსჯავრდებულების არასაკმარისი კომპეტენცია. მათი მოსაზრებით, დასაქმების ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს ნასამართლევი პირების მიმართ არსებული სტიგმის გაღრმავება.

„არ ვთვლი ასე, რომ საჭიროა ცალკე ჯგუფად გამოყოფა იმიტომ, რომ, ანუ შენ რომ მუდმივად, ვთქვათ, იმ ჯგუფის ქვეშ მოიაზრებოდე რო ეს ყოფილი პატიმარია, ახლა სტიგმა ერთია, მაგრამ ზედმეტი წნეხი კიდე სხვა არის. იმ სტიგმის გაქარწყლებას ცდილობ და ამას კიდევ ზედმეტი წნეხის ქვეშ ახდენ... ანუ ის, რომ რაღაცა ჯგუფის ქვეშ იყოს გაერთიანებული, ვფიქრობ, ეს არ იქნება მისთვის ხელშემწყობი.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„დასაქმების თვალსაზრისით ეს ადამიანები არ აღმოჩნდნენ იმავე პოზიციაში, რაშიც ვართ ყველა დანარჩენი. იყოს რაღაცა განსხვავებული მათთვის. იმ დიდ კონკურსში არ ხვდებოდნენ, ან რაღაცა პრიორიტეტი ჰქონდეთ.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის წევრები თვლიან, რომ დასაქმების ხელშეწყობაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამასთან, დასაქმების ხელშეწყობა პოზიტიურად აისახება ყოფილი მსჯავრდებულების ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ამავდროულად საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე.

„მე პირადად ძალიან მინდა, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს ისეთი პროგრამა, რომ ეს ხალხი, თუნდაც სხვა საზოგადოების წევრი არა, გამოსულ პატიმარს ჯერ იქ უნდა ამუშავენდნენ, რომ ფსიქოლოგიურად მიეჩვიონ შრომას, მერე რომ გამოვლენ, თუნდაც ორიენტაციის აღების მიზნით, თუნდაც ერთნლიანი, სავალდებულო უნდა იყოს მათი მუშაობა, ჯერ იმიტომ, რომ შეეჩვიონ, მეორეც იმიტომ, რომ მათ თუნდაც თავისი სიგარეტის ფული ჰქონდეთ.“ (ფოკუს ჯგუფი, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი).

IV ინსტიტუციური მხარდაჭერა – განმეორებითი დანაშაულის პრაქტიკის მიქანიზმი

4.1. პოლისტიური მიდგომის მნიშვნელობა ინსტიტუციური მხარდაჭერის პროცესში

სპეციალისტების მოსაზრებით, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების სხვა დამცავ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუციური მხარდაჭერა. შესაბამისად, ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას აღნიშნულ საკითხზე დისკუსიას დიდი დრო დაეთმო და სპეციალისტებმა ის სხვადასხვა ქრილში განიხილეს. მათი მოსაზრებით, ინსტიტუციური მხარდაჭერა უნდა ეფუძნებოდეს პოლისტიურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედებას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ყველა ეტაპზე. სპეციალისტების ნარატივების მიხედვით აღნიშნული პროცესში უნდა იყოს ინტეგრირებული გარდამავალი მენეჯმენტის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ყველა აქტორს შორის თანმიმდევრულ მოქმედებას, რელევანტური ინფორმაციის გაზიარებას და საჭიროებაზე მორგებული მომსახურებების მიწოდებას.

საწყის ეტაპზე აღნიშნული მიდგომა მსჯავრდებულსა და ამ სფეროს ინსტიტუტებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, რაც სამომავლო თანამშრომლობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ, ინსტიტუციურმა მხარდაჭერამ უნდა უზრუნველყოს ბენეფიციარის მომზადება სოციუმში დასაბრუნებლად, ასევე, გათავისუფლების შემდეგ უნდა გაგრძელდეს ყოფილი მსჯავრდებულის მხარდაჭერა, რათა მოხდეს მისი საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბება. დისკუსიის პროცესში, თანამშრომლობის როლზე საუბრისას, ინსტიტუციური მხარდაჭერის ძირითად აქტორებად დასახელდნენ პენიტენციური დაწესებულება, პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი. ამასთან ერთად,

აღნიშნული მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელობა მიენიჭა სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას. გარდამავალი მენეჯმენტის ძირითად აქტორებად დასახელდნენ პენიტენციური დაწესებულება, პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი. ამასთან ერთად, აღნიშნული მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელობა მიენიჭა სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას.

„მაგალითად, მე ვხედავ სახელმწიფოს ისეთ მიდგომას, უფრო არათანმიმდევრულს. ისეთი ჰოლისტური და ერთი მიდგომა ყველა უწყების მხრიდან არ არის. ჩემი აზრით, როცა ადამიანი თუნდაც გამოდის დაწესებულებიდან, შემდეგ მასთან ისეთი თანმიმდევრული მიდგომა არ არის. მაგალითად, ზოგი არის ვადაზე ადრე გათავისუფლებული, არ აქვს პრობაცია და ამის გამო მასთან არავინ ახდენს მზრუნველობას, ზრუნვას, ასე ვთქვათ.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„რეალურად გარეთ გამოსვლის პროცესი ძალიან უნდა იყოს კოორდინირებული და ამ ადამიანების მოტივაციის გაზრდაზე უნდა იყოს მუშაობა, რომ ჩაერთონ პროგრამებში. ზოგადად, ბევრ ახალგამოსულს ნდობა აქვს შემცირებული იმავე სახელმწიფოსადმი, არასამთავრობოებისადმი და არ არის კარგად ინფორმირებული.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივების დიდი ნაწილი ეთმობა ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გამოცდილებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ პროგრამებსა და სერვისებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისათვის და ამავდროულად ხელს უწყობს განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდებას.

ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ იმ მომსახურებებზე, რომლებიც მიიღეს როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფ-

ნის პერიოდში, ასევე, მისი დატოვების შემდეგ. აღნიშნულ გამოცდებებზე დაყრდნობით, ყოფილი მსჯავრდებულები გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს, განვითარდეს ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმი. მათი ნარატივების მიხედვით გამოიკვეთა ის ძირითადი მომსახურებები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს ინსტიტუციური მხარდაჭერა. ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების მომზადების პროცესში გათვალისწინებულია:

- ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დასახელებული სასურველი სერვისები, რომლებიც მათთვის არ იყო ხელმისაწვდომი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას;
- მომსახურებები, რომლის სარგებლობის გამოცდილებაც აქვთ ყოფილ მსჯავრდებულებს და თვლიან, რომ მათ პოზიტიური გავლენა აქვთ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესზე.

მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა ამახვილებს ყურადღებას, დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში სოციუმთან, მათ შორის ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან კომუნიკაციის საშუალებებია. პენიტენციურ დაწესებულებაში კომუნიკაციის საშუალებების არსებობა პატიმრებს შესაძლებლობას აძლევს შეინარჩუნონ კავშირი ოჯახის წევრებთან. აღნიშნული ხელს უწყობს ინტერპერსონალური ურთიერთობების გაუარესების პრევენციას, მათ შორის, მეუღლესთან, შვილებთან, მეგობრებთან. ყოფილი მსჯავრდებულები ფიქრობენ, რომ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების სიხშირე, ხანგრძლივობა და ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს საზოგადოებასთან ეფექტურ ურთიერთობაზე. რესპონდენტები ასახელებენ მათ მიერ გამოყენებული კომუნიკაციის არსებულ საშუალებებს (იხ. ცხრილი №1) და მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების (მაგ., კომპიუტერი) ინტეგრირებაც.

„ჩემთვის ურთიერთობები და დამოკიდებულებები არ შეცვლილა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. ერთადერთი, უკეთესი იქნებოდა თუ პაემნები უფრო ხშირად იქნებოდა და მეგობრებსაც თუ შევხვდებოდი იქ ყოფნის პერიოდში.“ (ყოფილი მსჯავრდებული,

ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„იყოს კომპიუტერები ხო? და... დროში იყოს შეზღუდვა, რაღაც საათები, სულ ჰქონდეს, აი, რას აშავებს, რომ ჰქონდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ვერც ვერკვეოდი, რომ ციხეში ვიყავი, იმიტომ, რომ ტელეფონები იყო, როცა მინდოდა სახლში დავრეკავდი, ხაჭაპური მომიტანეთ, ის მომიტანეთ, ეს მომიტანეთ, ზოგს კომპიუტერებიც ჰქონდა ხელში და რა ვიცი.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული)

ცხრილი 1. კომუნიკაციის ძირითადი საშუალებები (პენიტენციური დაწესებულება)²

1.	გრძელვადიანი და მოკლევადიანი შეხვედრების შესაძლებლობა ოჯახის წევრებთან პენიტენციურ დაწესებულებაში;
2.	მეგობრებთან შეხვედრების შესაძლებლობა პენიტენციურ დაწესებულებაში;
3.	წერილების საშუალებით კომუნიკაციის შესაძლებლობა;
4.	ხელმისაწვდომი სატელეფონო კომუნიკაცია;
5.	მრავალფეროვანი სატელევიზიო გადაცემების ყურების შესაძლებლობა;
6.	კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობა;
7.	დღესასწაულებზე ოჯახში ვიზიტის შესაძლებლობა.

ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე, საუბრობენ სამედიცინო მომსახურების მნიშვნელობაზე. მათი აზრით, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო სერვისი პოზიტიურად აისახება მათ ფიზიკურ და

² ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული კომუნიკაციის საშუალების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. აღნიშნული მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა სოციუმში დაბრუნების შემდეგ, ყოფილი მსჯავრდებული აქტიურად ჩაერთოს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ აქტივობებში. რესკონდენციების აზრით, სამედიცინო მომსახურების გამართულად მუშაობის მნიშვნელოვანი კომპონენტია სამედიცინო შემონმების მექანიზმი. ის უზრუნველყოფს დაავადების/დარღვევის დროულ აღმოჩენასა და შესაბამისი ადრეული ინტერვენციული ღონისძიებების გატარებას.

„უმჯობესი იქნებოდა, თუ უფრო გააუმჯობესებენ მედიკამენტებს და დროზე ადრე მიხედავენ იმ ავადმყოფს, ვისაც უჭირს, ერთი თვის მერე და სამი თვის მერე კი არა. როცა უჭირს და დღეს გეუბნება, მტკივა, მანუხებს, დღესვე უნდა მიხედო იმას, ხვალ და ზევ უფრო რთულდება, ეს შემთხვევები არის.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული)

„უპრობლემოდ მოდიოდნენ, აი, ეტყოდი ნამალს, არ დაგიგვიანებდნენ, ჩაიწერდნენ, ამ დროს გამოივლის. ჩამწერი მოდიოდა, იმას ჩაიწერდნენ, რა ნამლები გჭირდებოდა, ყოველდღიურად დილა-სალამოს მოდიოდა, დილით თუ საჭირო იყო, დაუძახებდი თუ არა და სალამოს მოდიოდნენ. ნამლებს იღებდი ყოველთვის. შემოდიოდნენ კამერაში, გაგსინჯავდნენ, თუ ვერ დგებოდი, მაგალითად, თავბრუს ხვევები გქონდა. თუ არადა იქ გახვიდოდი კორპუსიდან შეგამონმებდნენ და ყველანაირ ნამალს იძლეოდნენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული).

„ფსიქოლოგები შემოდიოდნენ ზონაში და ფსიქოლოგიურ გაკვეთილს ატარებდნენ, ვინც ამთავრებდა სასჯელს და რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, ხუთი თვე ან ექვსი თვე, ან სამი თვე, აი მათთან ფსიქოლოგიურ გაკვეთილს ატარებდნენ კვირაში ორჯერ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„ფსიქოლოგები ბევრ რამეს ნიშნავს იქ. უნდა იყოს, ფსიქოლოგიური ჯგუფი უნდა შედიოდეს და რალაც გაკვეთილი უნდა ტარდებოდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ცხრილი 2. სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურეობა (პენიტენციური დაწესებულება)³

1.	სამედიცინო მომსახურება;
2.	მედიკამენტების დროული მიწოდება;
3.	C ჰეპატიტის მკურნალობა;
4.	ფსიქოლოგის მომსახურება;
5.	ფსიქიატრის მომსახურება.

კომუნიკაციის საშუალებებსა და სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, ყოფილი მსჯავრდებულებისთვის ასევე ერთ-ერთი აქტუალური საკითხია განათლების მიღება და დაწესებულებაში დასაქმების ხელშეწყობა. ისინი მიიჩნევენ, რომ პროფესიული კურსების გავლა მათ დაეხმარებათ კონკრეტული სპეციალობის შესწავლაში, რაც ხელს შეუწყობთ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ დასაქმებაში. დაწესებულებაში დასაქმება ყოფილი მსჯავრდებულისთვის წარმოადგენს ფინანსური შემოსავლის ერთ-ერთ საშუალებას.

„სასურველი იქნებოდა ტარდებოდეს ღონისძიებები, რომელშიც უნდა ჩართონ ეს ხალხი, დაკავდნენ რალაცით. წარმოიდგინე, 24 საათი ზიხარ ტელევიზორთან და რამდენიც გინდა ილაპარაკო და რაც გინდა ილაპარაკო, მერე უკვე ამოგენურება თემა და გადადის აგრესიაში.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„როგორც კი შემოვიდა სერვისი, მაშინ კომპიუტერები დადგეს, კომპიუტერების კურსები, ინგლისური ენის კურსები, ბულალტრიონის კურსები, მენეჯმენტის, ინგლისურის კურსები გავიარე პირველი დონის რა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

³ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

ცხრილი 3. განათლების მიღებისა შესაძლებლობა და დასაქმების ხელშეწყობა (პენიტენციური დაწესებულება)⁴

1.	სწავლის შესაძლებლობის ქონა დაწესებულებაში, მათ შორის პროფესიული (დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები), უცხო ენის შემსწავლელი კურსების არსებობა;
2.	ფორმალური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა;
3.	ბიბლიოთეკისა და საკითხავი სივრცეების არსებობა;
4.	დასაქმების შესაძლებლობა დაწესებულებაში;
5.	ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად ხელსაწყოებით უზრუნველყოფა.

ყოფილი მსჯავრდებულები აგრეთვე ყურადღებას ამახვილებენ პენიტენციურ დაწესებულებაში სპორტულ ღონისძიებებში ჩართვისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე. მათთვის მნიშვნელოვანია სპორტული აქტივობებისათვის დაწესებულებაში სივრცის გამოყოფა და ამავდროულად, საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. სპორტული ღონისძიებები მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და წახალისებას უწყობს ხელს, რაც, ასევე, ეხმარებათ დროის ეფექტურად განაწილებაში. ამასთან, მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კვება და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

„ყველასთვის კარგი იქნება გასართობი ზონებზე. კი არის გადმოცემით სათამაშო მოედნებია, ტენისის. ვიცი სხვა ქვეყნებში არის. გასართობი ყველა პატიმარისთვის იქნება უკეთესი, უფრო ჯანსაღ ცხოვრებით იცხოვრებს, არ იქნება მარტო სიგარეტზე, ყავაზე და ჩაიზე დამოკიდებული კამერეში გამომწყვდეული პატარა ოთახში, ჰაერი არ გყოფნის წესიერად, მით უმეტეს ზაფხულში. როცა საშუალება გექნება გახვიდე, იქ პატარა დარბაზივით იყოს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, ერთჯერადი დანაშაული)

⁴ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

ცხრილი 4. სპორტული აქტივობების მონყობა და ჰიგიენური ნორმების დაცვა (პენიტენციური დაწესებულება)⁵

1.	ინფრასტრუქტურა სპორტული აქტივობებისათვის, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
2.	ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესება;
3.	ჯანსაღი საკვები რაციონის ქონა;
4.	პროდუქტის შექმნის შესაძლებლობა დაწესებულებაში;
5.	საკვების შემოგზავნის პროცედურების გამარტივება;
6.	თანხის ჩარიცხვის სერვისის არსებობა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებებისა, ყოფილი მსჯავრდებულები საუბრობენ სოციალური მუშაკისა და ადვოკატის კონსულტაციის საჭიროებაზე. პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატთან/ადამინანის უფლებების დამცველებთან კონსულტაცია მათ საშუალებას მისცემს მოაგვარონ სამართლებრივი პრობლემები და ეფექტურად მოახდინო მათი უფლებების დაცვა.

ასევე, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჰქონდეთ წირვალოცვაზე დასწრებისა და მოძღვართან შეხვედრის შესაძლებლობა, რათა უკეთ შეძლონ სირთულეებთან გამკლავება.

„პირველ რიგში ადვოკატის, ძალიან ბევრი პრობლემა გრჩება გარეთ, როცა ხვდები მანდ და ისეთი საკითხებია, როცა რაღაცა გაქვს დალომბარდებული, რაღაცა საბუთები გაქვს და ადვოკატის მომენტი რომ იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, ანუ სახსრები რომ არ იყოს, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი. მე პირადად იქ რომ ვიყავი, მეუღლესთან მინდოდა განქორწინება, მაგრამ არ კეთებოდა და მერჩივნა მომხდარიყო, ვიდრე მერე გარეთ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

⁵ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

ცხრილი 5. სოციალური მომსახურება და ადვოკატთან კონსულტაციის საჭიროება (პენიტენციური დაწესებულება)⁶

1.	ადვოკატის მომსახურება;
2.	ადამიანის უფლებების დამცველებთან შეხვედრების შესაძლებლობა;
3.	სოციალური მუშაკის მომსახურება;
4.	წირვა-ლოცვაზე დასწრებისა და მოძღვართან შეხვედრის შესაძლებლობა.

ყოფილი პატიმრები პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ განიცდიან ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სამედიცინო მომსახურების საჭიროებას. საზოგადოებაში დაბრუნება და ადაპტაცია მათთვის საკმაოდ რთული პროცესია. გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მათ ხშირად ექმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები. დაწესებულების დატოვების შემდეგ გარემოსთან შეგუება მათთვის სრულიად ახალ გამონვევებთან ასოცირდება. პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, ფსიქოლოგიურ და ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავება მათთვის აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ შეძლონ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და თავი საზოგადოების სრულფუნქციონირებელ წევრებად იგრძნონ. აქედან გამომდინარე, შესაბამისი მომსახურებებით უზრუნველყოფა მათ საშუალებას მისცემთ, შეეგუონ გარემოს და გაუმკლავდნენ სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემას.

„ფსიქოლოგების, ფსიქიატრების, ფსიქოთერაპევტების, ცნობიერების ამალღების კურსები უნდა იყოს და აი, რაღაცებს უნდა სთავაზობდეს, მუდმივად უნდა იგეგმებოდეს რაღაც კარგი ღონისძიებები, რომლებშიც ჩართავენ. ოღონდ ეს ძალიან ზოგად ხასიათს არ უნდა ატარებდეს და რაღაც კონკრეტულ მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული და გათვლილი და ეს დაეხმარებოდა ნამდვილად.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეო-

⁶ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

რებითი დანაშაული).

„პირველ რიგში, ჯანმრთელობას რომ მიაქციოს ყურადღება. ასეთი სერვისები იყოს იმიტომ, რომ გამოდის დაავადებული იქიდან. ჯერ პირველ რიგში ჯანმრთელობაა და მერე კიდევ სამსახურზე ხელის შეწყობა რომ იყოს, ყველაზე კარგი ეს იქნებოდა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

ცხრილი ნ. ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სამედიცინო მომსახურება (დანესებულების დატოვების შემდგომი პერიოდი)⁷

1.	ფსიქიატრის მომსახურება;
2.	სამედიცინო მომსახურება;
3.	ფსიქოლოგის მომსახურება;
4.	სოციალური მუშაკის მომსახურება.

პენიტენციური დანესებულების დატოვების შემდეგ ყოფილ მსჯავრდებულებს უწევთ დამოუკიდებლად ცხოვრება და სხვადასხვა სირთულესთან გამკლავება. დანესებულების დატოვებისას მნიშვნელოვანია მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებით დაკმაყოფილება. აღნიშნული მოიაზრებს საცხოვრებლით, ფინანსური კაპიტალითა და სხვადასხვა საჭიროებებით უზრუნველყოფას, რათა სანყის ეტაპზე შეძლონ გარემოსთან შეგუება და მოემზადონ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ნივთიერებებზე დამოკიდებულთათვის სარეაბილიტაციო მომსახურების განევა. აგრეთვე, ყოფილი მსჯავრდებულები საჭიროებენ თანადგომის ქსელის არსებობას, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია ადამიანებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა და ადაპტაციის კუთხით ინსტიტუციური მხარდაჭერა. დანესებულებიდან გამოსვლის შემდეგ, სანყის ეტაპზე ფინანსური დახმარება, საჯარო ტრანსპორტის უფასო სამგზავრო ბარათის გადაცემა, ტანსაცმლითა და ჰიგიენური საშუალებებით,

⁷ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ყოფილ პატიმარს საშუალებას მისცემს ეკონომიკურად გაძლიერდეს და შეძლოს რეინტეგრაცია.

„ან თუნდაც ტრანსპორტში უფასოდ მგ ზავრობა შეეძლოს რაღაცა პერიოდი, მთელი ცხოვრება კი არა.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

„დაფინანსების მომენტი, ახლა რაც არის პროგრამაში, ეს ძალიან დიდი მიღწევაა და უფრო მეტი უნდა იყოს დატვირთვა, რომ ყოფილი პატიმარი დააინტერესო, რამე საქმე წამოიწყოს და სახელმწიფო დაეხმაროს, რომ რაღაც წამოიწყოს, დასაქმდეს და ჰქონდეს რაღაც შემოსავლის წყარო. მე რომ გამოვედი პირველად, ეს რომ ყოფილიყო, არ ჩავვარდებოდი ამ სიტუაციაში.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სოციალური პროგრამები უნდა იყოს. ძალიან ფართო არჩევანი უნდა იყოს ამ პროგრამების. აი, მაგალითად, მე საცხოვრებელი არ მაქვს, წინა პატიმრობის დროს მომიწია გაყიდვა, ძალიან დიდი საპროცესო გადავიხადე, დიდი ჯარიმა დამადეს, აქედან გამომდინარე, საცხოვრებელი არ მაქვს, ან ამ კუთხით რომ იყოს თავშესაფარი ან სოციალური პროგრამა, რომელიც დროებით მაინც გაძლევს საცხოვრებელს. ძალიან ბევრი აწყდება ამ პრობლემას.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

„რაღაც პროგრამა უნდა იყოს, ჩემი აზრით, ადამიანებისთვის, ვინც გადის გარეთ და არავინ არ ხვდება. ელემენტარულად ტანსაცმლით რომ დაეხმაროს და პირადი ჰიგიენის ნივთებით და ა.შ. ეს აუცილებლად უნდა იყოს ჩემი აზრით.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

ცხრილი 7. დაწესებულების დატოვების შემდეგ სანყის ეტაპზე მნიშვნელოვანი მომსახურებები⁸

1.	დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ სანყის ეტაპზე ფინანსური დახმარება;
2.	ტანსაცმლითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
3.	დაწესებულების დატოვების შემდეგ დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
4.	საჯარო ტრანსპორტის უფასო სამგზავრო ბარათით სარგებლობის შესაძლებლობა;
5.	ნივთიერებაზე დამოკიდებულთათვის სარეაბილიტაციო მომსახურება;
6.	შეღვათიანი საბანკო მომსახურების შესაძლებლობა ყოფილი მსჯავრდებულებისთვის.

ყოფილი მსჯავრდებულებისთვის სხვა ყველა მხარდაჭერასთან ერთად მნიშვნელოვანია შრომითი რეაბილიტაციის პროცესში ინტიტუტების თანადგომა. მათი აზრით, ეს შეიძლება გამოიხატებოდეს ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერაში (მათ შორის ფინანსური), სამუშაოს მოძიების პროცესის (დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების სწავლება) დახმარებაში, რეკომენდაციის განევისა და სხვადასხვა პროფესიული კურსებზე დასწრების შესაძლებლობაში. აღნიშნული ფაქტორი ეკონომიკური გაძლიერების წინაპირობაა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობასა და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებას.

„აღბათ უნდა არსებობდეს კომპანია, რომელიც თანამშრომლობს პრობაციის ცენტრთან ან თუნდაც თქვენთან... ისეთი რამ რომ იყოს, ვთქვათ, ან სარეკლამო კომპანია, ან დამსაქმებელი კომპანია, რომ მათთან გქონდეთ თანამშრომლობა თქვენ და პრობაციას და დაეხმაროს იმ ახლად გამოსულ პატიმარს, რომ რაღაცა დასაქმდეს და ძირითადად ფინანსურად უნდა გაძლიერდეს თავ-

⁸ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

შივე რომ არ ჰქონდეს ის აზრი, ნავიდე, მოვიპარო, აი, ვერ ვიშოვე ფული და რა ვქნა, მშია, მწყურია და რითი ჩავიცვა და ა.შ. ყველას არ აქვს იმის საშუალება, ბევრი მართლა მარტო იმიტომ არის ციხეში, რომ არ ჰქონდა ფული.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„სწავლა უნდა შეეძლოს უფასოდ, სამედიცინო მომსახურება უნდა ჰქონდეს უფასოდ, რაც მთვარია. აი ეს ორი რაღაც.“ (ყოფილი, მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული).

„რა ვიცი, დასაქმების პროგრამა არისო, მაგრამ დასაქმება არის მაინც ერთ-ერთი მთავარი, რომელიც უზრუნველყოფს და ამ დასაქმების პროგრამაში აუცილებლად რეკომენდაციებიც უნდა იქნეს განუული და წარმატების შემთხვევაში სტიმულირებაც უნდა ხდებოდეს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

ცხრილი 8. დასაქმების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა⁹

1.	დასაქმებაში ხელშეწყობა, მათ შორის რეკომენდაციის განევა დამსაქმებელთან;
2.	ბიზნეს ინიციატივების დაფინანსება;
3.	ხელმისაწვდომი პროფესიული კურსების არსებობა;
4.	უფასო საგანმანათლებლო კურსებით სარგებლობის შესაძლებლობა;
5.	ავტომობილის მართვის მოწმობის აღების შესაძლებლობა;
6.	კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

ინსტიტუციური მხარდაჭერის მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს როგორც სპეციალისტებმა, ისე ყოფილმა მსჯავრდებულებმა. ისინი თვლიან, რომ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის/ყოფილი მსჯავრდებულის შესა-

⁹ ჩამონათვალი სორტირებულია რესპონდენტების ნარატივებში თითოეული მომსახურების დასახელების სიხშირის მიხედვით (ჩამონათვალი შედგენილია სასურველი და არსებული მომსახურებების შეფასებებზე დაყრდნობით).

ბამისი მომსახურებებით უზრუნველყოფა. ყურადღება გამახვილდა ჰოლისტურ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, განსხვავებული აქტორების კოორდინირებულ და თანმიმდევრულ მოქმედებას. გარდამავალი მენეჯმენტის არსებობა მიიჩნევა როგორც განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ეფექტური საშუალება.

4.2. ინფორმაციის გავრცელება ინსტიტუციური მხარდაჭერის შესახებ

ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია ყოფილი მსჯავრდებულების ინფორმირება სხვადასხვა მომსახურების შესახებ. სპეციალისტების მოსაზრებით მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულებს დანესებულებაში ყოფნის პერიოდში (საწყის ეტაპზე) მიეწოდოთ ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაცია-რეინტეგრაციას. მსჯავრდებულის ინფორმირებულობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი ნდობისა და თანამშრომლობის ხარისხს ინსტიტუციურ მხარდაჭერასთან მიმართებით.

სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რამდენად ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს ყოფილი მსჯავრდებულის ინფორმირებულობის დაბალ დონეს ან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ინსტიტუტების მიმართ. მათი აზრით, აღნიშნული ფაქტორების არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულს რეალობასთან შეუსაბამო მოლოდინები ექმნება. საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ კი არასწორი მოლოდინებით განპირობებული ფრუსტრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნდობის შემცირებაზე, რაც, სპეციალისტების აზრით, შეიძლება განმეორებითი დანაშაულის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გახდეს.

„მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან დანესებულებაში, გარკვეულწილად თვითონ იმაზე მეტი მოლოდინები აქვთ შექმნილი გამოსვლის შემდეგ რას გააკეთებენ, ვიდრე რეალობა არსებობს. როცა გამოდიან და მათი შექმნილი მოლოდინები არ მართლდება ისე, როგორც მათ წარმოედგინათ, გაცილებით მაღლდება ეს უნ-

დობლობა და ეს ბარიერები კიდევ უფრო მეტად იზრდება, ეს კეტავთ მერე საკუთარ თავში და ესეც გარკვეულწილად მერე ხელს უწყობს განმეორებით დანაშაულს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მათი სწორად მომზადება გათავისუფლებისათვის.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

როგორც ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, ისინი უმეტესწილად ინფორმირებულები არიან სხვადასხვა სერვისის შესახებ, რადგან მათ ინფორმაციას აწვდიან პენიტენციურ დაწესებულებაში. დანესებულების დატოვების შემდეგ, ყოფილი მსჯავრდებულები სხვადასხვა მომსახურების შესახებ ინფორმაციას ხშირად ახლობლებისგანაც იღებენ.

„მე ჩემმა მეგობარმა მომიყვა, მითხრა არის ისეთი რაღაცა. თვითონ დაასაქმეს...“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, ერთჯერადი დანაშაული).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მსჯავრდებული აქტიურად ცდილობს პროგრამებში ჩართვას. არის შემთხვევები, როდესაც ყოფილი მსჯავრდებულს აქვს ინფორმაცია სხვადასხვა სერვისის შესახებ, თუმცა საკუთარი სტერეოტიპული მიდგომის გამო, იგი არ ცდილობს პროგრამებში მონაწილეობას. ყოფილი პატიმრების ნაწილი, ასევე, ამბობს, რომ აქვთ ინფორმაცია მომსახურებების შესახებ, თუმცა ფიქრობენ, რომ ეს სერვისები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, ამიტომ თავს იკავებენ მონაწილეობისგან.

„მე არაფერში არ ვიყავი ჩართული და არც არაფერი მსმენია. პრობაციაში კი არის რაღაცები, მაგრამ ტყუილია ყველაფერი. რეალურად არაფერი არ მუშაობს.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ქონებრივი, განმეორებითი დანაშაული)

„ერთადერთი, რაც გამიგია, დანაშაულის პრევენციის ცენტრია და წამლების ცენტრი, იქ ფსიქოლოგიც ჰყავთ და რა ვიცი, ძალიან დამეხმარნენ, სატრანსპორტო ბარათთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის ამბავშიც, ღვიძლის მკურნალობა აქედან დავიწყე (დანაშაულის პრევენციის ცენტრი).“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„არის რესოციალიზაციის პროგრამა, რამდენიმე ადამიანი

იყო მისული, კოლეჯში თუ გინდა სწავლა, გიფინანსებენ. არის ფსიქოლოგთან კონსულტაციები. და რაშიც შეიძლება დაგჭირდეს, მოკლედ, ადაპტირებაში ან საზოგადოებასთან რესოციალიზაციაში. ამ მხრივ თითქოსდა რაღაც ღონისძიებებს ატარებენ.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ძალადობრივი, განმეორებითი დანაშაული).

„რამდენადაც ვიცი არის პროგრამები, მაგრამ კონკრეტულად არ მაქვს ინფორმაცია.“ (ყოფილი მსჯავრდებული, ნარკოტიკული, განმეორებითი დანაშაული).

სპეციალისტები თვლიან, რომ მსჯავრდებულების უნდობლობა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ინსტიტუტების მიმართ ართულებს მათთან კომუნიკაციასა და სერვისებში ჩართვას. თუმცა, მნიშვნელოვანია მათი მომზადება გათავისუფლებისთვის და მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სერვისების შესახებ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი. ასევე, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მსჯავრდებულები ხშირად ერთმანეთისგან იღებენ ინფორმაციას, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის ვალიდური და ამის გამო მათ არასწორი წარმოდგენა ექმნებათ მომსახურებების შესახებ.

საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება ზოგ შემთხვევაში შესაძლოა უზრუნველყოს სახელმწიფომ. საეკლესიო პირის ხელშეწყობა გამოიხატება დამსაქმებელთან რეკომენდაციის განევაში. ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტს, ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალურ დანმარებას. ასევე, ყოფილ მსჯავრდებულებს აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებობს ბიზნეს ინიციატივების დაფინანსების შესაძლებლობა. რამდენიმე გეგმავს აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობას.

„ხშირად ხდება ისე, რომ თანამესაკნე აწვდის ინფორმაციას, მაგალითად, დაავადებებთან დაკავშირებით და აბსურდული ინფორმაცია აქვთ, მაგალითად, C ჰეპატიტის გადადებასთან დაკავშირებით, რადგან არიან ერთმანეთის იმედად, თუ ვინმე რამე ინფორმაციას გაუზიარებს. არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია.“ (ფოკუს ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციური მხარდაჭერა და მომსახურებების შესახებ ყოფილი მსჯავრდებულების ინფორმირებულობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა სერვისი ყოფილ მსჯავრდებულებს აძლევთ იმის საშუალებას, რომ გათავისუფლების შემდეგ ეკონომიკურად აქტიურ ცხოვრებას მიჰყონ ხელი. გამომდინარე იქიდან, რომ გათავისუფლების შემდგომი პერიოდი მათთვის სირთულეებთან ასოცირდება, ინსტიტუციური მხარდაჭერა მათთვის ამ სირთულეებთან გამკლავებისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდების პრევენციული საშუალებაა.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული რისკ და დამცავი ფაქტორები. გამოიკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნასთან, ისევე, როგორც გათავისუფლების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ფაქტორები – ფსიქოლოგიური სირთულეები, ინტერპერსონალური ურთიერთობები, ინსტიტუტების მხარდაჭერის მნიშვნელობა და ეკონომიკური საკითხები. გარდა ამისა, გამოვლინდა ის პიროვნული ფაქტორებიც, რომლებიც ზრდიან პირის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს.

ფსიქოლოგიური და სამედიცინო ფაქტორები

დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ხელშემწყობი ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პიროვნული აშლილობები, როგორიცაა: ფსიქოპათია, ანტისოციალური და ნარცისული აშლილობა, მჭიდრო კავშირშია განმეორებითი დანაშაულის ჩადენასთან. შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში პიროვნული აშლილობის იდენტიფიცირებამ, განსაკუთრებული მიდგომის შემუშავებამ და სწორი მოლოდინის განსაზღვრამ შესაძლოა შეამციროს ზიანი, რომელიც აღნიშნული აშლილობის მქონე პირებს მოაქვთ საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკს ზრდის მსჯავრდებულთა ემოციური ან რეაქტიული აგრესიის კონტროლის სირთულე. აღნიშნულ პრობლემას ართულებს ის ფაქტი, რომ ემოციური აგრესია მსჯავრდებულებში წარმოადგენს ქცევის გავრცელებულ და მისაღებ ფორმას, რაც კავშირშია შემთხვევითი, დაუგეგმავი დანაშაულის ჩადენასთან. ჯგუფური დანაშაულის შემთხვევები, ძირითადად, კრიმინალური სუბკულტურის გავლენას უკავშირდება, რაც წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიდგომას. მოცემულ შემთხვევაში, ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტანდარტული ინტერვენციული ღონისძიებები არაეფექტურია.

მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პე-

რიოდში განიცდიან გარკვეულ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს (მაგ., დეპრესია, შფოთვა და სხვა), რაც რესპონდენტების მიერ აღიქმება იზოლირების ბუნებრივ მდგომარეობად. ხოლო დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი დრამატულად იზრდება იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულთა ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება გამოწვეულია არასათანადო მოპყრობით. დაწესებულებაში არსებული ფსიქოლოგიური წნეხი ამცირებს მსჯავრდებულთა ცვლილების მოტივაციას და ბადაებს სამაგიეროს გადახდის სურვილს.

ყოფილი მსჯავრდებულებისთვის გათავისუფლების შემდგომ პერიოდში გამოწვევას წარმოადგენს სტრესსა და ფსიქოლოგიურ სირთულეებთან არაადაპტური სტრატეგიებით გამკლავება. ისინი ხშირად მოიხმარენ ალკოჰოლს ან სხვა მავნე ნივთიერებებს, რაც ზრდის აგრესიის დონეს და შესაბამისად, დაუგეგმავი, „შემთხვევითი“ დანაშაულის ჩადენის რისკს. მსჯავრდებულთა გამოცდილების მიხედვით, გათავისუფლების შემდგომი პირველი ერთი წლის განმავლობაში, შესაძლოა გაიზარდოს სტრესის ფონზე განხორციელებული დანაშაულის მაჩვენებელი. დანაშაულის ჩადენის რისკს, ასევე, ზრდის დაძაბული სოციალური (განსაკუთრებით ოჯახური) ურთიერთობები, მატერიალური ბარიერები და სოციალური უთანასწორობის განცდა. სპეციალისტები ხედავენ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციისთვის კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადების საჭიროებას და შესაბამისი სერვისების დანერგვის აუცილებლობას.

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პიროვნება განახორციელებს განმეორებით დანაშაულს იმისათვის, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მიიღოს სამედიცინო მომსახურება. თუმცა, აღნიშნული შეხედულება წინააღმდეგობაში მოდის ყოფილი მსჯავრდებულების მიერ აღწერილ სამედიცინო ბარიერებსა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ გარემოებებთან პენიტენციურ დაწესებულებაში.

კვლევის მონაცემების მიხედვით, დანაშაულის პრევენციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის გაძლიერების სერვისის სათანადო განვითარება ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და მედიატორების ჩართულობით. ასევე, მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებაში თერაპიული და თვითდახმარების ჯგუფების შექმნა და გაძლიერება, მსჯავრდებულთა ფსიქოგანათლება პენიტენციური სტრესის მართვის კუთხით, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო სერვისების გაძლიერება.

ინტერპერსონალური ურთიერთობები

კვლევის შედეგად დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკ-ფაქტორად გამოვლინდა ინტერპერსონალური ურთიერთობები პენიტენციურ დაწესებულებაში. კერძოდ, ურთიერთობები მსჯავრდებულთა შორის, ასევე, მსჯავრდებულებსა და რეჟიმის თანამშრომლებს შორის. სპეციალისტებისა და ყოფილი მსჯავრდებულების ნარატივებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ დაწესებულებაში არსებული სუბკულტურა, ისევე, როგორც რეჟიმის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობრივი ქმედება გარკვეულწილად განაპირობებს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას.

როგორც აღინიშნა, დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე მოქმედ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გამოიკვეთა კავშირი კრიმინალურ სუბკულტურასთან. რესპონდენტთა განცხადებით, არის შემთხვევები, როცა რეპუტაციის ამაღლებისა და ე.წ. „ქურდულ სამყაროში“ ადგილის დამკვიდრების მიზნით, ყოფილი მსჯავრდებულები კვლავ სჩადიან დანაშაულს. გარდა ამისა, რესპონდენტთა თქმით, დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილებამ, სისტემაში ყოფნამ, შესაძლებელია იქ მეორედ მოხვედრის შიში შეამციროს, რაც თავისთავად ამარტივებს დანაშაულის განმეორებით ჩადენას. ასევე, რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ დაწესებულებაში დამყარებული კონტაქტები შესაძლებელია გათავისუფლების შემდგომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფუძველი გახდეს.

გარდა ამისა, დაწესებულებაში მიღებულმა ძალადობრივმა გამოცდილებამაც შესაძლებელია იმოქმედოს დანაშაულის გან-

მეორებით ჩადენაზე. კერძოდ, ყოფილ მსჯავრდებულთა ნაწილი დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე მოქმედ ფაქტორად დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ დამოკიდებულებას ასახელებს. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, როცა რეჟიმის თანამშრომლის მიერ არასათანადო მოპყრობის გამო დაწესებულების დატოვების შემდეგ, შურისძიების მიზნით, ყოფილ მსჯავრდებულს კვლავ ჩაუდენია დანაშაული.

ამასთანავე, გამოიკვეთა კავშირი დანაშაულის განმეორებით ჩადენასა და საზოგადოების დამოკიდებულებას შორის ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ. როგორც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე, სპეციალისტები აცხადებენ, რომ საზოგადოების მხრიდან მუდმივად ნეგატიური დამოკიდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს დანაშაულის განმეორებით ჩადენისას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც დამცავ ფუნქციას ასრულებს დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან მიმართებით. ყოფილი მსჯავრდებულები და სპეციალისტები საუბრობენ ოჯახის წევრებისა და ახლობლების სოციალური მხარდაჭერის როლზე როგორც დაწესებულებაში, ასევე, გათავისუფლების შემდგომ.

რესპონდენტთა ნარატივებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პენიტენციურ დაწესებულებიდან ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კომუნიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან მიმართებით. აღნიშნული კომუნიკაცია ეხმარება მსჯავრდებულს პენიტენციურ სტრესთან გამკლავებაში, იცავს მას დაწესებულებაში არსებული უარყოფითი ზეგავლენისგან და ასევე, უქმნის ცვლილების მოტივაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებაში მსჯავრდებულს არ შეექმნას ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან კომუნიკაციის ბარიერები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ პროსოციალური ქცევის განხორციელების ალბათობას.

ამასთანავე, გათავისუფლების შემდეგ, ადრეულ ეტაპზე, ოჯახისა და ახლობლების თანადგომა შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამცავი ფაქტორი. ამას-

თან, იქიდან გამომდინარე, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ოჯახის ფუნქციას გათავისუფლების შემდგომ ყოფილი მსჯავრდებული ცხოვრებაში, გამოიკვეთა სპეციალისტთა მუშაობის საჭიროება არა მხოლოდ ყოფილ მსჯავრდებულებთან, არამედ მათი ოჯახის წევრებთანაც.

ეკონომიკური ფაქტორები და ინსტიტუციური მხარდაჭერა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ინსტიტუციური მხარდაჭერაა. ინსტიტუციური მხარდაჭერა ეყრდნობა ჰოლისტურ მიდგომას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანია განსხვავებული ინსტიტუტების შეთანხმებული მოქმედება, მათ შორის პენიტენციური დაწესებულების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა. ყოფილი მსჯავრდებულის რეინტეგრაციის წინაპირობაა გარდამავალი მენეჯმენტის, მომსახურებების მიწოდების თანმიმდევრულობის არსებობა, რომელიც დაიწყება პენიტენციურ დაწესებულებაში და გაგრძელდება მისი საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგაც.

ინსტიტუციური მხარდაჭერის თითოეული კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსჯავრდებულის/ყოფილი მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში. მისი ეფექტური ფუნქციონირება უზრუნველყოფს ბენეფიციარის საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრაციას. წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ინსტიტუციურმა მხარდაჭერამ პოზიტიური როლი უნდა ითამაშოს შემდეგი მიმართულებებით:

- „გარე სამყაროსთან“ კომუნიკაციის საშუალებების განვითარება (პენიტენციური დაწესებულება);
- სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურება (პენიტენციური დაწესებულება);
- განათლების მიღების შესაძლებლობა და დასაქმების ხელშეწყო-

ბა პენიტენციურ დაწესებულებაში;

- სპორტული აქტივობები და ჰიგიენური ნორმების დაცვა (პენიტენციური დაწესებულება);
- დაწესებულების დატოვების შემდეგ საწყის ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებების უზრუნველყოფა (კვება, საჯარო ტრანსპორტით გადაადგილება, საცხოვრებელი);
- ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სამედიცინო მომსახურება (დაწესებულების დატოვების შემდგომი პერიოდი);
- დასაქმების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (დაწესებულების დატოვების შემდგომი პერიოდი);
- სოციალური მომსახურება და იურისტის კონსულტაცია.

ინსტიტუციური მხარდაჭერის ეფექტურად ფუნქციონირების წინაპირობად დასახელდა მსჯავრდებულს/ყოფილ მსჯავრდებულსა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ძირითად აქტორებს შორის ნდობის ჩამოყალიბება. აღნიშნული, პოზიტიურად აისახება სხვადასხვა არსებულ მომსახურებაში მათ ჩართულობასა და თანამშრომლობაზე. ნდობის ჩამოყალიბების ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევა ბენეფიციარების არაინფორმირებულობა. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი მიგნების მიხედვით, არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობა და ძირითადი აქტორების მიმართ ნდობის ჩამოყალიბება განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორად გამოიკვეთა.

ინსტიტუციური მხარდაჭერის კომპონენტების ეფექტურად ფუნქციონირების შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პერმანენტულად განხორციელდეს არსებული მომსახურებების როგორც პროცესის, ასევე, მისი საბოლოო შედეგების შეფასება. პირველი შესაძლებლობას მოგვცემს შესწავლილ იქნეს პროგრამის განხორციელების ასპექტები, მათ შორის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ხოლო, საბოლოო შედეგების შეფასება გამოკვეთს, თუ რამდენად ახდენს გავლენას სერვისებში ჩართულობა მსჯავრდებულის/ყოფილი მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციასა და

განმეორებითი დანაშაულის პრევენციაზე.

კვლევის ერთ-ერთ შედეგად გამოიკვეთა, რომ ყოფილი მსჯავრდებულის შრომითი რეაბილიტაცია განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დიდი ნაწილი დაეთმო ყოფილი მსჯავრდებულების საარსებო წყაროების მოძიების საშუალებებს, დასაქმების პროცესში საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპის როლსა და არასაკმარის კომპეტენციას, რაც დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

რელევანტური კვლევების მიმოხილვა

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩატარებული რამდენიმე უახლესი კვლევა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციარესოციალიზაციის მიმართულებით ეხმიანება წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში გამოვლენილ ძირითად მიგნებებს. მათ შორის კვლევა „დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“ (გამოყენებითი კვლევების კომპანია „ეი არ სი“, 2017, გვ. 10-11) ამყარებს კვლევის ძირითად შედეგებს ყოფილი პატიმრების შრომითი რეაბილიტაციისა და საარსებო წყაროების მოძიების ბარიერების შესახებ, კერძოდ:

- ნასამართლობის სტატუსის მქონე პირებს უჭირთ შრომითი რეაბილიტაცია (სამსახურის მოძიების, შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია). მეტი სიზუსტისათვის, დამსაქმებლები მათ მიმართ ამყლავენებენ უნდობლობას და ცდილობენ, ყოფილ მსჯავრდებულებთან არ დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა.
- ყოფილი მსჯავრდებულების პროფესიული უნარები არ შეესაბამება დამსაქმებლების მოთხოვნებს (მათ არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია).

მსგავსი შედეგები გამოავლინა „კანონთან კონფლიქტში მყოფი

პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზმა⁴. კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმებაში მნიშვნელოვანი ხელის შეშლელი ფაქტორებია: საზოგადოებაში არსებული სტიგმა, ნასამართლობის სტატუსი, სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობის არქონა და სხვა (ბარათაშვილი.ნ., ღონლაძე.ნ., 2017, გვ. 50).

ამასთან, ნასამართლეობის სტატუსი და საზოგადოებაში არსებული სტიგმა მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება სხვა ქვეყნებში განხორციელებულ კვლევებში (Clear.T.R, Rose.D.R., & Ryder.J.A., 2001, გვ. 341). პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება საზოგადოების მხრიდან უარყოფითად აღიქმება. ყოფილ მსჯავრდებულთათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რადგან სოციალური ნევრები მათ მიმართ გამოხატავენ უნდობლობასა და ნეგატიურ დამოკიდებულებას. შესაბამისად, ყოფილ მსჯავრდებულებს სირთულეები ექმნებათ სამსახურის მოძიების დროსაც.

„კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზის“ ერთ-ერთი შედეგის თანახმად, საყურადღებო გამოწვევად დასახელდა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროგრამების არასისტემური და ფრაგმენტული ხასიათი. აღნიშნულის გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობად სახელდება სარეაბილიტაციო პროგრამებში ჰოლისტიური მიდგომის გაძლიერების აუცილებლობა (ბარათაშვილი.ნ., ღონლაძე.ნ., 2017, გვ. 58-59). ზემოთ მითითებულ მიგნებასთან თანხვედრაშია წინამდებარე კვლევა, რომლის მიხედვითაც, განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს გარდამავალი მენეჯმენტის გამართული ფუნქციონირება.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლისას არსებული კვლევები მხოლოდ ცალკეულ საკითხებს ეხება. წინამდებარე კვლევა კი კომპლექსულ მიდგომას იყენებს და შეისწავლის დანაშაულის ხელშემწყობ ფსიქოლოგიურ, პიროვნულ, ეკონომიკურ, სამედიცინო და სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდებიან როგორც დაწესებულებაში ყოფნას, ისე გათავისუფლების შემდგომ პერიოდს.

ლიტერატურა:

1. დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები, გამოყენებითი კვლევების კომპანია „ეი არ სი“, 2017.
2. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, ბარათაშვილი.ნ., ლონდაძე.ნ., 2017
3. Clear, T. R., Rose, D. R., & Ryder, J. A. (2001). Incarceration and the community: The problem of removing and returning offenders. *Crime and Delinquency*, 47(3), 335–351
4. Kuckartz, U. (2014). *Qualitative Text Analysis: A Guide to Methods, Practice and Using Software*.
5. Patton, M. Q. (2015). *Qualitative Research and Evaluation Methods: Integrating Theory and Practice*.